თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გურამ კუტალია

მარტინ ლუთერის პედაგოგიკური შეხედულებანი

თბილისი 1982

371
74
371 (430) (092 ლუთერი მ)
კ 956

ნაშრომში განხილულია ბიურგერული რეფორმაციის ბელადის მარტინ ლუთერის შეხედულებანი განათლებასა და აღზრდაზე, ძველი სასკოლო სისტემის უვარგისობასა და მისი ახლებურად გარდაქმნის აუცილებლობაზე. წარმოჩენილია საკითხები, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავთ აქტუალობა, ასეთებია: დაწყებითი სწავლების საყოველთაოობის აღიარება, ქალ-ვაჟთა თანაბარი განათლება, ანგარებით შეპყრობილი მასწავლებლების სკოლიდან განდევნა და მათ ნაცვლად პატიოსანი და განათლებული პედაგოგების შერჩევა. მასწავლებელთა უფლებებისა და ღირსების დაცვისათვის ხელისუფლების ზრუნვა, მათი მატერიალურად უზრუნველყოფა და, ყველა ამ გზით, საზოგადოების თვალში მასწავლებელთა ავტორიტეტის ამაღლება.

ნაშრომში გარკვეული ადგილი ეთმობა ლუთერის შეხედულებებს ომსა და მშვიდობაზე.

წიგნი განკუთვნილია სპეციალისტთა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

В работе рассматриваются воззрения вождя бюргерской реформации в Германии Мартина Лютера о просвещении и воспитании, о непригодности старой системы школьного обучения и о необходимости его преобразования по новому образцу. Выявлены вопросы, сохранившие свою актуальность и поныне. К таковым относятся: признание всеобщего начального обучения, равное женское и мужское образование, исключение корыстолюбивых преподавателей из школы и подбор честных и образованных педагогов, забота власти в защиту права и достоинства преподавателей, их материальное обеспечение и таким путем повышение авторитета преподавателей в глазах общества.

В работе определенное внимание уделяется также взглядам Мартина Лютера о войне и мире.

Книга рассчитана на специалистов и широкий круг читателей.

რედაქტორი პროფ. გ. ყორდანია
რეცენზენტები: პროფ. ი. ჭყუასელი, დოც. გ. სიხარულიძე, დოც. ვ. გოგუაძე, დოც. ჯ. ბერიშვილი

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1982

60401
К ————————
М-608(06)—82

Zur 500. Wiederkehr des Geburtstages von Martin Luther

GURAM KUTALIA

MARTIN LUTHERS PÄDAGOGISCHE ANSCHAUUNGEN

In der Arbeit sind die Ansichten des Führers der deutschen Reformation Martin Luther über die Bildung und Erziehung, über die Unzulänglichkeit des alten Systems der Schulbildung und die Notwendigkeit seiner Veränderung nach dem neuen Muster erörtert. Hervorgehoben sind die Fragen, die auch heute aktuell sind. Zu denjenigen gehören: die Anerkennung der allgemeinen Elementarbildung, die Zulassung zur höheren Unterrichtsstufe nur der begabten Schüler, Entfernung der geldgierigen Lehrer aus der Schule und die Auswahl ehrlicher und gebildeter Pädagogen und die Sorge der Regierung um die Wahrung der Rechte und Würde der Lehrer und ihre materielle Sicherstellung, um damit die Autorität der Lehrer in der Gesellschaft zu erhöhen.

Bestimmte Aufmerksamkeit wird auch den Anschauungen Martin Luthers über den Krieg und Frieden geschenkt.

მარტინ ლუთერის პედაგოგიკური შეხედულებანი

ყოველი ისტორიული პიროვნების შეფასებისას შეიძლება ამოვიდეთ ვ. ი. ლენინის დებულებიდან: „ისტორიული დამსახურება ფასდება არა იმის მიხედვით, თუ რა აარ მოუციათ ისტორიულ მოღვაწეებს თანამედროვე მოთხოვნებთან შედარებით, არამედ იმის მიხედვით, თუ რა მოგვცეს ახალი თავიანთ წინამორბედებთან შედარებით“ [1]. მით უფრო საინტერესოა პიროვნება, როცა მისი შემოქმედება, იდეები რამდენიმე საუკუნის შემდეგაც არ კარგავს აქტუალობას. ვფიქრობთ, ასეთ მიდგომას იმსახურებს ლუთერის პედაგოგიკური შეხედულებანი.

ლუთერის პედაგოგიკური შეხედულებების გაცნობა, ჩვენი აზრით, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ქართველი მკითხველი საზოგადოებისათვის, ვინაიდან იგი, ამ კუთხით არა თუ ჩვენს პედაგოგიურ მეცნიერებაში, არამედ თვით გერმანელი მკვლევრების მიერაც ნაკლებადაა შესწავლილი. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, თითქოს, ლუთერის შემოქმედების ეს მხარე აბსოლუტურად შეუსწავლელი იყოს, სამეცნიერო ლიტერატურის უამირს წარმოადგენდეს — ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვსურს, რომ ცალკეული ავტორები [2], რომლებიც ჩვენთვის საინტერესო საკითხს ეხებიან, მას

---

[1] ვ. ი. ლენინი, ეკონომიკური რომანტიზმის დახასიათებისათვის, თხზ., ტ. 2, თბ., 1948, გვ. 217

[2] K. Raumer, Geschichte der Pädagogik vom Wiederaufblühen klassischer Studien bis auf unsere Zeit. Sechste Auflage. Gütersloh. 1890; K Schmidt, Geschichte der Pädagogik. Bd. II, 1874; Fr. Paulsen. Geschichte des gelehrten Unterrichts auf den deutschen Schulen und Universitäten vom Ausgang des Mittelalters bis zur Gegenwart. Dritte Auflage, Bd. I, Leipzig, 1919; Ю. Паротц, Всеобщая история педагогики, пер. с франц. СПБ., 1875; В. Гольцев, Очерк развития педагогических идей в новое время, М., 1880; Н. Сперанский, Очерки по истории народной школы в Западной Европе, М., 1896; М. Демков, История западноевропейской педагогики, М., 1912.

მეტად სქემატურად, სათანადო კრიტიკისა და შეფასების გარეშე წარმოგვიდგენენ. ასე, მაგალითად: კ. რაუმერი კმაყოფილდება ლუთერის ბიოგრაფიის უმნიშვნელოვანესი მომენტებისა და მისი თხზულებებიდან პედაგოგიკური ხასიათის ცალკეული ფრაგმენტების მოტანით, ზოგადი კომენტარებით, იმის თქმით, რომ ლუთერი „გერმანული სახალხო სკოლის მამაა“. ჩანს, რეფორმატორი პროტესტანტული მიმართულების ავტორის კერპი იყო; რევოლუციამდელი რუსი ავტორი ვ. გოლცევი კი სულ სხვა პოზიციაზე დგას — იგი იშველიებს ისეთ არგუმენტებს, რომლებიც ლუთერის პედაგოგიკურ შეხედულებებს მუქ ფერებში წარმოგვიდგენენ; ეტყობა, ვ. გოლცევი განიცდის კათოლიკური მიმართულების გერმანელი მოაზროვნის ფ. ლანგეს გავლენას, რომლის აზრითაც რეფორმაციამ ასი წლით უკან დაწია მეცნიერული აზროვნება გერმანიაში[3]; ვფიქრობთ, ასევე რამდენადმე ტენდენციურია ვ. გოლცევის თანამედროვის ნ. სპერანსკის მიერ მოცემული ლუთერის პედაგოგიკური მოღვაწეობის პერიოდიზაციაც. მისი აზრით, ლუთერის მოღვაწეობის ეს მხარე ორ პერიოდად იყოფა: პირველი, როცა რეფორმატორი მიუთითებს არსებული სკოლების მხოლოდ ნაკლოვანებებზე, რის შედეგად ლუთერის ზოგიერთმა „ფიცხმა“ მიმდევარმა უარყო ყოველგვარი ცოდნა, გარდა ბიბლიისა, თანაც იგი უნდა ესწავლათ მშობლიურ ენაზე: და მეორე, როცა „ყოველგვარი გონებრივი კულტურის დაცემის საშიშროებამ“, რომელიც თითქოს, სპერანსკის თქმით, გამოიწვია ლუთერის გამოსვლამ გერმანიაში, რეფორმატორი დააფრთხო და იძულებული გახადა, უკან დაეხია — ეთქვა სასკოლო განათლების დადებით მხარეებზეც[4]; შედარებით ობიექტურ პოზიციაზე დგას ფრანგი ავტორი ი. პაროტცი, რომელიც ლუთერის პედაგოგიკურ შეხედულებებში წარმოაჩენს როგორც დადებით, ისე უარყოფით მომენტებს.

ლუთერის პედაგოგიკური შეხედულებები გარკვეულად აისახა 1938 წელს მოსკოვში გამოცემულ „პედაგოგიკის ისტორიის ქრესტომათიაშიც“ (ტ. I), თუმცა, სამწუხაროდ, ვერც აქ გადაურჩა იგი სუბიექტურ შეფასებას. მისი შემდგენელი ი. სვადოვსკი გადაჭრით

---

[3] F. Lange, Geschichte des Materialismus, Bd. I, 1876, გვ. 12.

[4] Н. Сперанский, დასახ. ნაშრ., გვ. 153—155.

ამტკიცებს, რომ ლუთერი ხალხისაგან მხოლოდ ბიბლიის წაკითხვას და ელემენტარულ ცოდნას მოითხოვდა, რომ 1524—1526 წლების გლეხთა ომის შემდეგ, როცა მან გაილაშქრა აჯანყებული გლეხების წინააღმდეგ, სავსებით უარყო საყოველთაო სწავლების იდეა, რომ აკრძალა საერო სკოლები და საერთოდ აფერხებდა რეალური ცოდნის შეღწევას სკოლებში [5].

ლუთერის პედაგოგიკური შეხედულებების ზოგიერთ საკითხს ჩვენც ვეხებით სტატიაში — „მარტინ ლუთერი საუნივერსიტეტო და სასკოლო აღზრდა-განათლების გარდაქმნის საქმეში ხელისუფლების როლის შესახებ“ [6].

I

ლუთერმა (1483—1546) მნიშვნელოვანი კვალი დატოვა გერმანიის ისტორიაში. უპირველეს ყოვლისა, მის სახელთანაა დაკავშირებული რეფორმაციული მოძრაობა, რომელიც დასაბამს იღებს 1517 წლიდან [7]. მართალია, ბიურგერული რეფორმის ამ „ოფიციალური წარმომადგენლის“ [8] მოძღვრებას, რომელიც „რელიგიურ სამოსელში“ იყო გახვეული, არ აკლდა ზომიერი ბიურგერობისათვის დამახასიათებელი სიმხდალე და შეზღუდულობა, მაგრამ მასში, „დროის სულისკვეთების თანახმად“ [9], საზოგადოების ფართო წრის, მათ შორის ახლად აღმოცენებული ბურჟუაზიული ელემენტების, ინტერესებიც აისახა. ეს ითქმის როგორც „რწმენით გამართლების“ თეორიისა და აქედან გამომდინარე ეკლესიის გარდაქმნის ლუთერისეულ მოთხოვნაზე (იგი ითვალისწინებდა „იაფი“ ეკლესიის შემოღებას — კათოლიკური საეკლესიო წყობილების და წეს-ჩვეულებების, რომის პაპის თანამდებობისა და მისი იერარქიის გაუქმებას, ნაციონალური ეკლესიის შექმნას და ა. შ.), ისე საერო ცხოვრებისა და საერო საქმეების რეაბილიტაციაზეც — ლუთერის ღრმა რწმენით ხომ ადამიანი და მისი საერო ცხოვრება არ

---

[5] Хрестоматия по истории педагогики, т. I, М., 1939, გვ. 128, 140.

[6] ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება“, 1971, №3.

[7] ოფიციალურ ლიტერატურაში რეფორმაციული მოძრაობის დასაწყისად ითვლება 1517 წლის 31 ოქტომბერი, როცა ლუთერმა ვიტენბერგის ეკლესიის კარებზე გამოკრა თავისი ცნობილი „95 თეზისი“.

[8] ფ. ენგელსი, გლეხთა ომი გერმანიაში, თბ., 1956, გვ. 48.

[9] იქვე, გვ. 200.

უნდა განვიხილოთ როგორც ცოდვილობის სფერო, რასაც პაპის, და საერთოდ სქოლასტიკური მოძღვრების, წარმომადგენლები ამტკიცებდნენ. მაშასადამე, ლუთერის მოთხოვნები საფუძველს უთხრიდა პაპების ბატონობას, და მთელს სქოლასტიკას, რომელსაც ემყარებოდა მაშინდელი აღზრდა-განათლება. ამ მოთხოვნებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა გერმანიისათვის.

გერმანიის განსაკუთრებულმა პოლიტიკურმა პირობებმა (ფეოდალურმა დაქუცმაცებამ, რომელიც XIII საუკუნიდან გამოკვეთილ სახეს იღებს) ეს ქვეყანა რომის პაპებისა და მისი აგენტების ეკონომიკური ძარცვის ობიექტად აქცია; ადგილობრივი კათოლიკური სამღვდელოების დახმარებით გერმანელი ხალხი პაპებს სულიერ ტყვეობაშიც ჰყავდათ. მართალია, გერმანიაში ჰუმანიზმის განვითარებამ XV საუკუნის დასასრულსა და XVI საუკუნის დასაწყისში სულიერი ცხოვრების აღმავლობა გამოიწვია — უნივერსიტეტების ერთმა ნაწილმა (მაგ. ერფურტის უნივერსიტეტმა) ფართოდ გაუღო კარი ჰუმანიტარულ დისციპლინებს, ვითარდებოდა წიგნის ბეჭდვის საქმეც, — მაგრამ ამ ქვეყნის გონებრივი განათლების მონოპოლია (ჰუმანისტები მასებს მოწყვეტილნი აღმოჩნდნენ) ჯერ კიდევ ხუცების და ბერ-მონაზვნების ხელში იყო, უნივერსიტეტებისა და სკოლების უმრავლესობას ისინი განაგებდნენ: „ხუცების ხელში პოლიტიკა და იურისპრუდენცია, ისე როგორც ყველა დანარჩენი მეცნიერება, ღვთისმეტყველების უბრალო დარგებს წარმოადგენდა და იმავე პრინციპებს ექვემდებარებოდა, რომლებიც ამ უკანასკნელში ბატონობდნენ. თვით იმის შემდეგაც კი, როცა იურისტების სპეციალური წოდება წარმოიშვა, იურისპრუდენცია დიდხანს ღვთისმეტყველების ზედამხედველობას განიცდიდა“ [10]. უფრო მეტიც, ძველი სკოლის ყველა დისციპლინა — არა მარტო „შვიდი თავისუფალი ხელოვნება“, არა მარტო ღვთისმეტყველება და ფილოსოფია, არამედ ბუნებისმეტყველებაც, მედიცინაც, — ერთი სიტყვით, მთელი მაშინდელი ცოდნა, რომელიც სქოლასტიკაში ერთიანდებოდა,—ემსახურებოდა არაამქვეყნიურ ცხოვრებას და ეს გასაგებიცაა, რადგან მაშინდელი სკოლა ადამიანს ამზადებდა არა ცხოვრებისათვის, არამედ მონასტრისათვის [11]. მართა-

[10] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, დასახ. ნაშრ., გვ. 39.

[11] Л. С и н и ц к и й, Из истории педагогических идей на западе, М., 1905, გვ. 8.

ლია, მონასტრებთან ჩამოყალიბებული სკოლების გვერდით ქალაქების სამრევლოებისათვისაც არსებობდა სასწავლებლები, რომლებიც დიდ როლს ასრულებდნენ ქალაქური კულტურის განვითარებაში, მაგრამ ყველა მათგანს მაინც ახასიათებდა მკაცრი საეკლესიო მიმართულება; ყოველგვარი სწავლება და მეცნიერული მუშაობა ექვემდებარებოდა სქოლასტიკას, შუა საუკუნეებში გაბატონებულ ფილოსოფიურ მიმართულებას, რომელიც ცდილობდა თეორიულად გაემართლებინა ეკლესიის დოგმატები სათანადო სპეკულაციური, ფორმალურ-ლოგიკური არგუმენტებით.

სქოლასტიკური აღზრდა-განათლების წინააღმდეგ იყო მიმართული ლუთერის პედაგოგიკური შეხედულებანიც, რომლებიც გადმოცემულია თხზულებებში: „გერმანელი ერის ქრისტიან თავადაზნაურობას“ (1520), „ყველა გერმანული ქალაქის საბჭოს წევრებს“ (1524) და სხვა. პედაგოგიკურ შეხედულებებს შეიცავს, აგრეთვე, ლუთერის სხვადასხვა დროის ცალკეული გამონათქვამები, რომლებიც მისი მოწაფეებისა და მეგობრების მიერ შედგენილ და გამოცემულ „სუფრულ საუბრებშია“ შესული. ყველა ეს თხზულება ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ლუთერის პედაგოგიურ შეხედულებებზე, მათ მნიშვნელობაზე, აგრეთვე, სასკოლო და საუნივერსიტეტო დისციპლინებზე და ა. შ. ამ საკითხების ირგვლივ ლუთერის ზოგიერთ გამონათქვამს ვერ გავიზიარებთ, მაგრამ არის ნაწილი საკითხებისა, რომლებიც საოცრად ადამიანური, ჰუმანისტური პოზიციებიდანაა გაშუქებული და მათ გვერდს ვერ ავუვლით. ეს შემთხვევითი არ არის — ლუთერს სწავლა-განათლების მიღება და მოღვაწეობის დაწყება მოუხდა იმ დროს (XV საუკუნის დასასრულსა და XVI საუკუნის დასაწყისში), როცა ჰუმანისტურმა მოძრაობამ გერმანიაში განვითარების კულმინაციურ წერტილს მიაღწია. სწავლის პერიოდში (ერფურტის უნივერსიტეტში), თუ სხვა დროს, ლუთერს არაერთ ჰუმანისტთან ჰქონია ურთიერთობა. მართალია, იგი ჰუმანისტი არ გამხდარა, მაგრამ მის რეფორმაციულ მოძღვრებაში (ყოველ შემთხვევაში, მისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში) საკმაოდ შეიმჩნევა ჰუმანისტების, განსაკუთრებით კი ერაზმ როტერდამელის, გავლენა, თუმცა მათ შორის სერიოზული იდეური უთანხმოება და პრინციპული კამათიც იყო (მაგალითად, ნების თავისუფლების პრობლემაზე). კელნელი თეოლოგები (მოწინააღმდეგენი როგორც ერაზმისა, ისე ლუთერისა), არცთუ ისე

უსაფუძვლოდ ამბობდნენ: „ერაზმმა დადო კვერცხი, ლუთერმა კი გამოჩეკაო“ [12]. მეტად ფრთხილი ერაზმი ცვინგლისადმი წერილში თვითონაც შენიშნავს: „მე მგონია, თითქმის ყველაფერ იმას ვასწავლიდი, რასაც ასწავლის ლუთერი, მხოლოდ ასე გაცხარებით არა“ [13]. — ეს გავლენა, ვფიქრობთ, ასევე შესამჩნევია რეფორმატორის პედაგოგიკურ მოძღვრებაშიც.

II

ლუთერი თავის პედაგოგიკურ მოძღვრებაში განსაკუთრებით გამოყოფდა განათლებისა და აღზრდის საკითხებს. მსგავსად ერაზმ როტერდამელისა, რომელიც აღზრდასა და განათლებაში ხედავდა როგორც ადამიანის ზნეობრივი შეგნების ფორმირების საშუალებებს, ისე საზოგადოებრივი კეთილდღეობის საფუძვლებს [14], ლუთერი ამბობდა: ყოველგვარი სიკეთის წყაროს წარმოადგენს განათლება, რომ ადამიანს არ შეიძლება ჰქონდეს იმაზე მეტი და უკეთესი ქონება, ვიდრე ცოდნაა — ადამიანს შეიძლება „საბლი და კარი დაეწვას, ცოდნა კი მუდამ თან ექნება“ [15].

განათლებას ლუთერი დიდ ზნეობრივ ძალას ანიჭებდა. მასში ხედავდა იგი ჭეშმარიტი ადამიანის ჩამოყალიბების გზას, რომელიც ავითარებს კეთილშობილურ ზნე-ჩვეულებებს, აღვიძებს ღვთისმოსაობისა და სამართლიანობის გრძნობას და, მაშასადამე, ხდის ადამიანს საზოგადოების სასარგებლო წევრად. აქედან გამომდინარე, ლუთერი გმობდა იმ ადამიანებს, რომელთაც „სწავლულებისა და მქადაგებლების“ გარეშე, თვითნებურად სურდათ ცხოვრება. ამის დაშვება, მისი აზრით, მსოფლიოს დაღუპვას დააჩქარებდა:

---

[12] С. Маркиш, Эразм Роттердамский — წიგნში: „Эразм Роттердамский. Разговоры запросто“. М., 1969, გვ. 15.

[13] K. Raumer, Geschichte der Pädagogik..., გვ. 80.

[14] „საზოგადოების კეთილდღეობა ან უბედური მდგომარეობა, — წერდა ერაზმი თავის „ანტიბარბაროსებს წიგნებში“.—როგორც მე წარმომიდგენია, დამოკიდებულია სამ ძალაზე: მთავრის წესიერ აღზრდაზე, საჯარო ორატორებზე (მქადაგებლებზე) და სკოლის მასწავლებლებზე“ (Desiderii Erasmi Roterdami Opera omnia... recognovit Johanes Clericus. Lugduni Batavorum. 1703—1716 (photomechanischer Neudruck. Hildesheim, 1961—1962), t.X. 1698 E).

[15] Dr. Martin Luthers Tischreden oder Colloquia. Hrsg. von Friedrich Schmidt, Leipzig, 1878, გვ. 348.

„ეს რომ მოხდეს, — წერდა ლუთერი, — მსოფლიო დაიღუპებოდა, რადგან გონების, სიბრძნისა და კანონების (ე. ი. განათლების — გ. კ.) გარეშე არც თათრებს და არც ტარტაროზებს (Tartaren) არ შეუძლიათ ცხოვრება". განათლებაზე უარის თქმა მას მიაჩნდა თვით ადამიანობაზე ხელის აღებად. „ადამიანებს სამართალი, კანონები და წესრიგი სჭირდებათ, ხოლო თუ დათვები, მგლები, ლომები—მხეცები—ხართ, ეკონომიკისა და პოლიციის გარეშე იცხოვრეთ. არც სახლი დაგჭირდებათ, არც საერო მმართველობა და არც აღზრდა" [16]. მაშასადამე, ლუთერს კარგად ესმის, რომ განათლებას საზოგადოებაში ერთგვარი მარეგულირებელი მნიშვნელობაც ენიჭება, რომ განათლების გარეშე ვერც ზნეობრივ სრულყოფას და ვერც საზოგადოებრივ სიკეთეს მოიპოვებ.

თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ლუთერი განათლებას ზნეობრივი სრულყოფისა და საზოგადოებრივი სიკეთის საქმეში, ეს კარგად ჩანს თავისი ქვეყნის მმართველთა გაუნათლებლობის შესახებ მსჯელობისას. მას კარგად ესმოდა, რომ განათლებული ხელისუფალი თვითონაა ყოველგვარი უზნეობის მტერი, რომელიც იმას კი არ ფიქრობს, რომ „ქვეყანა და ხალხი ჩემია, როგორც მოვისურვებ, ისე მოვიქცევი". — არამედ იმას, რომ „მე ვეკუთვნი ქვეყანას და ხალხს, მე უნდა ვიმოქმედო მათი სარგებლობისა და წარმატებისათვის: არა პირად სარგებლობას ვეძიებ მე, არამედ ჩემი თანამდებობითაც ვემსახურები მათ" [17], მაგრამ ლუთერი ვერ პოულობდა ასეთ მმართველს სინამდვილეში; იგი პირდაპირ აცხადებდა: „ბრძენი მთავარი იშვიათი ფრინველიაო" [18]. ნაცვლად იმისა, რომ თავიანთი ქვეყნის სიმდიდრე — უთვალავი ხილი, მარცვლეული, ღვინო, მარილი, მაღაროები და ა. შ. [19] — სწავლა-განათლებისა და აღზრდის საქმისათვის მოეხმარათ, გერმანელი მთავრები, ლუთერის აზრით, პირიქით იქცეოდნენ, ბოროტად იყენებდნენ ღვთისაგან ბოძებულ ყოველგვარ სიკეთეს — არც ღმერთს ემორჩილებოდნენ და არც განათლებისათვის ზრუ-

---

[16] Luther Deutsch. Tischreden. Hrsg. von Kurt Aland. Bd. 9, Berlin, 1948. გვ. 200.

[17] M. Luther, Von weltlicher Obrigkeit. . . . . (იხ. მისი წიგნი „Sendbrief vom Dolmetschen", Leipzig, 1887, გვ. 94).

[18] იქვე. გვ. 88.

[19] Luther Deutsch. Tischreden, გვ. 209.

ნავდნენ, არ იცლიდნენ თვით საკუთარი ცოდნის ამაღლებისა და თავიანთი მოვალეობის შესრულებისათვისაც; მათთვის მთავარია „ისეირნონ მარხილებით, ილოთონ და იმხიარულონ, მათ უნდა მოაგვარონ სარდაფის, სამზარეულოსა და საწოლი დარბაზის საქმეები“ [20]. მაშასადამე, „არ არსებობს უფრო საცოდავი ერი, ვიდრე გერმანელები. იტალიელები მხეცებს გვეძახიან, საფრანგეთი და ინგლისი დაგვცინის, ასევე ფიქრობენ ჩვენზე სხვა ქვეყნებშიც“ [21], — გულისტკივილით წერდა ლუთერი.

თავისი სამშობლოს პატრიოტი ლუთერი მმართველთა გაუნათლებლობას უკავშირებს ეროვნულ და სოციალურ ბოროტებასაც. მისი ღრმა რწმენით, გერმანიის უბოროტესი მტერი, რომის პაპი (რელიგიის — კათოლიციზმის დროშის ქვეშ მსოფლიოს გაერთიანების, ერთიანი თეოკრატიული მონარქიის შექმნის და, რა თქმა უნდა, გერმანიის დამორჩილების მოსურნე) გერმანელი ხალხის სულიერ და მატერიალურ მორჩილებაში ყოფნას სწორედ გაუნათლებელ ხელისუფალთა დახმარებით აღწევს, ეს უკანასკნელნი, რომელთაც ველურობა და უგუნურობა, პატივმოყვარეობა და ქედმაღლობა დაუფლებიათ, ადვილად ხდებიან მარიონეტები. ასეთი მმართველი რომის პაპის მხარდაჭერის იმედით ბოროტად იყენებს თავის უფლებას, არაფრად აგდებს თანამემამულეთა ბედს, ბღალავს სამართლიანობას და ჩაგრავს ხალხს, არ სურს დაუტოვოს „უბრალო ადამიანებს... ჰაერი და სივრცე ცხოვრებისათვის“ [22]. ასეთ „უფლებამოსილს“ არ სურს იმის გააზრებაც კი, თუ როგორ მართავს ხალხს [23], მას სხვა არაფერი ამოძრავებს, თუ არა ფიქრი — „მოდი, ამიერიდან ჩვენ ვიბატონოთ, რა გვესაქმება იმათთან, ვინც ჩვენ შემდეგ იქნებიან“ [24]. ლუთერის ღრმა რწმენით, ასეთ მმართველს ღორებისა და ძაღლების მართვა უფრო შეეფერება, ვიდრე ადამიანებისა [25].

---

[20] M. Luther, An die Ratsherrn aller Städte deutsches Landes, daß sie christliche Schulen aufrichten und halten sollen (იხ. მისივე „Sendbrief vom Dolmetschen“, გვ. 50).

[21] Luther Deutsch, Tischreden, გვ. 208.

[22] Der große Bauernkrieg, zeitgenössische Berichte, Aussagen und Aktenstücke, Jena, 1925, გვ. 261.

[23] M. Luther, An die Ratsherrn..., გვ. 40.

[24] იქვე.

[25] იქვე.

მართალია, თავისი ქვეყნის ხელისუფალთა გაუნათლებლობის, უზნეობის, ავკაცობისა და ტირანიის ასეთი მოურიდებელი მხილების მიუხედავად ლუთერს ხშირად უსაყვედურებდნენ, რომ თავად ეპირფერებოდა „ძლიერთ ამა ქვეყნისა“, მაგრამ ამ „პირფერობაში“, როგორც ლუთერი აღნიშნავდა, „ბევრი მწარე სიმართლეც“ იყო [26]. ტირან მმართველებს ლუთერი უბედურებასაც უწინასწარმეტყველებდა, იგი წერდა კიდეც, რომ ხალხს არ შეუძლია მეტის მოთმენა, რომ „ახლა ის დრო აღარ არის, რაც ადრე, როცა თქვენ (ე. ი. ტირანები — გ. კ.) ძაღლებს უსევდით და ნადირობდით ადამიანებზე [27]. გამაფრთხილებლად ისმის მისი სიტყვები: „თუ არ გამოსწორდებით, დაისჯებით, დღეს იქნება ეს, თუ ხვალ“ [28]. ამის მიუხედავად ლუთერისეული მხილება და წინასწარმეტყველება აბსტრაქტულ ხასიათს ატარებს — იგი არ მოითხოვს ტირანი მმართველების არა თუ ძალით ჩამოგდებას, არამედ საყოველთაო კენჭისყრით შეცვლასაც კი, როგორც ამას მოითხოვდა ლუთერის თანამედროვე შვეიცარიელი რეფორმატორი ჰულდრაიხ ცვინგლი [29]. მისი „რადიკალიზმი“ ზნეობრივ შეგონებას არ სცილდებოდა — იგი უფრო გამოსწორებისაკენ მოწოდება იყო, ხელისუფალთ ჩააგონებდა, გონიერებისათვის მოეხმოთ და დაეცვათ „ზომიერების“ პრინციპი, რათა უბრალო ადამიანებსაც რგებოდა „ჰაერი და სივრცე“. განათლება — აი, რა მიაჩნდა ლუთერს ამდაგვარი სულიერი ამაღლების საწინდრად. „ჩვენთვის ცნობილია, რაოდენ აუცილებელი და სასარგებლოა ადამიანებისათვის, ასევე სასიამოვნო ღმერთისათვის, რომ მთავარი, ბატონი, რატმანი და, საერთოდ, ყოველგვარი მმართველი იყოს სწავლული“ [30] — ამბობდა იგი და ამით განათლებას აკისრებდა უაღრესად კეთილშობილურ მისიას (განათლებას ასეთსავე მისიას აკისრებდნენ შემდეგში განმანათლებლებიც). მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს ტირანიისა და ყოველგვარი ბოროტე-

---

[26] Е. Новиков, Гус и Лютер, ч.II, М., 1859, გვ. 55.
[27] M. Luther, Von weltlicher Obrigkeit..., გვ. 91.
[28] Der große Bauernkrieg..., გვ. 260.
[29] Huldreich Zwinglis Werke, Bd. I, Zürich, 1828, გვ. 370.
[30] M. Luther, An die Ratsherrn..., გვ. 50.

ბის აღმოფხვრის ძირითად ღონისძიებად განათლების გამოცხადება გამართლებულია, თუმცა არც იმის უგულებელყოფა შეიძლება, რომ იგი ერთ-ერთი აუცილებელი საშუალებაა ბოროტების თავიდან ასაცილებლად.

„გამოსწორების“ ლუთერისეული გზა სულაც არ ნიშნავს პასიურობას — იგი აქტიური მოქმედებისაკენ მოწოდებაა. მართალია, ლუთერი თავის „მეასე ფსალმუნის განმარტებაში“ (1534) ამბობს (ასეთ გამონათქვამებს შემდეგში ჟან კალვინთანაც ვხვდებით), რომ ადამიანებს შორის ღმერთს ჰყავს თავისი „რჩეულნი“, რომლებიც „ფლობენ განსაკუთრებულ ვარსკვლავს, ისინი დედამიწაზე სარგებლობენ იმით, რასაც ბედნიერება და წარმატება ეწოდება“, ასეთები, „ხელოვნური“ აღზრდისა და განათლების გარეშე, ღვთისაგან ბოძებული სიბრძნისა და შეგონების წყალობით, წარმატებით უძღვებიან თავიანთ საქმეებს[31]; მაშასადამე, მათთვის უგულებელყოფილია საოჯახო და სასკოლო აღზრდის მნიშვნელობა, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ლუთერი საერთოდ გამორიცხავს მის მნიშვნელობას. — იგი მეტწილად იმ აზრს იცავდა, რომ განათლებული ადამიანები თავისთავად არ იბადებიან; ლოდინი იმისა, თითქოს ასეთი ადამიანები თვითონ აღმოცენდებიან, მისი აზრით, თავის მოტყუება იქნებოდა: „არ შეიძლება მათი ამოკვეთა ქვიდან, არც ხიდან ამოჭრა; ღმერთი არ მოახდენს სასწაულს... ადამიანს ისედაც მრავალი საშუალება აქვს, რათა საკუთარ თავს დაეხმაროს ამ საქმეში“[32]. საოჯახო და სასკოლო აღზრდის გაუმჯობესება — აი, „გამოსწორების“ ის საშუალება, რომლითაც ლუთერს სურდა თავისი ქვეყნისათვის (აწმყოში თუ არა, მომავალში მაინც) „ფუტურო ჯირკის“ მსგავსი (ე. ი. გაუნათლებელი) მმართველები თავიდან აეცილებინა, რადგან, მისი თქმით, „ასეთი რამ ველურობა და უგუნურებაა[33].

---

[31] Martin Luthers Werke, Erlangen, 1826—1862, Bd. 39. გვ. 285—286.
[32] M. Luther, An die Ratsherrn..., გვ. 39.
[33] იქვე, გვ. 40.

III

აღზრდის საწყის ეტაპად ლუთერს ოჯახი მიაჩნდა, ოჯახში ხედავდა იგი სახელმწიფოს უჯრედს — აქ იწყება მომავალი „ოჯახის მამის, მოსამართლის, ბურგომისტრის, მთავრის, მეფის, იმპერატორის, მქადაგებლის, მასწავლებლის და ა. შ.“ [34] ფეხის ადგმა, მათი სულიერი და ფიზიკური ფორმირება; ოჯახში ეუფლებიან ისინი დისციპლინის ჩვევებს, რაც ასე აუცილებელია სახელმწიფოს სიმტკიცისათვის. და თუ, ლუთერის აზრით, მამა და დედა ცუდად წარმართავენ ოჯახს, დაუშვებენ ბავშვების თვითნებობას, ვერც კარგი მმართველი გაიზრდება და ვერც გამგონე ქვეშევრდომი; ასეთ ქვეყანაში „მხოლოდ ტირანია, ჯადოსნობა, მკვლელობა, ქურდობა და ურჩობა გამეფდება“ [35]. ან კიდევ: „ოჯახში დაიბადა ხელისუფლების იდეა, რომელიც საფუძვლად დაედო საზოგადოების, ქალაქის, სახელმწიფოს მართვას. თუ ძირი არ არის კარგი, მაშინ არც კარგ ნაყოფს უნდა მოველოდეთ“ [36]. ამასთანავე, რეფორმატორი წუხდა, რომ მის თანამედროვე გერმანიაში ცოტა ვისმეს ესმოდა ეს ჭეშმარიტება — უფრო მეტნი იყვნენ მშობლები, რომლებიც ვერ იცლიდნენ შვილების აღზრდისათვის და მხოლოდ საკუთარი სულის ხსნისთვის ზრუნავდნენ [37], თითქოს მათ თავიანთი მოვალეობა შვილის დაბადებით მოიხადეს [38]. ლუთერი მიუთითებდა იმ „ვაიმშობლებზეც“, რომლებიც „უმანკო ბიჭუნებისა და გოგონების თანდასწრებით წარმოთქვამენ უხამს სიტყვებს“, რითაც რყვნიან „სათუთ სულს“ — უხამსი სიტყვები ხომ დიდხანს არ ავიწყდებათ ბავშვებს [39]. მისი აზრით, გამოუსწორებელ შეცდომას სჩადიან ისინიც, ვინც შვილებს ანებივრებენ — მათ ტანსაცმელზე, სიამოვნებასა და სიმდიდრეზე უფრო მეტს ზრუნავენ, ვიდრე აღზრდასა და სწავლებაზე [40]. ასევე დასაგმობია ის მშობლებიც, რომლებიც სათანადოდ ვერ აფასებენ განათლებას, დაცინვით

---

[34] K. Raumer, დასახ. ნაშრ., გვ. 108.
[35] იქვე.
[36] იქვე.
[37] იქვე. გვ. 111.
[38] M. Luther, An die Ratsherrn..., გვ. 37.
[39] K. Raumer, დასახ. ნაშრ., გვ. 114.
[40] იქვე, გვ. 112.

უყურებენ „მეცნიერებებსა და ხელოვნებას“. ასეთი მშობლები, და ეს ეხება განსაკუთრებით ვაჭრებს, იქამდეც კი მიდიან, რომ ნიშნისგებით ამბობენ: თუ მათმა შვილმა „წერა-კითხვა და თვლა“ (ე. ი. ანგარიში) იცის გერმანულად, ეს სავსებით საკმარისია მისთვის [41]. ამრიგად, ლუთერი მოითხოვდა, შეეგნოთ მშობლებს — მათი უპირველესი ზრუნვის საგანი ყოფილიყო ბავშვების სულიერი ჩამოყალიბება, აღეზარდათ ისინი ღვთისმოშიშნი, ზნეობრივად სპეტაკნი, განათლებულნი და რაიმე ხელობის მცოდნე ადამიანები, რაც ასე სასურველია ღმერთისათვის და სასარგებლო საზოგადოებისათვის [42]. თუ მშობლების სიბეჯითეს და მონდომებას — აღეზარდათ ზნეკეთილი და განათლებული შვილები — არ მოჰყვებოდა სასურველი შედეგი, ლუთერი ურჩევდა მშობლებს, არ მისცემოდნენ სასოწარკვეთილებას და არ შეეწყვიტათ ზრუნვა მათი სიკეთისათვის: „მშობლები სულით არ უნდა დაეცნენ და არ უნდა მიატოვონ თავიანთი შვილები ბედის ანაბარა, პირიქით, უნდა გააგრძელონ ზრუნვა მათ სიკეთეზე, თუნდაც ისინი უზნეო და უმადურნი აღმოჩნდნენ“ [43].

ლუთერი ზოგადი შეგონებით არ კმაყოფილდება, მშობლებს იგი აძლევს კონკრეტულ რჩევასაც, თუ რა გზით დაამყარონ დისციპლინა ოჯახში. მსგავსად ერაზმ როტერდამელისა, რომელიც მშობლებისაგან, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს, ბავშვებს შეაყვარონ თავი, რადგან ამას მოსდევს „რიდი და პატივისცემა, ამით კი მეტი მიიღწევა, ვიდრე შიშით“ [44], ლუთერიც ქადაგებს, რომ „სიყვარულსა და გულისხმიერებას“ უნდა იჩენდნენ მშობლები თავიანთი შვილებისადმი“. გამოცდილება გვასწავლის, — წერს იგი, — რომ სიყვარულით მალე და უკეთ შეიძლება მივაღწიოთ მიზანს, ვიდრე მონური შიშითა და იძულებით“ [45]. საგულისხმოა, რომ დღეს ასეთსავე აზრს გამოთქვამს სახელგანთქმული ამერიკელი ექიმი და საზოგადო მოღვაწე ბენჯამინ სპოკიც. „მოყვარული ოჯახი, — წერს

---

[41] M. Luther, Daß man Kinder zur Schulen halten solle, (M. Luther, Pädagogische Schriften, Wien und Leipzig, 1884, გვ. 226).

[42] K. Raumer, დასახ. ნაშრ., გვ. 112.

[43] იქვე, გვ. 116.

[44] Г. Франсуа, История образования и воспитания, М., 1912, გვ. 48.

[45] K. Raumer, დასახ. ნაშრ., გვ. 112.

იგი. — აი, ესაა კარგი დისციპლინის ყველაზე საუკეთესო პირობა. ბავშვი, რომელიც უყვართ, თვითონაც აუცილებლად ისწავლის სიყვარულს“ [46]. მაგრამ ეს არ ნიშნავს, თითქოს ლუთერი ბავშვებისადმი გადაჭარბებული სიყვარულის მომხრე იყოს. — მან მშვენივრად იცის, რომ გადამეტებულ სიყვარულს სიკეთეზე მეტი ბოროტება მოაქვს: ბავშვები ეგოისტები და თავხედები იზრდებიან, საშიშნი ხდებიან როგორც ცალკეულ ადამიანთათვის, ისე მთელი საზოგადოებისათვის, მუდამ მზად არიან, ცხვირპირი ამოუნაყონ ყოველ გამვლელს; თვითონაც იშვიათად თუ ერგებათ ბუნებრივი სიკვდილი და გამოდის, რომ მათი უდროო დაღუპვის მიზეზი თვით მშობლები არიან. „მშობლებს, რომლებიც ბავშვებისადმი გადაჭარბებული სიყვარულის გამო მათ თვითნებობას უშვებენ, არსებითად სძულთ ისინი“ [47]. აქვეა გამომდინარე, რაოდენ პარადოქსულად არ უნდა მოგვეჩვენოს ეს, ლუთერი, რომელიც გმობს შუასაუკუნეობრივი სკოლებისათვის დამახასიათებელ მეტისმეტ სიმკაცრეს, მიდის იმ დასკვნამდე, რომ მშობლები არ უნდა დაერიდონ გაწკეპლვას [48]: „დაე მამა, — წერს იგი, — ნუ ზოგავს წკეპლას, ახსოვდეს, რომ ბავშვების აღზრდის პატივი მას ღმერთმა უბოძა... ვისაც ამის გაგება არ სურს, მას სძულს თავისი ბავშვები, თავისი ოჯახი, და დაეხეტება წყვდიადში“ [49]. რა თქმა უნდა, ლუთერი ბავშვების უმიზეზო გაწკეპლვის, ან გაწკეპლვის შიშით მუდმივი მორჩილების, მომხრე როდია. მას მშვენივრად ესმის, რომ მეტისმეტმა სიმკაცრემ შეიძლება ბავშვს გამოუსწორებელი დაღი დაამჩნიოს; ერთხელ დაშინებული ბავშვი მამისა და დედის ყოველ სიტყვაზე შეიძლება თრთოდეს და მისგან გაიზარდოს „მშიშარა და ჯაბანი“, რომელიც გამოუსადეგარია ყოველი საქმისათვის [50]. მაშასადამე, ლუთერის აზრით, დასაგმობია არა მხოლოდ გადამეტებული სიყვარული, არამედ მეტისმეტი სიმკაცრეც, რადგან იგი ბავშვს სულიერად ამახინჯებს, რაც სიკვდილის ტოლ-

---

[46] ბენჯამინ სპოკი, ბავშვი და მისი მოვლა, თბ., 1978, გვ. 274.

[47] K. Raumer, დასახ. ნაშრ., გვ. 112—113.

[48] ბავშვის გაწკეპლვას (საჭიროების შემთხვევაში) ასევე დასაშვებად თვლიდა იან ამოს კომენსკი (დ. ლორთქიფანიძე, იან ამოს კომენსკი, თბ., 1970, გვ. 221).

[49] K. Raumer, დასახ. ნაშრ., გვ. 112—113.

[50] იქვე, გვ. 112.

ფასოვანია თითქმის. „ბავშვების სიკვდილში, — წერს იგი ამასთან დაკავშირებით, — ჩვეულებრივ დამნაშავენი არიან მშობლები. მათი დანაშაული შეიძლება იყოს ორგვარი, — გამოწვეული იმით, რომ უზომოდ თავს ევლებიან და ანებივრებენ ბავშვებს, ან იმით, რომ ძალიან მკაცრი და სასტიკნი არიან მათ მიმართ". ლუთერი გამოთქვამს სურვილს, რომ საჭიროა მშობლებმა „ორივე ეს უკიდურესობა აიცილონ" [51]. სხვათა შორის, მეტისმეტი სიმკაცრის წინააღმდეგ გამოდის ბენჯამინ სპოკიც, როცა წერს: თუ ბავშვს მუდმივ შიშსა და მორჩილებაში ვიყოლიებთ, იგი „შეწყვეტს განვითარებას და ახლის შეცნობის სურვილი დაეკარგება", მისგან „ყოვლად უგერგილო, უხეირო ადამიანი" შეგვრჩება [52]. ერთი სიტყვით, საოჯახო აღზრდის ლუთერისეული შეფასება შეიცავს უამრავ საინტერესო მოსაზრებას, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავთ აქტუალობა. უნდა ითქვას, ლუთერი დიდად გასცდა პლატონს, რომელიც თავის „სახელმწიფოში" აბსოლუტურად გამორიცხავს ოჯახის როლს აღზრდის საქმეში.

საოჯახო აღზრდის ასეთი მაღალი შეფასების მიუხედავად, ლუთერი მაინც უპირატესობას სასკოლო აღზრდას ანიჭებდა. მისი ღრმა რწმენით, „ოჯახში აღზრდა, როგორი სიბეჯითითაც არ უნდა ეწეოდნენ მას, ან როგორი მოსახერხებელიც არ უნდა იყოს იგი, მაინც არ სცილდება ქცევის გარეგნულ წესებს"; ოჯახურმა აღზრდამ ბავშვს შესაძლოა ასწავლოს მხოლოდ თავის დაჭერა, ზრდილობა და ა. შ., მაგრამ ვერ მისცემს იმდენ ცოდნას, რომ შეძლოს სერიოზული საუბარი რაიმე საგანზე, მას არც გონიერი რჩევის მოცემა და არც საქმეში დახმარება შეეძლება [53]. სასკოლო აღზრდა კი, ლუთერის თქმით, სრულყოფს არა მარტო ოჯახში მიღებულ აღზრდასა და ცოდნას, არამედ ბავშვებს აძლევს „ენების, ხელოვნებისა და ისტორიის" ცოდნასაც [54], რომელიც ასე აუცილებელია ცხოვრებისათვის. საოჯახო აღზრდის ნაკლს რეფორმატორი იმაშიც ხედავდა, რომ ასეთ აღზრდას საფუძვლად უდევს პირადი გამოცდილების გაზიარება და, ამ გზით, ადამიანის ბრძნად გახდომის სურვილი,

---

[51] K. Raumer, დასახ. ნაშრ., გვ. 113.
[52] ბენჯამინ სპოკი, დასახ. ნაშრ., გვ. 210.
[53] M. Luther, An die Ratsherrn..., გვ. 50.
[54] იქვე.

მაგრამ ლუთერის თქმით, ვიდრე ეს მოხდებოდეს, ადამიანი შეიძლება „ათასგზის მოკვდეს“ [55]. ამიტომ მხოლოდ საოჯახო აღზრდით დაკმაყოფილება არა მარტო არასაკმარისი და არაეფექტურია, არამედ მოსაწყენიც. ბავშვების ფსიქოლოგიის კარგად მცოდნე ლუთერი სწორად შენიშნავს, რომ მათ მუდამ ერთ ადგილზე ვერ გააჩერებ, მათთვის აუცილებელია „მხიარულება და ხტუნაობა“, რითიმე გართობა, რადგან ბავშვში „შინაგანად ცხოვრობს მხიარულება“, რისი ჩაკვლაც არ შეიძლება [56]. მოძრაობა და თამაში ლუთერს, ისე ვით ბენჯამინ სპოკს [57], უბრალო გართობად რომ მიაჩნია, იგი მათ ანიჭებს შემეცნებით მნიშვნელობასაც, ფიქრობს, რომ ყოველ მოძრაობას და თამაშს ბავშვებისათვის რაღაც სიახლე მოაქვს და ეხმარება მათ უკეთ სწავლაში, ხელს უწყობს მათ ჯანმრთელობასაც. რაკი ასეთი მოძრაობის და თამაშის შესაძლებლობა სკოლის პირობებში მეტია, ამიტომ, ლუთერის აზრით, ბავშვებს სკოლებში უნდა ვასწავლოთ [58].

სკოლების უპირატესობის დასასაბუთებლად ლუთერს სხვა არგუმენტებიც მოყავს: ჯერ ერთი, მისი აზრით, ზოგიერთი მშობელი, თუნდაც ამის პირობები ჰქონდეს, არც ისე გონიერია, რომ თვითონ მოჰკიდოს ხელი შვილის აღზრდას, ასეთ მშობელს იგი ადარებს სირაქლემას, რომელიც თავის მოვალეობას დასრულებულად თვლის, თუკი კვერცხი დადო. რაკი ასეთი ადამიანებიც არსებობენ და მათი შვილები ჩვენ შორის ცხოვრობენ, ადამიანურმა „გონებამ, განსაკუთრებით ქრისტიანულმა სიყვარულმა“, არ უნდა დაუშვას, რომ ეს ბავშვები უვარგისები, საზოგადოებისათვის ხელის შემშლელნი გაიზარდონ [59]; მეორეც, „მშობლების დიდ ნაწილს, — წერს ლუთერი, — სამწუხაროდ, არა აქვს საკმარისი ცოდნა და არ იციან, როგორ აღზარდონ შვილები, როგორ ასწავლონ მათ“; მესამეც, ზოგიერთ მშობელს, თუნდაც გააჩნდეს ბავშვის აღზრდის უნარი და სურვილი, სამეურნეო თუ სხვა საქმიანობის გამო, აღზრდისათვის არ სცალია ან არა აქვს შესაფერისი შენობა. მაშასადამე, ასკვნის ლუთერი, საჭიროა გვქონდეს სკოლები, გვყავ-

---

[55] M. L u t h e r, An die Ratsherrn..., გვ. 50.
[56] იქვე, გვ. 52.
[57] ბ ე ნ ჯ ა მ ი ნ ს პ ო კ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 211, 248.
[58] M. L u t h e r, An die Ratsherrn..., გვ. 52.
იქვე, გვ. 37—38.

დეს „ბავშვების საზოგადოებრივი აღმზრდელები“, რათა მეტი იყოს მხიარულება და სწავლების ნაყოფიც. მათი საჭიროება ნაკარნახევია იმითაც, რომ სწორ გზაზე დავაყენოთ ღარიბთა წრიდან გამოსული ან კიდევ ობლად დარჩენილი ნიჭიერი ბავშვები [60]. ამგვარად, მართებულად სჯის ლუთერი, როდესაც სასკოლო აღზრდას უპირატესობას ანიჭებს საოჯახო აღზრდასთან შედარებით. ამიტომ ცდილობს იგი, დაარწმუნოს თავისი ხალხი, განსაკუთრებით კი მმართველები, სკოლებისა და მასწავლებლების საჭიროებაში, სასკოლო აღზრდის გაუმჯობესების აუცილებლობაში.

IV

ლუთერმა მშვენივრად იცოდა, რომ სასკოლო აღზრდის გაუმჯობესება მრავალ დაბრკოლებასთან იქნებოდა დაკავშირებული. უმთავრესი დაბრკოლება მაინც უნდა ყოფილიყო ძველ სკოლებსა და უნივერსიტეტებში დამკვიდრებული სქოლასტიკური სწავლება, რომლის წარმომადგენლებიც, კ. შმიდტის მოხდენილი თქმით, ასე დიდ ენერგიას ხარჯავდნენ სიტყვებისა და ცნებების უსარგებლო თამაშში, ან კიდევ, ისეთი „ღრმააზროვანი“ კითხვების დასმაში, როგორიცაა: „რატომ შეჭამა ადამმა ვაშლი, და არა მსხალი, სამოთხეში?“, „რომელ ენაზე ესაუბრებოდა ევა გველს?“ და ა. შ. [61] ჰუმანისტების მსგავსად, ლუთერი გამანადგურებელი კრიტიკით გამოდის სქოლასტიკური სწავლების წინააღმდეგ. ძველ სკოლას იგი უწოდებს „ეშმაკისეულ სკოლას“ [62], რომელიც არაფერს აძლევს ახალგაზრდებს, გარდა „სიყეყეჩისა და ცდუნებისა“ [63];

ზოგიერთი ასეთ სკოლაში 20—40 წელს სწავლობდა და ვერ ეუფლებოდა ვერც ლათინურს და ვერც გერმანულს [64]. მით უფრო სწავლებისა და აღზრდის ისეთ პირობებში, რომელიც საერო ცხოვრებისაგან სრულ იზოლირებას გულისხმობდა, ახალგაზრდას არ შეეძლო არც ყოველმხრივი ცოდნის და არც წესიერი აღზრდის მიღება. „ტირანული ბერული იძულება, — წერდა იგი, — სრულიად მავნეა ახალგაზრდებისათვის; მათ ისევე სჭირდებათ სიხარული

---

[60] M. Luther. An die Ratsherrn..., გვ. 38.
[61] K. Schmidt, Geschichte der Pädagogik. გვ. 265.
[62] M. Luther, An die Ratsherrn..., გვ. 35.
[63] იქვე, გვ. 53.
[64] იქვე, გვ. 34.

და გართობა, როგორც საჭმელი და სასმელი; ამით განპირობებულია მათი ჯანმრთელობაც“ [65]. მაშასადამე, ძველ სკოლას ლუთერი ბრალს სდებდა არა მარტო იმაში, რომ ახალგაზრდებს ვერ აძლევდა საჭირო ცოდნას, ვერ ამზადებდა მათ თვით მონასტრული ცხოვრებისთვისაც კი, რისთვისაც მოწოდებული იყო, არამედ იმიტომაც, რომ ასკეტური ცხოვრებით ამახინჯებდა ახალგაზრდებს. აქ გაბატონებული სასტიკი რეჟიმის გამო ძველ სკოლებს ლუთერი „ციხეებსაც“ უწოდებდა, მასწავლებლებს კი — „მტანჯველებს“, რომლებიც „უმოწყალოდ წკეპლავდნენ საბრალო ბავშვებს“ [66]. „ჭკა ვერ გამოჩეკავს მტრედს, ხოლო სულელი ვერავის გახდის ჭკვიანად“ [67], — აცხადებდა ლუთერი და კრიტიკის ცეცხლში ატარებდა სქოლასტიკური სწავლების დამცველებს, ძველი სკოლისა და უნივერსიტეტების მასწავლებლებს, დოქტორებს, მაგისტრებს, მღვდლებს — ამ „დიდ, უხეშ, მსუქან ვირებს... მორთულებს წითელი და ყავისფერი ბერეტებით“, რომლებიც მათ ისე უხდებათ, როგორც „ღორებს ოქროს ძეწკვი და მარგალიტი“ [68]. ლუთერი მათ ბრალს სდებდა იმის გამოც, რომ ისინი უხვად სარგებლობდნენ იმ საერო სიკეთით, რომლებსაც სხვებს უკრძალავდნენ — მხიარულობდნენ და ერთობოდნენ; მეტიც, ისინი ადვილად პოულობდნენ საერთო ენას თვით „მევახშეებთან“ (არაგერმანელებთანაც კი), რომლებიც ხალხის ხარჯზე ისქელებდნენ ჯიბეს და აკოტრებდნენ ქვეყანას, „მხოლოდ იმაზე ფიქრობდნენ“, შეეგროვებინათ „ბევრი ფული“, თითქოს ამაში იყოს „ცხოვრების არსი“ [69]. მათთან არც ჭამა-სმას თაკილობდნენ ისინი, რითაც „ინაწილებდნენ მათ ცოდვებს“ [70]. ამ „რეგვენების“ უღირსი საქციელი, ლუთერის თქმით, იქამდეც კი მიდიოდა, რომ უნივერსიტეტებში იღებდნენ, მფარველობდნენ და აწინაუ-

---

[65] K. Raumer, დასახ. ნაშრ., გვ. 114.
[66] K. Raumer, დასახ. ნაშრ., გვ. 135.
[67] M. Luther, An die Ratsherrn.., გვ. 57.
[68] იქვე.
[69] Luther Deutsch, Tischreden, გვ. 242.
[70] იქვე, გვ. 244.

რებდნენ არა ღვთისმოსაობით და ნიჭით გამორჩეულთ, არამედ ნაცნობთა თუ მეგობართა შვილებს, რომლებიც, თავის მხრივ, „დაუმსახურებელ ჯილდოს“ იმით „ანაზღაურებდნენ“, რომ კიდევ უფრო ურცხვად ყვლეფდნენ სახალხო დოვლათს. ხრწნიდნენ და აკნინებდნენ ერს იმ ზომამდე, რომ რომის პაპი და მისი მსგავსი მძარცველები ადვილად ეპატრონებოდნენ გერმანიას[71].

ასე რომ, ლუთერს სქოლასტიკური სწავლების მანკიერი მხარეებისა და მისგან გამომდინარე ეროვნული გადაგვარების საშიშროების თავიდან აცილება შესაძლებლად მიაჩნდა „ძველი სკოლის და უნივერსიტეტების“ მასწავლებელთა არა უბრალო „მონანიებით“, არამედ სწავლების სისტემის ძირეული გარდაქმნით. მას ვერ წარმოედგინა საეკლესიო რეფორმაციის განხორციელება, გერმანიის განთავისუფლება ხუცების ბატონობისა და კათოლიკური წესჩვეულებებისაგან, თუ საერო ხელისუფალნი წინასწარ არ გარდაქმნიდნენ და გააუმჯობესებდნენ სასკოლო და საუნივერსიტეტო სწავლებას, თუ ძველ სკოლებს ახლით არ შეცვლიდნენ. „არც პაპისა და არც იმპერატორის საქმე, — წერდა ლუთერი, — არ განხორციელდება სხვაგვარად, თუ არა უნივერსიტეტების ძირეული რეფორმით“[72]. ასეთი რეფორმა, მისი აზრით, სარგებლობას მოუტანდა გერმანიას საერთაშორისო თვალსაზრისითაც, აამაღლებდა მის ავტორიტეტს, დაუმტკიცებდა არაგერმანელ ხალხებს, რომ მათ არასწორი წარმოდგენა აქვთ გერმანელებზე, რომ ისინიც სხვებივით შრომისმოყვარე და ნიჭიერი ხალხია, რომელთაც არა მარტო სხვებისაგან შეუძლიათ სასარგებლო რამე ისწავლონ, არამედ თავადაც ძალუძთ წვლილის შეტანა „მსოფლიოს სრულყოფაში“[73].

ერთი სიტყვით, ძველი სასკოლო სისტემის გარდაქმნა, ძველის ნაცვლად ახლის შექმნა, ლუ-

---

[71] M. Luther, An die Ratsherrn..., გვ. 52.

[72] M. Luther, An den christlichen Adel deutscher Nation, Leipzig, 1881, გვ. 80.

[73] M. Luther, An die Ratsherrn..., გვ. 54.

თერისთვის თვითმიზანი არ ყოფილა — იგი მას კონკრეტულ ამოცანას უსახავდა: რაკი, მისი თქმით, „მსოფლიო გახდა სხვანაირი, და ყველაფერი უნდა წარიმართოს ახლებურად“ [74], ამდენად მან პასუხი უნდა გასცეს იმ მოთხოვნებს, რომელთაც ეპოქა აყენებს დღის წესრიგში.

სასკოლო და საუნივერსიტეტო სწავლების გარდაქმნა კი ლუთერს ვერ წარმოედგინა სხვაგვარად, თუ არა საერო ხელისუფალთა აქტიური მოქმედებით. იგი პირდაპირ აცხადებდა, რომ საერო ხელისუფალთა უპირველეს ამოცანას, მათი „არსებობის მთავარ მიზანს“ შეადგენს ახალგაზრდა თაობის აღზრდისათვის ზრუნვა: „რისთვის ვცხოვრობთ ჩვენ (ე. ი. ვშობელნი და ხელისუფალნი — გ. კ.), თუ არა იმისთვის, რომ მოვუაროთ ახალგაზრდა თაობას, ვასწავლოთ და აღვზარდოთ ისინი?“ [75] ამის შეხსენება, ან თუნდაც სხვისი „რჩევა და შეგულიანება“, დასძენდა ლუთერი, ხელისუფალს არც უნდა სჭირდებოდეს, ამას იგი „შინაგანი ბუნების“ კარნახით უნდა აკეთებდეს. ამ მხრივ მას ანტიკური ხანის მოღვაწეების საქმიანობაც მისაბაძად მიაჩნდა. ფიქრობდა, რომ „წარმართების მაგალითს“ ბევრი რამის სწავლება შეეძლო მისი ქვეყნის მმართველებისათვის, თუ, რა თქმა უნდა, ისინი ამას მოისურვებდნენ [76]. მაგრამ ლუთერი წუხდა იმაზე, რომ მისი ქვეყნის მმართველები იშვიათად თუ ამჟღავნებდნენ ასეთ სურვილს, რითაც უგულებელყოფდნენ ღმერთისაგან დაწესებულ მოვალეობას და მკაცრ სასჯელსაც იმსახურებდნენ [77]. მას განსაკუთრებით აწუხებდა მთავრების გულგრილი დამოკიდებულება ახალგაზრდობის შესაძლებლობებისადმი — ის, რომ ისინი საეალალოდ ღუპავდნენ როგორც უბრალო ადამიანთა შვილების, ისე „კეთილშობილი ახალგაზრდების“ ძალასა და ნიჭს [78]. სწორედ მთავრების გულგრილობა ჰქონდა მხედველობაში ლუთერს, როცა

---

[74] M. Luther, An die Ratsherrn..., გვ. 52.
[75] იქვე, გვ. 36.
[76] იქვე.
[77] იქვე.
[78] იქვე, გვ. 35.

წერდა: „ახალგაზრდებს არა ჰყავს ვინმე, რომელიც მათზე იზრუნებდა. ყველაფერი მიემართება საგნების ბუნებრივი სვლით... არადა, საჭიროა ცხოვრება და მართვა უკეთესად, ვიდრე ამას ისინი აკეთებენ“ [79]. ლუთერი სასოწარკვეთილებაში მაინც არ ვარდებოდა, იმედს იგი ქალაქის ხელისუფლებაზე ამყარებდა, მათგან მოითხოვდა სასკოლო და საუნივერსიტეტო გარდაქმნებს. სწორედ ამ საკითხს მიუძღვნა მან თავისი მიმართვა: „ყველა გერმანული ქალაქის საბჭოს წევრებს“, რომელშიც, უპირველეს ყოვლისა, მოუწოდებს ქალაქის ხელისუფალთ არ მიბაძონ მთავრებს და არ დაანებონ თვითდინებას აღზრდა-განათლების საქმე. მათ უნდა შეიგნონ, რომ ქვეყნისა და ქალაქებისათვის არ კმარა მხოლოდ მატერიალური სიმდიდრე, მაგარი გალავანი და სახლები, ან კიდევ იარაღის დაგროვება. არც ის კმარა, რომ ხელისუფალი „წმინდანად“ იწოდებოდეს [80], მთავარი, ყველაზე ძვირფასი სიმდიდრე მაინც განათლებული ადამიანებია: „ქალაქს უდიდესი აყვავების, ძლიერების პერიოდი მაშინ უდგება, როცა ყველაზე მეტი განათლებული, სწავლული, ჭკვიანი, პატიოსანი, ზრდილი მოქალაქე ჰყავს. მათი შემწეობით შეიძლება განძი და ყოველგვარი სიკეთეც უშიშრად დააგროვო, შეინახო და წესიერად მოიხმარო“ [81].

ქალაქის ხელისუფალთ ლუთერი ურჩევდა, მეტი დრო და სახსრები განათლებული ადამიანების გამრავლებისათვის დაეხარჯათ, ვიდრე იარაღის დამზადებისათვის, გზებისა და ჯებირების მშენებლობისათვის: „თუ თქვენ ყოველწლიურად ასე ბევრს ხარჯავთ ქვემეხების, გზების, ჯებირებისა და სხვა საქმეებისათვის“ — ქალაქის უშიშროებისა და კეთილმოწყობის ამ მიწიერი საქმეებისათვის, „კიდევ უფრო მეტის დახარჯვაა საჭირო ახალგაზრდობის აღზრდისა და განათლებისათვის“ [82]. ამგვარად, როგორც ეს ზემოთაც

---

[79] M. Luther, An den christlichen Adel..., გვ. 95.
[80] M. Luther, An die Ratsherrn..., გვ. 36.
[81] იქვე, გვ. 38—39.
[82] იქვე, გვ. 33.

ვთქვით, ლუთერს საერო ხელისუფალთა უპირველეს და უმაღლეს მოვალეობად განათლებისათვის ზრუნვა მიაჩნდა, ფიქრობდა, რომ ასეთ ზრუნვას აუცილებლად მოჰყვებოდა ღმერთისათვის სასურველი და საზოგადოებისათვის სასარგებლო ადამიანების მომრავლება, მისი ქვეყანაც თავს დააღწევდა „ფუტურო ჯირკის“ მსგავსი (ე. ი. გაუნათლებელი) მმართველების თვითნებობას. „ს ა უ კ ე თ ე ს ო ს კ ო ლ ე ბ ი ს“ (Allerbesten Schulen) გახსნა[83] — აი, ის კონკრეტული მოთხოვნა, რომელსაც უყენებდა ლუთერი საერო ხელისუფალთ. ვფიქრობთ, ცნებაში — „საუკეთესო სკოლები“ — ერთიანდებიან „ქრისტიანული სკოლები“ (christliche Schulen)[84] და „ქალთა სკოლები“ (Magdschule)[85], რომელთა გახსნის საჭიროებაზე არაერთგან მიუთითებს იგი.

V

მაინც როგორ წარმოედგინა ლუთერს ახალი სკოლა და რა კონკრეტულ მოთხოვნებს უყენებდა იგი მას?

ლუთერის შეხედულებანი სკოლის შესახებ ყველაზე მკაფიოდაა ჩამოყალიბებული თხზულებაში: „წესები ზედამხედველებისათვის“, რომელიც დაწერილია 1538 წელს. სწორედ მას შემოუნახავს დაწყებითი სკოლის შექმნის ლუთერისეული გეგმა, თუმცა მსგავსი გეგმა ლუთერს უფრო ადრეც ჰქონია, რასაც ადასტურებს სპალატინისადმი 1524 წელს გაგზავნილი წერილი: „გ ი გ ზ ა ვ ნ ი ს კ ო ლ ი ს გ ე გ მ ა ს, რ ა თ ა წ ა რ უ დ გ ი ნ ო კ უ რ ფ ი უ რ ს ტ ს; მ ა რ თ ა ლ ი ა, დ ი დ წ ა რ მ ა ტ ე ბ ა ს ა რ მ ო ვ ე ლ ი, მ ა გ რ ა მ ღ ვ თ ი ს ს ა ხ ე ლ ი თ მ ა ი ნ ც უ ნ დ ა შ ე ვ ე ც ა დ ო თ“[86]. წარუდგინა თუ არა ეს გეგმა სპალატინმა კურფიურსტს, არ არის ცნობილი, მაგრამ ის კი ნათელია, რომ მას უკვალოდ არ ჩაუვლია — კ. რაუმერის თქმით, ეს გეგმა საფუძვლად დაედო ლუთერის მეგობრისა და თანამოაზრის ფილიპე მელანხტონის „სავიზიტო წიგნაკში“ (1528) გადმოცემულ სასკოლო გეგმას, რომელიც მოიწონა კურფიურსტმა[87]. ამას თვითონ

---

[83] M. L u t h e r, An die Ratsherrn..., გვ. 35.
[84] იქვე, გვ. 33.
[85] M. L u t h e r, An den christlichen Adel..., გვ. 84.
[86] K. R a u m e r, დასახ. ნაშრ., გვ. 135.
[87] იქვე.

მელანხტონიც არ მალავდა — კამერარიუსისადმი წერილში, რომელიც „სავიზიტო წიგნაკთან“ დაკავშირებით გაუგზავნია, პირდაპირ აცხობს: „შენ ხედავ, მე სხვა არაფერი დამიწერია გარდა იმისა, რასაც ყველგან გადმოსცემს ლუთერი“[88]. მელანხტონისეული სასკოლო გეგმის[89] ლუთერისეულთან[90] შედარებაც გვარწმუნებს, რომ მელანხტონი თითქმის იმასვე იმეორებს, რასაც ლუთერი გადმოსცემდა. ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ლუთერს მელანხტონზე ბევრად ადრე შეუდგენია დაწყებითი სკოლის გეგმა.

ლუთერისეულ სასკოლო გეგმაში, უპირველეს ყოვლისა, ლაპარაკია, რომ ყველგან, სოფლებსა და ქალაქებში, გაიხსნას სამკლასიანი დაწყებითი სკოლები[91], რომ ამ მიზნისათვის საერო მმართველებმა არ დაიშურონ „არც ენერგია და არც ხარჯები“. მაშასადამე, ლუთერი აყენებდა დაწყებითი სკოლების საყოველთაოობის და მათდამი სახელმწიფოებრივი ზრუნვის იდეას. ამასთან, ლუთერი სჯამდა საკითხს სკოლების კლასებად დაყოფის შესახებაც[92]. მას ესმოდა, რომ სწავლების პროცესში არ შეიძლებოდა ბავშვის ასაკობრივი ცვლილებისა და ცოდნის უმარტივესი წარმოდგენებიდან რთულისაკენ გადასვლის აუცილებლობის პრინციპის გაუთვალისწინებლობა. ასე, მაგალითად, მისი აზრით, თუ პირველ კლასში ბავშვები ისწავლიდნენ წერა-კითხვას, „მამაო ჩვენოს“ და სხვა აუცილებელ ლოცვებს, მეორე და

---

[88] K. Raumer, დასახ. ნაშრ., გვ. 135: „Tu vides, nihil aliud me scripsisse, quam quod passim tradidit Lutherus“.

[89] იქვე, გვ. 155—153.

[90] Ю. Паротц, Всеобщая история педагогики, გვ. 94—96.

[91] იქვე, გვ. 94.

[92] დაწყებითი სკოლების სამ კლასად დაყოფის ეს იდეა, ვფიქრობთ, საფუძვლად დაედო იოჰან შტურმის მიერ შექმნილ გიმნაზიას, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა სტრასბურგში 1537 წელს. იგი იყოფოდა 10 კლასად, თითოეულ კლასს ცალკე მასწავლებელი ჰყავდა. საფიქრებელია, რომ ამ პრინციპს ემორჩილებოდა უფრო ადრე, 1526 წელს, ნიურნბერგში გახსნილი გიმნაზიაც, რომელიც, ბეცოლდის სამართლიანი თქმით, ქალაქის ხელისუფალთადმი ლუთერის მიმართვის უშუალო შედეგი იყო (Фр. Бецольд, История Реформации в Германии, пер. с немец. т. II, СПБ., 1900, გვ. 59).

მესაწე კლასებში ისინი დაეუფლებოდნენ გრამატიკას, გაეცრმავებდნენ რელიგიურ და მუსიკალურ ცოდნას, წაიკითხავდნენ და დაიზეპირებდნენ ესოპეს იგავ-არაკებს, ვირგილიუსს და ა. შ., რათა დაუფლებოდნენ ლათინურ ენას [93]. ამავე დროს, დაწყებითი სკოლის ბავშვები არ უნდა გადაეტვირთათ ერთდროულად რამდენიმე ენის შესწავლით ან „ბევრი წიგნის“ კითხვით, რადგან ეს ბავშვების აღზრდას მიაყენებდა დიდ ზიანს [94]; მასწავლებელთა თხრობა უნდა ყოფილიყო „მოკლე და გასაგები“, რათა დროის მოკლე მონაკვეთში (ერთი-ორი საათი დღეში) გადმოეცათ დაწყებითი სწავლებისათვის გათვალისწინებული მასალა, დანარჩენი დრო კი, ფიქრობდა ლუთერი, ბავშვებს უნდა მოეხმარათ ოჯახური საქმეებისათვის, ხელობის ან იმის შესასწავლად, რისთვისაც მოწოდებულნი არიან [95].

ლუთერი ჩერდებოდა დაწყებითი სკოლის კონკრეტულ ამოცანებზეც: ახალი სკოლის ამ პირველ ფაზას (თუ როგორი უნდა ყოფილიყო სწავლების უფრო მაღალი საფეხურები, ამაზე ლუთერი დაწვრილებით არ ჩერდება) ნიადაგი უნდა მოემზადებინა „ეკლესიისა და საზოგადოებისათვის საჭირო ადამიანებისათვის“ [96]. უპირველესი მოთხოვნა, რომელსაც ლუთერი აყენებდა, ეს იყო რელიგიური აღზრდა, ზრუნვა ბავშვების „სულიერი საწყისების განვითარებისა და სულის ხსნისათვის [97]. სხვაგვარად თეოლოგს არც შეეძლო, თუმცა ლუთერი გამონაკლისი როდია — ასეთი შეზღუდულობა ახასიათებს როგორც მისი თანამედროვე, ისე მომდევნო ხანის უამრავ მოწინავე ადამიანს.

ამასთან, რაც ასე ნიშანდობლივი და საყურადღებოა, „ქრისტიანულ საწყისებზე“ დაფუძნებული „საუკეთესო სკოლების“ დანიშნულება ლუთერს „მატერიალური თვალთახედვითაც“ აქვს გააზრებული. იგი გარკვევით ამბობს: „სული რომ არ არსებობდეს, ღმერთისა და საღვთო წერილის გამო სკოლები და ენების დაუფ-

[93] სხვათა შორის, ლუთერი, რომელმაც ბიბლიის თარგმნით საფუძველი ჩაუყარა გერმანულ სალიტერატურო ენას, იცავდა იმ აზრს, რომ სწავლება დაწყებით სკოლაში ყოფილიყო ლათინურ ენაზე. თუ რითი ხსნიდა ამის საჭიროებას, ამაზე მოგვიანებით ვისაუბრებთ.

[94] Ю. Пароти, დასახ. ნაშრ., გვ. 94.

[95] M. Luther, An die Ratsherrn..., გვ. 52.

[96] Ю. Пароти, დასახ. ნაშრ., გვ. 94.

[97] M. Luther, An die Ratsherrn.... გვ. 50.

ლება რომ არ იყოს საჭირო, მხოლოდ ეს მიზეზიც (ე. ი. საერო ცხოვრება და საერო მმართველობის არსებობა — გ. კ.) კი საკმარისი იქნებოდა იმისათვის, რომ ყველგან დაგვეარსებინა სკოლები ბიჭებისა და გოგონებისათვის. ეს იმიტომ, რომ ყოველდღიური ცხოვრება მოითხოვს დახვეწილ (ე. ი. განათლებულ — გ. კ.) მამაკაცებსა და ქალებს, რათა მამაკაცებმა ქვეყნის მართვა შეძლონ, ხოლო ქალებმა — სახლ-კარის გაძღოლა და ბავშვების აღზრდა [98]. ერთი სიტყვით, სკოლებმა ახალგაზრდებს უნდა მისცეს ამქვეყნიური ცხოვრების შესაფერისი განათლება, უნდა ასწავლოს ოჯახისა და მეურნეობის გაძღოლის, აგრეთვე ქვეყნის მართვის, ხელოვნება. ასე მაგალითად, მომავალი ოჯახის მამამ ან სახელმწიფოს მმართველმა სკოლაშივე უნდა გაიგოს, რომ არ შეიძლება სხვაგან ეძებდე ნივთს, რომლის დამზადებაც თავად შეგიძლია, რომ უცხოურით გატაცებას მოაქვს არა იმდენად სიკეთე, რამდენადაც ზნეობრივი დაცემა, რომ მხოლოდ მაშინ შეიძლება დავეხმაროთ ცალკეულ პირს, ოჯახს თუ სახელმწიფოს, როცა საკმარისზე მეტი გვაქვს და ესეც „განსაკუთრებული გაჭირვების“ შემთხვევაში, რადგან სისტემატური დახმარებით ჩვენ ხარკს ვუხდით არა მოყვასისადმი სიყვარულს, არამედ ვამრავლებთ სიზარმაცესა და მათხოვრებს, ადამიანები, რომლებიც „სიზარმაცეს“ შეუპყრია, „რაც უფრო მეტს ეხმარები, მით უფრო მეტს მათხოვრობენ“ [99]. ლუთერს ესმის, რომ ყოველივე ამის ცოდნა მზამზარეულად, „ზემოდან“ არ მოდის, და ასკვნის: სხვა რომ არაფერი, ეს მიზეზებიც კმაროდა იმისათვის, რომ შექმნილიყო „ყველაზე საუკეთესო სკოლები“ [100].

ცხადია, სკოლის დანიშნულებაზე გამოთქმულ ლუთერის ამ მოსაზრებებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ დროისათვის. ამით, როგორც ეს ზემოთაც აღვნიშნეთ, რეფორმატორი უპირისპირდებოდა სქოლასტიკური სწავლების დამცველებს ანუ, როგორც თვითონ უწოდებდა, „სოფისტებს“ [101], რომლებიც საერო ცხოვრებას „ეშმაკის დაწესებულად და არაქრისტიანულად“ აცხადებდნენ და,

---

[98] M. Luther, An die Ratsherrn..., გვ. 50.

[99] Luther Deutsch, Tischreden. გვ. 264.

[100] M. Luther, An die Ratsherrn..., გვ. 49.

[101] აღსანიშნავია, რომ სქოლასტებს ჰუმანისტებიც „სოფისტებს“ უწოდებდნენ. შესაძლებელია, ლუთერი მათგან სესხულობს ამ გამოთქმას.

აქედან გამომდინარე, სკოლებს „იმ ზომამდე განცალკევებულ მიმართულებას“ აძლევდნენ, რომ „ახალგაზრდებს მარტოოდენ სასულიერო წოდებისათვის ამზადებდნენ“. მეტიც, ლუთერის თქმით, ისინი იქამდეც კი მიდიოდნენ, რომ მასწავლებელს, რომელიც დაქორწინდებოდა, საყვედურითა და დაცინვით იკლებდნენ, ყველგან და ყოველთვის მასზე მიუთითებდნენ: „აი ადამიანი, რომელმაც სასულიეროზე მაღლა საერო ცხოვრება დააყენაო“ [102].

ამგვარად, ლუთერმა მნიშვნელოვნად შეარყია სქოლასტიკური სწავლების საფუძვლები, მიუთითა როგორც ცხოვრებასთან კავშირის, ისე მისგან გამომდინარე რეალური ცოდნის აუცილებლობაზე. მან ახალ სკოლას ამოცანად დაუსახა როგორც ეკლესიისათვის, ისე სახელმწიფოსათვის საჭირო „ზნეობრივად სრულყოფილი და დახელოვნებული ადამიანების“ — მქადაგებლების, მღვდლების, მმართველების, იურისტების, მწერლების, ექიმების, სკოლის მასწავლებლების და ა. შ. — მომზადება [103].

დაწყებითი სკოლის შექმნის ლუთერისეული მოთხოვნა მნიშვნელოვანია იმითაც, რომ აქ დაგმობილია ყოველგვარი შეზღუდვა — დაწყებითი სკოლა უნდა გაეღო ყველა ბავშვს: მდიდარსა და ღარიბს, დიდგვაროვანსა და მდაბიოს, ბიჭებსა და გოგონებს [104]. განსაკუთრებით უბრალო ადამიანთა შვილების გაუნათლებლობა აწუხებდა მას. მართალია, გლეხთა ომის დროს ლუთერმა სასტიკად დაგმო აჯანყებული გლეხების საქმიანობა (თუ რითი აიხსნება ეს, ამაზე მომდევნო თავში გვექნება საუბარი), მაგრამ მშრომელი ხალხის (იგი თვითონ იყო გლეხური წარმოშობისა) გაჭირვებასა და მათი განათლების საჭიროებაზე ზრუნვა (სვადოვსკი, როგორც ზემოთ ვთქვით, ამას გამორიცხავს) არასოდეს შეუწყვეტია. ამას ადასტურებს ლუთერისეული მოკლე კატეხიზმოს (1529) წინასიტყვაობაც, რომელიც 1527—1529 წლებში საქსონიის საკურფიურსტოში მოწყობილი საეკლესიო შემოწმების შთაბეჭდილებითაა დაწერილი. „ხალხის საცოდავმა, უბადრუკმა, გაჭირვებულმა მდგომარეობამ, — წერს ლუთერი აქ, — რომელიც მე მინახავს შემოწმების დროს, მაიძულა შემედგინა ეს კატეხიზმო ანუ მოძღვრება ქრისტიანული რწმენის შესახებ... ღმერთო ჩემო, რამდენი

---

[102] M. L u t h e r, An die Ratsherrn..., გვ. 49.

[103] M. L u t h e r, Daß man Kinder zur Schulen halten solle, გვ. 231.

[104] M. L u t h e r, An die Ratsherrn..., გვ. 37—38, 50, 52.

გაჭირვება ვნახე მე! უბრალო ხალხმა, განსაკუთრებით სოფლებში, არაფერი იცის ქრისტიანული მოძღვრების შესახებ; სამწუხაროდ, თვით მრავალ სამრევლო მღვდელსაც სრულებით არ ძალუძს ქადაგება“ [105]. აღნიშნული საეკლესიო შემოწმების შთაბეჭდილებითაა დაწერილი მელანხტონის ეს სიტყვებიც: „პასუხისმგებლობა როგორ უნდა ავიღოთ იმაზე, რომ ღარიბი ადამიანები აქამდე უსწავლელები იმყოფებიან: გული მიწუხს ამ გაჭირვების მნახველს. ხშირად, რომელიმე ადგილის შემოწმების დამთავრების შემდეგ, მე გავდგებოდი განზე და მწუხარებას ცრემლებით ვიქარვებდი. დიახ, ვინ არ დამწუხრდება, როცა ხედავს, თუ როგორ იღუპება ადამიანის ნიჭი და გონება. ასე მრავლის შესწავლის და ასე ბევრის გაგების უნარის მქონეთ წარმოდგენაც არა აქვთ შემოქმედზეც კი“ [106]. აღსანიშნავია, რომ ლუთერი, როცა ლაპარაკობს უბრალო ადამიანების, შვილების გაუნათლებლობაზე, მხედველობაში ჰყავს ქალებიც. მსგავსად ერაზმ როტერდამელისა, ლუთერი წუხს იმის გამო, რომ მის თანამედროვე გერმანიაში გოგონების სწავლება ძალიან ცუდადაა დაყენებული, რომ ამ მხრივ გერმანელებს „ბევრად სჯობდნენ წარმართები, — ბერძნები და რომაელები, რომლებიც სერიოზულად ეკიდებოდნენ როგორც ვაჟების, ისე ქალების აღზრდას“ [107]. მართალია, ლუთერი მოითხოვდა, სკოლებში ქალებს, უპირველეს ყოვლისა, ოჯახის მოვლისა და შვილების „კარგად აღზრდის“ ხელოვნება შეეთვისებინათ, მაგრამ არ გამორიცხავდა მათგან საზოგადოებისათვის სხვა სარგებლობის მოტანის შესაძლებლობასაც — მას ღრმად სწამდა, რომ ქალებისაგან კარგი მასწავლებლებიც დადგებოდნენ [108]. ამიტომაც მოითხოვდა იგი სკოლების გახსნას „ორივე სქესის“ ბავშვებისათვის [109]. მაშასადამე, როგორც ამას სამართლიანად შენიშნავს პედაგოგიკის ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი გ. ფრანსუა, ლუთერი უკვე 1520—1524 წლებში გამოთქვამს საყოველთაო დაწყებითი სწავლების იდეას [110], ამაზე საუბარი მას არც გლეხთა ომის შემდეგაც შეუწყვეტია, რაშიც ჩვენ ქვემოთ კიდევ უფრო დავრწმუნდებით.

---

[105] Фр. Диттес, История воспитания и обучения, СПБ., 1873, გვ. 135.
[106] იქვე.
[107] M. Luther, An die Ratsherrn..., გვ. 49—50.
[108] იქვე, გვ. 50, 53.
[109] იქვე, გვ. 50.
[110] Г. Франсуа, დასახ. ნაშრ., გვ. 52. 55.

უნდა ითქვას იმის შესახებაც, რომ ლუთერს საყოველთაო დაწყებითი განათლების იდეის ცხოვრებაში გატარება ადვილად არ ესახებოდა. მას განსაკუთრებით აშინებდა სწავლებისადმი მშობლების გულგრილი დამოკიდებულება, რომელიც სუფევდა მის თანამედროვე გერმანიაში. „ყველგან, მთელს გერმანულ მიწაზე, — წერდა იგი ამასთან დაკავშირებით, — ჩვენ ვხედავთ ერთსა და იმავეს—უნივერსიტეტები დაცარიელდა, ასევეა დაწყებით სკოლებშიც, არავის სურს ასწავლოს თავიანთ ბავშვებს". უბრალო ადამიანებმა, ლუთერის თქმით, სავსებით შეწყვიტეს ფიქრი სკოლების საჭიროებაზე, ისინი მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, თუ როგორ გამოკვებონ თავიანთი შვილები, რითაც უდიდეს განსაცდელს უმზადებენ ახალგაზრდებს, როგორც სასულიერო, ისე საერო წყობილებას.

სწორედ ასეთ საგანგებო შემთხვევას უძღვნა ლუთერმა თავისი ქადაგებაც — „სკოლებში ბავშვების მიბარების აუცილებლობის შესახებ" (1530) [111], სადაც მრავალფეროვანი არგუმენტაციების მეშველიებით რეფორმატორი ცდილობს დაარწმუნოს უბრალო ადამიანები, თუ რა რიგ მოვალენი არიან ისინი — მიაბარონ თავიანთი შვილები სკოლას, თუ რაოდენ დიდია სიკეთეც, რომელიც მოაქვს სწავლას.

ლუთერი, როცა უბრალო ადამიანთა შვილების სკოლებში მიბარების აუცილებლობას ქადაგებს, უპირველეს ყოვლისა, რელიგიური პრინციპიდან ამოდის — მშობლებს, მისი აზრით, ღმერთმა ბავშვები არგუნა არა მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისათვის, არამედ იმიტომაც, რომ მათგან აღიზარდოს ღვთისმსახურნი — ეს იქნება მღვდელი, მოძღვარი, მქადაგებელი, თუ სხვა ვინმე. რა თქმა უნდა. ლუთერი შორს დგას იმ აზრისაგან, რომ ყველა ჰაბუკი, ვინც სკოლას გაივლის, აუცილებლად დაიჭერს უმაღლეს სასულიერო თანამდებობას. ეს მხოლოდ ნიჭიერთა ხვედრია, თუმცა, ლუთერის აზრით, ნაკლებად ნიჭიერებიც, რომლებმაც გაიარეს სკოლა, ისწავლეს იმდენი, რომ შეუძლიათ ლათინურის გაგება, წერა და კითხვა, შეიძლება გამოვიყენოთ სამრევლო მოძღვრებად, რომლებიც ახალგაზრდებს და უბრალო ხალხს გააცნობდნენ სახარებას და კატეხიზმოს, შეასრულებდნენ მონათვლისა და ზიარების ცე-

---

111 M. Luther, Daß man Kinder zur Schulen halten solle, გვ.193—232.

რემონიალს. მაშასადამე, ლუთერის თქმით, საჭიროა საღვთო წერილის არა მარტო მაღალგანათლებული დოქტორები და მაგისტრები, არამედ უბრალო სამრევლო მოძღვრებიც [112].

ლუთერს საესებით დასაშვებად მიაჩნია, რომ ზოგიერთმა ახალგაზრდამ, რომელიც დაეუფლა ლათინურს, ხელი მოჰკიდოს ხელობას, გახდეს ბიურგერი და ამით ირჩინოს თავი, თუმცა ასეთი პირი შეიძლება ჩაითვალოს თადარიგში მყოფად, რომელიც საჭიროების შემთხვევაში მოძღვრის ან მღვდლის მოვალეობას შეასრულებს.

ლუთერი ფიქრობს, რელიგიისადმი სამსახური უბრალო ადამიანთა შვილებს მატერიალურადაც უზრუნველყოფს; რელიგიური მოძღვრება, მისი თქმით, არა თუ ზღუდავს სასულიერო პირებს, არამედ, პირიქით, ეხმარება მათ საზრდოს მოპოვებასა და ოჯახის გაძღოლაში [113].

აღსანიშნავია, რომ უბრალო ადამიანთა შვილების სკოლებში მიბარების აუცილებლობას ლუთერი საერო, ამქვეყნიური ცხოვრების ინტერესებითაც ხსნის. უბრალო ადამიანებს, უპირველეს ყოვლისა, არწმუნებს, რომ საერო ხელისუფლება — ეს მარტო იმპერატორი, მთავრები, გრაფები, ბარონები და სხვა, მემკვიდრეობით მიღებული თანამდებობის პირები როდია; საერო ხელისუფლებას ქმნიან მათთან სამსახურში მყოფი ის პირებიც (მაგალითად, კანცლერები, იურისტები, მრჩევლები, მდივნები და ა. შ.), რომელთა მეტი ნაწილი უბრალო ადამიანების წრიდანაა გამოსული. თუ პირველთა ხელშია მხოლოდ „ძალა და მუშტი", მეორენი ფლობენ განათლებას, ინახავენ კანონებსაც, რომლებიც ასე საჭიროა ადამიანების მართვისათვის [114]. ამასთან, განათლებას ანგარიშს უწევენ თვით ის პიროებიც, რომელთა ხელშია ძალა. ლუთერი იშველიებს იმპერატორ მაქსიმილიანე I-ის (1493—1519) ავტორიტეტს, — სასახლის მსახურთა „ბუზღუნზე", რომ იგი ელჩად და სხვა თანამდებობებზე ნიშნავს მხოლოდ განათლებულ ადამიანებს, იმპერატორს უთქვამს: „მე რა ვქნა? რადგან ისინი (ე. ი. წარჩინებულნი — გ. კ.) უვარგისები არიან, ძალაუნებურად მიხდება გა-

---

[112] M. L u t h e r, Daß man Kinder zur Schulen halten solle, გვ. 201—202, 209.

[113] იქვე, გვ. 210.

[114] იქვე, გვ. 213—218.

ნათლებულთა აყვანა"; ან კიდევ: „აზნაური შემიძლია შევქმნა, დოქტორი კი — ვერა" [115]. ამგვარად, ლუთერის აზრით, იმპერატორთან და მთავრებთან სამსახურში მყოფი „კანცლერები, იურისტები, მდივნები, და სხვა მოხელეები", როცა განათლების წყალობით იკავებენ უმაღლეს თანამდებობას, ფაქტობრივად, ქვეყნის მბრძანებლებიც ხდებიან, თუმცა „წარმოშობით ისინი არ განეკუთვნებიან უმაღლეს წოდებას". აქ, ლუთერის თქმით, ღმერთის ნებაც ვლინდება. „ღმერთს, — წერს იგი, — არ სურს, რომ ერთპიროვნულად მართავდეს და ბატონობდეს მხოლოდ ის, ვინც დაიბადა მეფედ, მთავრად, გრაფად ან აზნაურად. ღმერთს სურს, რომ ხელისუფლებას ღარიბებიც ფლობდნენ. სხვაგვარად აზნაურები იფიქრებდნენ, თითქოს ღმერთი კი არა, წარჩინებული წარმომავლობა იძლევა ხელისუფლებას და მართვას" [116]. იგივე აზრს შეიცავს ლუთერის ეს სიტყვებიც: „შენი და ჩემი შვილი, ბავშვები უბრალო ადამიანებისა, ჩემის აზრით, ყოველთვის იქნებიან მსოფლიოს, საერო და სასულიერო ცხოვრების, მმართველები". ისინი ქმნიან იმ წყაროს, რომლიდანაც გამომდინარეობს სასულიერო ხელისუფლება—სულის მობღვარნი, მათგანვე მომდინარეობს საერო ხელისუფლების ის ნაწილიც, რომელიც გონებას ფლობს „მუშტის" საპირისპიროდ. „ეს ასეა, და მარად ასე იქნება" [117], — ასკვნიდა ლუთერი.

მრავლისმეტყველი სიტყვებია. მართალია, განათლება აქ წარმოდგენილია როგორც სოციალურ ფენათა შორის აღმართული მიჯნების და ჯებირების გადალახვის ე რ თ გ ვ ა რ ი საშუალება (ეს იდეა შემდეგში, რა თქმა უნდა, უფრო სრულყოფილი სახით, განმანათლებელთა ფილოსოფიის ერთ-ერთი ამოსავალი პრინციპი ხდება), ქვეყნის მართვა-გამგეობაში მონაწილეობაზე უბრალო ადამიანთა უფლებამოსილებას აქ ღმერთის სანქციაც ენიჭება, მაგრამ ლუთერის უპირველესი მიზანი მაინც ის იყო, რომ აღმოეფხვრა უბრალო ადამიანთა გულგრილობა განათლებისადმი, დაერწმუნებინა ისინი, რომ აუცილებელია ბავშვების სკოლაში მიბარება. ამაზე მიუთითებს მისი მტკიცებაც — განათლებაზე უარის თქმა, რო-

---

[115] M. L u t h e r, Daß man Kinder zur Schulen halten solle, გვ. 224.

[116] ი ქ ვ ე, გვ. 220, 225.

[117] ი ქ ვ ე, გვ. 226.

გორც ამას უბრალო ადამიანები აკეთებენ, ღალატია მშობლიური ხალხისა და ქვეყნის წინაშე. „თუ გყავს ნიჭიერი შვილი, — მიმართავს ლუთერი უბრალო ადამიანებს, — და გაქვს იმის შესაძლებლობაც, რომ ასწავლო მას, შენ კი არ აკეთებ ამას, მაშინ საზოგადოებისათვის შენ სხვა არაფერი ხარ, თუ არა თურქი ან თვით ეშმაკი, რადგან ამით იმპერიას, სამთავროს, ოლქსა და ქალაქს ართმევ მხსნელს, ნუგეშისმცემელს, დასაყრდენს, დამცველს. შენი მიზეზით იმპერატორი დაკარგავს გვირგვინს და მახვილს, ხოლო ქვეყანა მშვიდობას და სიმშვიდეს“ [118].

უბრალო ადამიანებს ლუთერი ჩააგონებს, რომ მათი შვილებიდან უნდა აღიზარდონ არა მარტო პოლიტიკური მოღვაწეობისათვის საჭირო ადამიანები (კანცლერები, მრჩევლები, მდივნები და ა. შ.), არამედ ის „სწავლულებიც“, რომლებიც გაუძღვებიან „მედიცინისა და თავისუფალი მეცნიერების“ დარგებს. მაშასადამე, ლუთერის აზრით, ყველა ბავშვმა უნდა გაიაროს სკოლა, რადგან არც ერთი პროფესია არ მიიღება სხვაგვარად, თუ არა „გრამატიკების და სხვადასხვა მეცნიერებათა“ შესწავლის გზით [119].

ასეთ შეგონებებს რომ ქადაგებს, ლუთერი არ გამორიცხავს, რომ ღარიბთა ბავშვების სწავლებას შეიძლება სიძნელეებიც ახლდეს, რომ გაჭირვებამ შეიძლება ისინი მათხოვრებადაც აქციოს, მაგრამ ამას არ უნდა შეუშინდნენ, გული არ უნდა აიცრუონ სწავლაზე. ლუთერი არ მალავს, თვითონ მასაც რომ განუცდია გაჭირვება: „მეც ვიყავი მათხოვარი, — მეც ვაგროვებდი პურს სახლებში, განსაკუთრებით ჩემს მშობლიურ ქალაქ აიზენახში“. მაგრამ ესაა დროებითი მოვლენა, რომელიც უნდა აიტანოს თითოეულმა მშობელმა. შემდეგ კი, განათლების წყალობით, მათ შვილებს „სიმდიდრეც მოუვა და დიდებაც“, ქალაქებსა და მთავრებს შორის კი ატყდება კინკლაობა, თუ რომელს დარჩეთ ისინი. გაჭირვებაგამოვლილი ლუთერი თავის თავზე წერს: „ამჟამად, ჩემი კალმის წყალობით, მე ისე ავმაღლდი, რომ ჩემს ცოდნას არ გავცვლიდი თურქეთის სულთნობაზე, ამ უკანასკნელს მთელი თავისი განძიც რომ შემოეთავაზებინა“... „ამას კი, — დასძენს ლუთერი, — ვერასოდეს ვერ მივაღწევდი, სკოლაში რომ არ მევლო“ [120].

---

[118] M. L u t h e r, Daß man Kinder zur Schulen halten solle, გვ. 218.

[119] იქვე, გვ. 227.

[120] იქვე, 225—226.

სკოლებში უბრალო ადამიანთა შვილების სწავლების აუცილებლობაზე რომ მსჯელობს, ლუთერი გამოთქვამს ერთ ასეთ საინტერესო მოსაზრებასაც: „არავითარი თანამდებობაც რომ არ ეკავოს, განათლება თავისთავად დიდ სიამოვნებას ანიჭებს კაცს. განათლებულ ადამიანს, თუნდაც სახლში მყოფს, შეუძლია იკითხოს ყველაფერი, რაც მას აინტერესებს, შეუძლია ნაცნობობა დაამყაროს სწავლულ ადამიანებთან, შეუძლია იმოგზაუროს უცხო ქვეყნებში“ და ა. შ. დასასრულ, ამ შეგონებების შემდეგ, ლუთერი დაბეჯითებით ურჩევს მშობლებს: „თამამად გაუშვი შენი შვილი სკოლაში!“ [121].

ლუთერი ხედავდა, რომ შეგონება-დარწმუნების ეს მეთოდი ყოველთვის არ იძლეოდა სასურველ შედეგს. ამიტომაც არ გამორიცხავდა იძულებასაც, რისი უფლებაც საერო ხელისუფალთ გააჩნდათ. რაკი, ლუთერის აზრით, ქვეყნისათვის საჭიროა განათლებული ადამიანები — მქადაგებლები, მასწავლებლები, იურისტები, და ა. შ., ხელისუფალნი მოვალენი არიან (რა თქმა უნდა, საჭიროების შემთხვევაში) აიძულონ ქვეშევრდომები, რათა თავიანთი შვილები მიაბარონ სკოლებს. ასეთი იძულება საჭიროა იმიტომაც, რომ გერმანელი ხალხი ჩაბმულია „უსასრულო და მძვინვარე ომში“, რომელსაც ფარულად „აწარმოებს ეშმაკი“ (ლუთერს რომის პაპი ჰყავს მხედველობაში). ეს უკანასკნელი, უპირველეს ყოვლისა, იმისაკენ მიისწრაფვის, რომ ქვეყანას გამოაცალოს განათლებული ადამიანები. „ეშმაკი ფარულად და შეუმჩნეველად მიისწრაფვის, როგორმე გამოწვოს ქალაქები და სამთავროები, ართმევს ნიჭიერ პიროვნებებს და არ მოისვენებს, ვიდრე არ ამოჰამს გულს და არ დატოვებს მხოლოდ ნაჯუჯს — სავსებით უვარგის ადამიანებს, რომლებიც მის ხელში იქნებიან მარიონეტები, მხოლოდ მისი სურვილის აღმსრულებელნი. შემდეგ კი ქალაქები და ქვეყნები, რადგან მათ არ ეყოლებათ განათლებული ადამიანები, ბრძოლისა და ყოველგვარი ხმაურის გარეშე, თავისთავად დაინგრევიან“ [122]. და ასე რომ არ მოხდეს, ამიტომაა იძულება საჭირო. „ომის შემთხვევაში, — წერს იგი ამასთან დაკავშირებით, — თუ მთავრობას უფლება აქვს აიძულოს თავისი ქვეშევრდომები, გან-

---

[121] M. Luther, Daß man Kinder zur Schulen halten solle, გვ. 219, 226.
[122] იქვე, გვ. 231—232.

საკუთრებით ძლიერნი და ნიჭიერნი, ატარონ შუბები და სიათა, აირბინონ კედლებზე და შეასრულონ სხვა მოძრაობანიც, რომელთაც ომი უკარნახებთ, მას მით უფრო შეუძლია და უნდა აიძულოს კიდეც, რათა ქვეშევრდომებმა ბავშვები გაგზავნონ სკოლებში“ [123]. აღსანიშნავია, რომ ასეთი მოსაზრება ადრე არავის გამოუთქვამს. ამდენად, მართალია ლ. მოდზალევსკი, როცა შენიშნავს, რომ ლუთერმა პირველმა დაუდო საფუძველი სწავლების იძულებით სისტემას [124]. ლუთერიდან გამომდინარე, დაწყებითი სავალდებულო სწავლების ეს პრინციპი დღესაც ძალაშია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

იბადება კითხვა: ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ლუთერი ასევე საყოველთაოდ და სავალდებულოდ აცხადებდა სასკოლო სწავლების მომდევნო საფეხურების გავლასაც? მართალია, როგორც ეს ზემოთაც ვთქვით, ლუთერს არაფერი უთქვამს, თუ როგორი უნდა ყოფილიყო კონკრეტულად სწავლების მომდევნო საფეხურები, მაგრამ, ერთი რამ ცხადია, იგი არ თელიდა სავალდებულოდ, სახელმწიფოში ყველა ადამიანი ნასწავლი ყოფილიყო, რადგან სწავლის ყველა საფეხურის გავლის უნარი (ნიჭი) ყველას ერთნაირად როდი გააჩნია. ლუთერის იდეალი ის იყო, რომ დაწყებითი განათლების მიღების შემდეგ ყოველი ბავშვი იმ გზას გაჰყოლოდა, რისი მისწრაფებაც ჰქონდა: ზოგს უნდოდა ესწავლა ხელობა, — იქნებოდა ეს მიწათმოქმედებასთან, თუ ხელოსნობასთან დაკავშირებული, — განსაკუთრებით ნიჭიერებს კი უნდა განეგრძოთ სწავლა. საქმისადმი ასეთი დამოკიდებულების შედეგად ქვეყანას ეყოლებოდა ყველა დარგის სპეციალისტი — როგორც მუშახელი, ისე სწავლული ადამიანი. ეს კი, ლუთერის თქმით, უდიდესი ბედნიერებაა როგორც ღმერთისათვის, ისე ქვეყნისათვის [125]. ლუთერის ამ მსჯელობაში შეიძლება ზოგი რამ დღეს მიუღებელია, მაგრამ მასში არის რაციონალური მარცვალიც.

ლუთერი სვამდა საკითხს ნიჭიერი ბავშვების შერჩევის შესახებ. მისი თქმით, ეს უნდა მომხდარიყო დაწყებითი სწავლების პირობებში; დაწყებით სკოლაში ხედავდა იგი თავისებურ ლაბორატო-

---

[123] M. Luther, Daß man Kinder zur Schulen halten solle, გვ. 231—232

[124] Л. Модзалевский, Очерк истории воспитания и обучения с древнейших до наших времен, СПБ., 1892, გვ. 268.

[125] M. Luther, An die Ratsherrn..., გვ. 52.

რიას, რომელსაც უნდა გამოევლინა „სამაგალითო“ ბავშვები, რომელთაგანაც ქვეყნისათვის საჭირო ადამიანები გაიზრდებოდნენ. ასეთი ბავშვებისადმი ლუთერი განსაკუთრებულ მიდგომას მოითხოვდა, ფიქრობდა, რომ თვით დაწყებითი სწავლების პირობებშიც კი უფრო ხანგრძლივი ყოფილიყო მათი მეცადინეობა, ვიდრე ჩვეულებრივ, სხვა ბავშვებისა [126]. ამასთანავე, ლუთერი საერო ხელისუფალთა წინაშე სვამდა საკითხს, მხედველობიდან არ გამორჩენოდათ არც ერთი ნიჭიერი ბავშვი, რა სოციალური ფენის წარმომადგენელიც არ უნდა ყოფილიყო იგი. ხელისუფალთა ყურადღება საჭირო იყო იმიტომაც, რომ მის თანამედროვე გერმანიაში საკმაოდ ბევრი იყო ღარიბი ადამიანი, რომელსაც არ შეეძლო შვილებისათვის მიეცა განათლება, იყვნენ ობოლი ბავშვებიც, მფარველობას და ზრუნვას რომ საჭიროებდნენ. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში მას, როცა წერდა: „თუ მამა ღარიბია, მაშინ შეიძლება მას დავეხმაროთ საეკლესიო ქონებიდან. მათ სასარგებლოდ მდიდრებსაც შეუძლიათ დატოვონ ანდერძი, როგორც ამას ადრე აკეთებდნენ, როცა აწესებდნენ სხვადასხვა სტიპენდიებს“. ამგვარად, „საჭირო ცოდნისა და აღზრდის“ გარეშე არ უნდა დარჩენილიყო არც ერთი ნიჭიერი ბავშვი [127].

ლუთერი საერო ხელისუფალთა უკეთილშობილეს მოვალეობად იმასაც თვლიდა, რომ უნივერსიტეტებში სტუდენტთა დაკომპლექტებისას არ დაეშვათ შემთხვევითობა და მიეღოთ მხოლოდ ღირსეულები. „უნივერსიტეტებში, აცხადებდა იგი, უნდა გაიგზავნოს არა ყველა მსურველი, როგორც ახლა ხდება, როცა ზრუნავენ მხოლოდ რაოდენობაზე და რომელთაგან თითოეულს სურს ჰქონდეს დოქტორის ხარისხი, არამედ მხოლოდ ყველაზე ნიჭიერები“, რომლებმაც საამისო განათლება მიიღეს. „ამას ყურადღება უნდა მიაქციონ მთავრებმა და ქალაქის საბჭოებმა, რომლებმაც იქ გაგზავნის ნება უნდა დართონ მხოლოდ ძალიან ნიჭიერთ“ [128]. დღევანდელი ენით რომ ვთქვათ, ლუ-

---

[126] M. Luther, An die Ratsherrn..., გვ. 53.

[127] იქვე, გვ. 38.

[128] M. Luther, An den christlichen Adel...., გვ. 85.

თერი გამოდიოდა ყოველგვარი ლიბერალიზმის წინააღმდეგ და სტუდენტობას, თუ სხვა სახის დაწინაურებას, მხოლოდ ნიჭის მიხედვით მოითხოვდა.

ამრიგად, ლუთერი სკოლების „ახლებურად“ მოწყობისა და დანიშნულების საკითხებს რომ ეხებოდა, გამოთქვამდა მრავალ საინტერესო მოსაზრებას, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავთ აქტუალობა: ერთ-ერთი მათგანია საყოველთაო დაწყებითი სწავლების იდეა: მეორე, სწავლების შემდგომ ეტაპზე მხოლოდ ნიჭიერი ბავშვების დაშვება; მესამე, ვაჟების თანაბრად ქალების სწავლების მოთხოვნა; მეოთხე, რომ სკოლა უნდა იყოს ზნეობრივი სრულყოფისა და ამქვეყნიური ცხოვრებისათვის საჭირო ადამიანების აღზრდის კერა; მეხუთე, სასკოლო აღზრდის უპირატესობის დასაბუთება საოჯახო აღზრდასთან შედარებით. მართალია, ლუთერის ამ მოსაზრებებში ბევრია მისი ეპოქისათვის დამახასიათებელი რელიგიურ-ქრისტიანული დებულება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი იმსახურებს, მოიხსენიებოდეს არა მარტო რელიგიურ რეფორმატორებს შორის, არამედ პედაგოგიკის თვალსაჩინო წარმომადგენლების გვერდითაც.

VI

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ლუთერის შეხედულებები „ბავშვების საზოგადოებრივი აღმზრდელების“ ანუ მასწავლებლების შესახებ. საოჯახო აღზრდასთან შედარებით სკოლის უპირატესობის დასაბუთებისას ლუთერი წინა პლანზე აყენებს მასწავლებლის როლს; მასწავლებელი მიაჩნია აღზრდისა და სწავლების ყველა საიდუმლოს მცოდნედ, ერთგვარ კომპასად, რომელიც ბავშვებს ეხმარება თავი დააღწიონ „ულრან ტყეს“. „გონიერი მასწავლებლის გარეშე ბავშვებისაგან არაფერი კარგი არ შეიძლება გამოვიდეს, ისინი დაიღუპებიან“ [129]. ლუთერის თქმით, ჭეშმარიტი მასწავლებელი მარტო იმაზე კი არ ფიქრობს, რომ გადასცეს შესასწავლი მასალა, არამედ იგი „ზრდის, არიგებს და აჩვევს ბავშვებს, რომ ბეჯითად სწავლობდნენ“, ეუფლებოდნენ ყველაფერ იმას, რაც სასარგებლო იქნებოდა როგორც მათთვის, ისე საზოგა-

---

[129] M. L u t h e r, Daß man Kinder zur Schulen halten solle, გვ. 227—228.

დოებისათვის [130]. ამასთან, მასწავლებლის ბავშვებთან დამოკიდებულებას საფუძვლად უდევს არა „დატუქსვა და მუშტი“, „ძველი ყოფა-ცხოვრების ეს გადმონაშთები“ [131], არამედ ბუნებრიობა, აღზრდის იმდაგვარად წარმართვა, რომელიც ბავშვს მოუტანს თავისუფალ და ჰარმონიულ განვითარებას, სამართლიანობისა და სიკეთისადმი მისწრაფებას. ერთი სიტყვით, ლუთერმა იცის, რომ მასწავლებლის შრომა, ანუ „სხვათა შვილების კეთილსინდისიერი აღზრდა“, მეტად რთული და მძიმე პროცესია, რომელიც დიდ ცოდნასთან ერთად ზნეობრივ სისპეტაკესა და ღვთისმოსაობას მოითხოვს; იგი მასწავლებლის პროფესიაში ხედავს „უმაღლეს სათნოებას“ [132], მეტად მძიმე და საპატიო ტვირთს, რომლის ტარება ყველას არ შეუძლია. ეს ისეთი ადამიანების ხვედრია, რომლებსაც ბავშვების სიყვარული და მათთან მუშაობის სურვილი ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარი [133].

ლუთერი ასევე მაღალ მოთხოვნებს უყენებს უნივერსიტეტების მასწავლებლებს, რომლებმაც სტუდენტების „ნამდვილ ადამიანად“ აღზრდა უნდა დაიწყონ სწავლების პირველი დღეებიდანვე. ამ მიზნით მას დასაშვებად მიაჩნია ძველი, აკადემიებში არსებული ჩვეულების, დეპოზიციის [134], შენარჩუნება, რომლის თანახმად სტუდენტად კურთხევამდე სკოლიდან მოსულ ახალბედებს უნდა გაევლოთ მოწინავე მასწავლებლების (დეპოზიტორების) ხელში. ამ უკანასკნელთ მათთვის უნდა შეეხსენებინათ სტუდენტთა უფლება-მოვალეობანი, ის სიძნელეები, რომლებიც უნდა გაევლო მათ როგორც სწავლების პროცესში, ისე მთელი ცხოვრების მანძილზე; დეპოზიტორებისაგან მათ უნდა გაეგოთ, რომ ამისათვის საჭიროა მოთმინება, ისინი არ უნდა ყოფილიყვნენ ქედმაღლები და ამპარტავნები, „საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენისანი“ [135], ამაყნი როგორც „ბაკალავრები და მაგისტრები“ [136]. სტუდენტებს მათგან უნ-

---

[130] M. Luther, Daß man Kinder zur Schulen halten solle, გვ. 227—228.

[131] M. Luther, An die Ratsherrn..., გვ. 40.

[132] M. Luther, Daß man Kinder zur Schulen halten solle..., გვ. 227—228.

[133] M. Luther, An den christlichen Adel..., გვ. 38.

[134] Depositio პირდაპირი მნიშვნელობით მოთვინიერებას, დათრგუნვას ნიშნავს.

[135] M. Luther, Tischreden, გვ. 345.

[136] იქვე, გვ. 346.

და ესწავლათ „საკუთარი თავის შეცნობაც“. ერთი სიტყვით, დეპოზიტორებს (დღეს შეიძლება მას კურატორების ცნება მიესადაგოს) ახალგაზრდებში უნდა აღეძრათ „ღვთისმოშიშობის, თავის შეცნობის, პატიოსნების, მოთმინებისა და ბეჯითი სწავლის“ სურვილი [137], რაც, თავის მხრივ, ახალგაზრდებს განუვითარებდა დიდსულოვნებას იმ ზომამდე, რომ მტრის დამამცირებელი წარუმატებლობის შემთხვევაშიც კი არ გამოეხატათ სიხარული. ლუთერს მოაქვს დიდსულოვნების კონკრეტული მაგალითიც: „რომის საღმრთო იმპერატორ კარლ V-ს მიართვეს ანტდორფში დამზადებული ლამაზი ხალიჩა, რომელზეც გამოსახული იყო პავიის ბრძოლა, კერძოდ საფრანგეთის მეფის ტყვედ ჩავარდნის ეპიზოდი, მაგრამ იმპერატორმა არ მიიღო ხალიჩა, რათა არ ეფიქრათ, თითქოს მას ახარებდა სხვისი უბედურება“ [138]. ამგვარად, მასწავლებლის უპირველეს და უკეთილშობილეს ამოცანად ლუთერს ახალგაზრდებში სხვისი პირის გამზიარებლის და თანამგრძნობის, პატიოსანი და თავმდაბალი, განათლებული და მოსიყვარულე მამულიშვილის აღზრდა მიაჩნდა.

ლუთერს სურდა, მასწავლებელი ჰეშმარიტი მოქალაქეც ყოფილიყო, გულთან ახლოს მიეტანა მოყვასის. სატკივარი, ფიქრი და სურვილები. „ვისაც სურს იყოს მასწავლებელი ან მქადაგებელი, — წერდა იგი, — უნდა იყოს ერისკაცთა შორისაც, უნდა ნახოს და გაიგოს, თუნდაც ნაწილობრივ, მათი საქმეები“ [139].

ასე რომ, ლუთერის აზრით, მასწავლებელს აკისრია მეტად მძიმე მისია, რომლის ტოლფასოვანი არც ჯილდო არსებობს და არც ანაზღაურება: „ბეჯითი, ღვთისმოსავი სკოლის მასწავლებელი ან დამრიგებელი, ან ვინც არ უნდა იყოს ის, რომელიც პატიოსნად ზრდის და ასწავლის ბავშვებს, არასოდეს არ შეიძლება სათანადოდ დაჯილდოვდეს, ვერც ვერავითარი ფული აანაზღაურებს მის შრომას, რასაც არ უარყოფს თვით წარმართი არისტოტელეც“ [140]. აქედან გამომდინარე, ლუთერი მიდის იმ დასკვნამდე,

---

[137] M. Luther, Tischreden, გვ. 346.

[138] იქვე, გვ. 282.

[139] G. Fabiunke, Luther als Nationalökonom, Berlin, 1963, გვ. 35.

[140] M. Luther, Daß man Kinder zur Schulen halten solle, გვ. 227.

რომ მასწავლებლის თანამდებობა სხვა თანამდებობებს შორის ყველაზე საპატიოა: „მე რომ შემეძლოს ან საჭირო იყოს მღვდლის თანამდებობის და დანარჩენი ჩემი საქმიანობის დათმობა, მაშინ არ მეგულება სხვა თანამდებობა. რომელსაც სიამოვნებით ავირჩევდი, ვიდრე სკოლის მასწავლებლის თანამდებობაა“ [141], — წერდა იგი.

ამრიგად, ლუთერის უამრავ საინტერესო მოსაზრებას მასწავლებლის მოვალეობასა და შრომაზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ დროისათვის, რადგან, როგორც უწინ, ისე ლუთერის დროსაც, ამას თვითონაც შენიშნავს, მასწავლებლის პროფესია „სამარცხვინო უპატივცემულობაში“ იყო [142]. მართალია, ლუთერის თქმით, ამ უპატივცემულობის მიზეზი ნაწილობრივ თვით ძველი სკოლის მასწავლებლების უვიცობა და სიმკაცრე იყო („უვიცი და მტანჯველი“ მასწავლებელი არ შეიძლება უყვარდეს არც ბავშვს და არც მის მშობელს!), მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ მასწავლებლებს არ გააჩნდათ საერო ხელისუფალთა სათანადო მხარდაჭერა, საოცრად დაბალი იყო გონებრივი შრომის ფასი. ამას ადასტურებს ლუთერის თანამედროვე გერმანელი ჰუმანისტის ეობან ჰესის სიტყვებიც: „რას ვიღებთ ჩვენ, მასწავლებლები, ჯილდოდ ჩვენი შრომისათვის? — მშიერი ცხოვრება, უსიამოვნებანი, ძალების დაწყვეტა, ავადმყოფობანი და სისტემატური გულისტკივილი. ყველა სხვა სამუშაო ადამიანს აძლევს ცხოვრების შესაძლებლობას, სკოლის მასწავლებელი კი თავის დღეებს შემაძრწუნებელ სიღარიბეში მიათრევს და ირგვლივ მყოფთა სიამაყე მას ტალახით სვრის. უკანასკნელი მწერლუკა, პოდიაჩი და მაწანწალა ბერი მას ზემოდან უყურებს. არა. უკეთესია სიკვდილი, ვიდრე მასწავლებლობა!“ [143]. ხედავდა რა ყოველივე ამას, ლუთერი აყენებდა წინადადებას, საერო ხელისუფალთ გამოეჩინათ გონიერება და მფარველობა გაეწიათ სკოლებისა და უნივერსიტეტების მასწავლებლებისათვის, ხელი შეეწყოთ მათი უფ-

---

141 M. Luther, Daß man Kinder zur Schulen halten solle, გვ. 227.

142 იქვე.

143 K. Fischer, Geschichte des deutschen Volksschullehrerstandes, Bd. I, Hannover, 1892, გვ. 66.

ლებებისა და ღირსებების დაცვისათვის, უზრუნველეყოთ ისინი მატერიალურადაც და ამ გზით აემაღლებინათ მათი ავტორიტეტი საზოგადოების თვალში[144]. ეს ახალი, პროგრესული შეხედულება იყო, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა.

VII

ჩვენ ზემოთ ვთქვით, რომ სწავლების „ახლებურად" მოწყობა და, მაშასადამე, სამღვდელოების სულიერი ბატონობისაგან გერმანიის განთავისუფლება ლუთერს ვერ წარმოედგინა უნივერსიტეტების საფუძვლიანი რეფორმის გარეშე. იგი პირდაპირ აცხადებდა: „უნივერსიტეტებიც საჭიროებენ კარგ და საფუძვლიან რეფორმას. ჩემი ვალია ვთქვა ამაზე, დაე, აღშფოთდეს, ვისაც სურს". ლუთერის აზრით, უველაფერი, რაშიც რომის პაპის ხელი ურევია, შექმნილია იმისათვის, რათა „გაამრავლოს ცოდვები და დაბნეულობა. დღემდე უნივერსიტეტებში... მიმდინარეობს თავაშვებული ცხოვრება, ნაკლებ ისწავლება საღმრთო წერილი და ქრისტიანული რწმენა"[145].

უპირველესი მოთხოვნა, რომელსაც აყენებდა ლუთერი, ეს იყო სასკოლო და საუნივერსიტეტო დისციპლინების გონიერი შერჩევა, ზოგიერთი დისციპლინის ამოღება და მის ნაცვლად ახლის შეტანა, საღმრთო წერილის კანონიერ უფლებებში აღდგენა და ა. შ. შეიძლება ითქვას, ლუთერი ბევრად გასცდა „შვიდი თავისუფალი ხელოვნების" სისტემას, რომელიც აგებული იყო სქოლასტიკურ პრინციპზე. მან საღმრთო წერილთან ერთად წინ წამოსწია პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე საგნები: მათემატიკური დისციპლინები, იურისპრუდენცია, ენები, ისტორია, მედიცინა, მუსიკა. მათ ადამიანებისათვის უნდა ჩაენერგათ არა მარტო ღვთისმოსაობა და ზნეობრივი სისპეტაკე, არამედ რეალური ცოდნაც. მათზე უნდა აღზრდილიყო „ქრისტიანი ახალგაზრდობა და ჩვენი კეთილშობილი ადამიანები, რომლებზეც დაფუძნებულია საქრისტიანო"[146]. ენების, მათემატიკური დისციპლინებისა და ისტორიის მოვლას, როგორც თვითონ ლუთერი ამბობს, იგი ანდობდა „წინდახედულ

[144] M. Luther, An die Ratsherrn..., გვ. 33.
[145] M. Luther, An den christlichen Adel..., გვ. 78—79.
[146] იქვე, გვ. 80.

ადამიანებს"; ექიმებს გადასცემდა მათივე ფაკულტეტის რეფორმის საქმეს, იურისტებისა და თეოლოგების მოვლას ლუთერი თავად კისრულობდა [147].

კონკრეტულად თუ რომელი დისციპლინის ამოღებას მოითხოვდა ლუთერი, ან როგორ წარმოედგინა მას ესა თუ ის დისციპლინა, ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი. აქ შევნიშნავთ მხოლოდ, რომ მის მიერ უარყოფილ და მოწონებულ დისციპლინებთან დაკავშირებით ლუთერს არაერთი საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული, თუმცა ზოგჯერ მიუღებელიც.

VIII

ლუთერი. უპირველეს ყოვლისა, სქოლასტიკური ფილოსოფიის წინააღმდეგ გამოდიოდა. იგი სქოლასტიკას ბრალს დებდა იმაში, რომ მორწმუნეებს პაპების სულიერ ტყვეობაში აქცევდა, ცდილობდა საეკლესიო დოგმების, მათ შორის პაპის, უცოდველობის და მათ გარეშე ადამიანთა სულების ხსნის შეუძლებლობის დამტკიცებას. ამ მხრივ ლუთერი ახლოს დგას ჰუმანისტებთან [148], თუმცა, მათგან განსხვავებით, სქოლასტიკის წინააღმდეგ ბრძოლის დასაყრდენად თვლის არა გონებას, არამედ რწმენას. ჰეშმარიტ რწმენაში ხედავს იგი ერთადერთ ძალას, რომელიც ადამიანს უშუალოდ აკავშირებს ღმერთთან, გონებას კი ლუთერი უწოდებს „მეძავ ქალს" [149], რომელსაც მხოლოდ ზიანი მოაქვს რწმენის საქმისათვის. მიუხედავად ამისა, რწმენით სულის ხსნის ეს თეორია არ გამორიცხავდა „შემოქმედებით აქტივობას ინდივიდისაგან", აკი ადამიანს „ოფიციალური რელიგიისა და ავტორიტეტის გარეშე", საღვთო წერილზე დაყრდნობით (ერთადერთი ავტორიტეტი, რომელსაც აღიარებდა ლუთერი), თვითონ უნდა გაეაზრა „თავისი კავშირი ღმერთთან" [150]. მაშასადამე, ეს თეორია უშუალოდ ბურჟუაზიულ და ანტიფეოდალურ ხასიათს ატარებდა: რომის კათოლიკური ეკლესიის დოგმატების ნაცვლად რწმენის დაყენება, რწმენის თავისუფლების გა-

---

[147] M. Luther, An den christlichen Adel..., გვ. 80—81.

[148] С. Стам, Гуманизм и церковно-реформационная идеология. „Культура эпохи Возрождения и Реформация," Л., 1981. გვ. 30.

[149] იქვე.

[150] Г. Тевзадзе, Диалектические идеи в эпоху немецкой Реформации, „Вопросы философии", №6, М., 1981, გვ. 164.

ბოცხადება, ობიექტურად ევროპული ფეოდალიზმის სამეურნეო, პოლიტიკური და, პირველ რიგში კი, მათი იდეოლოგიური დასაყრდენის წინააღმდეგ გალაშქრებასაც ნიშნავდა [151].

სქოლასტიკის წინააღმდეგ რომ ილაშქრებს, ლუთერი მას ბრალად დებს იმასაც, რომ მისი მეშვეობით „მრავალი ასეული წლის განმავლობაში შენარჩუნებული იყო უამრავი ცდომილება საეკლესიო ცხოვრებასა და უნივერსიტეტებში“ [152]. იგი უპირისპირდება ტრადიციულ შუასაუკუნეობრივ წარმოდგენას „ქრისტიანულ კორპუსზე“, რომლის თანახმად უნივერსალური ქრისტიანული გაერთიანების წევრებიდან, ანუ „ორგვარი ხალხიდან“ (სასულიერო და საეროდან) ერთი სრულფასოვანია და ამაღლებული, მეორე კი — დაქვემდებარებული; ლუთერი მტკიცედ იცავდა იმ აზრს, რომ ყველა ქრისტიანი, რომელთაც ერთნაირი რწმენა და ნათლობა გააჩნიათ—იქნება ეს მღვდელი, იმპერატორი, მთავარი, გლეხი, ხელოსანი, თუ სხვა ვინმე — ერთნაირად შეადგენს სასულიერო წოდებას [153] და ქმნის ერთიან სხეულს, რომელსაც ჰყავს ერთი მეთაურიც — იესო ქრისტე, მათ შორის არ არის სხვა განსხვავება, გარდა „ხელობისა და თანამდებობისა“ [154]. ამასთან, ლუთერის ღრმა რწმენით, ადამიანი და

---

[151] M. Fabiunke, დასახ. ნაშრ., გვ. 14.

[152] M. Luther, An den christlichen Adel..., გვ. 80.

[153] აზრი საყოველთაო მღვდლობის შესახებ ლუთერს გამოთქმული აქვს მისი ცნობილ ნაშრომში — „გერმანელი ერის ქრისტიან თავადაზნაურებს“, რომელიც დაწერილია 1520 წელს. მოგვიანებით კი, როცა დაინახა, რომ მისმა რეფორმაციულმა მოწოდებებმა საყოველთაო მხარდაჭერა ვერ პოვეს, მეტიც, ცალკეული ხელისუფალნი, მათ შორის იმპერატორიც, მტრულად მოეკიდნენ მას, ლუთერმა რამდენადმე შეცვალა თავისი ადრინდელი შეხედულება საყოველთაო მღვდლობისა და ერთიანი სხეულის შესახებ. 1523 წელს გამოქვეყნებულ თხზულებაში — „საერო ხელისუფლების შესახებ“ — მან განავითარა თავისებური თეორია, რომლის მიხედვით ღმერთმა დააწესა ორგვარი წყობილება — სასულიერო და საერო. პირველი — ესაა ჭეშმარიტ ქრისტიანთა სულიერი მეს ერთობლიობა, სადაც მხოლოდ ღმერთია მეფე. მეორეში კი გაერთიანებულნი არიან ადამიანები, რომლებიც შეიძლება ქრისტიანებადაც იწოდებოდნენ, მაგრამ შორს იდგნენ ქრისტიანული მორალის ნორმებისაგან. ასეთ ადამიანებს და, საერთოდ ყოველგვარ მატერიალურს, განაგებს საერო ხელისუფლება საკუთარი, გონებიდან გამომდინარე, კანონებით. საერო ხელისუფლებას, რომელიც იცავს „წესრიგს“ და რომელიც ასე აუცილებელია სასულიერო წყობილებისთვის, ემორჩილებიან ჭეშმარიტი ქრისტიანებიც, რადგან მათ სულიერ მესთან ერთად მატერიალური (ხორციელი) მხარეც გააჩნიათ. ასეთ მორჩილებას მოყვასისადმი სიყვარულიც მოითხოვს.

[154] M. Luther, An den christlichen Adel..., გვ. 10.

მისი საერო ხასიათის ცხოვრება არ უნდა განვიხილოთ როგორც ცოდვილობის საფუძველი, როცა სასულიერო პირთ აქვთ პრეტენზია — სასულიერო ხელისუფლება საეროზე მაღლა დააყენონ. მაშასადამე, ლუთერი გამოდიოდა პაპების თეოკრატიული მისწრაფებების, ადამიანებზე და მთელ საერო ცხოვრებაზე მათი ბატონობის წინააღმდეგ, რომელსაც იცავდა სქოლასტიკური ფილოსოფია. მართალია, ლუთერამდეც იყვნენ ადამიანები, რომლებიც ილაშქრებდნენ საეროზე მაღლა სასულიერო ხელისუფლების დაყენების წინააღმდეგ, მაგრამ ეს ამოცანა „საბოლოოდ მაინც ლუთერმა გადაჭრა“[155].

ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ სქოლასტიკური ფილოსოფიის ლუთერისეულ უგულებელყოფაში უარყოფითი მომენტებიცაა. ლუთერი, როცა აყენებს რწმენით სულის ხსნის თეორიას, გამოდის გონებისა და არისტოტელეს ფილოსოფიის წინააღმდეგაც. იგი ვერ ურიგდება იმას, რომ სქოლასტიკა საღვთო წერილზე მეტად არისტოტელეს ემყარება[156] — აღშფოთებული წერს: უნივერსიტეტებში „უფრო მეტად ბატონობს ბრმა წარმართი მასწავლებელი არისტოტელე[157], ვიდრე ქრისტე“[158]. ამიტომაა, იგი, როცა აყენებს უნივერ-

---

[155] Ю. Голубкин, Эволюция представлений Мартина Лютера о светской власти и ее роли в Реформации, „Ежегодник германской истории“ (1978), М., 1979, გვ. 260.

[156] მართალია, სქოლასტიკური ფილოსოფიის თვალსაჩინო წარმომადგენელი თომა აქვინელი (1225—1274) ამბობდა: „ღვთისმეტყველება თავის საფუძვლებს სხვადასხვა მეცნიერებებისაგან კი არ იღებს, არამედ უშუალოდ — ღმერთისაგან გამოცხადების გზით“ (И. Боргош. Фома Аквинский. М.,1968, გვ. 168.), მაგრამ ნათელი იყო, სქოლასტიკურ ფილოსოფიას ბევრი რამ აღებული და შეთვისებული ჰქონდა როგორც რომის პაპის დეკრეტალიებიდან. ისე არისტოტელეს მოძღვრებიდან, საღვთო წერილი კი უკანა პლანზე იყო გადაწეული.

[157] აღსანიშნავია, რომ სქოლასტიკოსები, რომელთა წინააღმდეგ იბრძოდა ლუთერი, ამ უკანასკნელს ბრალს სდებდნენ იმაში, რომ სათანადოდ არ იცნობდა არისტოტელეს. სწორედ ასეთი ოპონენტები ჰყავდა მხედველობაში, როცა ლუთერი წერდა: „საყვარელო მეგობარო, მე კარგად ვიცი, რაზეც ვლაპარაკობ. არისტოტელე ჩემთვის ისევე კარგად ცნობილია, როგორც შენთვის და ისეთებისათვის, როგორიც შენა ხარ; მეც ვკითხულობდი მას და ვისმენდი მასზე დიდი გულისყურით, არანაკლებ, ვიდრე წმ. თომა ან სკოტი“, რისი დამტკიცებაც „საპიროების შემთხვევაში შეიძლია“ (M. Luther, An den christlichen Adel..., გვ. 80). მართლაც, ცნობილია, რომ 1508—1512 წწ. იგი თვითონ კითხულობდა „ძველი სასკოლო ფილოსოფიის კურსს“, უპირველეს ყოვლისა, არისტოტელეს დიალექტიკას (Fr. Paulsen, Geschichte des gelehrten Unterrichts, Bd. I, Leipzig, 1919, გვ. 103., K. Raumer, დასახ. ნაშრ., გვ. 103).

[158] M. Luther, An den christlichen Adel..., გვ. 79.

სიტეტებიდან სქოლასტიკური ფილოსოფიის განდევნის მოთხოვნას, საჭიროდ თვლის იმის თქმასაც, რომ განადგურდეს არისტოტელეს წიგნები—„ფიზიკა", „მეტაფიზიკა", „ეთიკა" და „სულის შესახებ"—რადგან, მისი თქმით, ისინი ახალგაზრდებს ვერ აძლევენ ვერც რეალურ და ვერც სასულიერო საგნების ცოდნას" [159]. „ჩემი გული წუხს, — ნათქვამია მიმართვაში — „გერმანელი ერის ქრისტიანი თავადაზნაურობისადმი",—რომ წყეულმა, ქედმაღალმა ცბიერმა წარმართმა (ე. ი. არისტოტელემ — გ. კ.) თავისი ყალბი გამონათქვამებით ბევრი უბრწყინვალესი ქრისტიანი შეაცდინა და გაასულელა... ის უბედური გვასწავლის ჩვენ თავის საუკეთესო წიგნში „De anima" („სულის შესახებ"), თითქოს სული ხორცთან ერთად კვდება" [160].

ცხადია, ლუთერს, როგორც თეოლოგს, არ მოსწონდა არისტოტელეს მატერიალისტური გამონათქვამები, ის, რომ „არისტოტელე უარყოფს ადამიანის ღმერთთან პლატონურ შეერთებას", რომ ადამიანის დანიშნულება მხოლოდ რეალურ ცხოვრებაშია [161]. მას არ მოსწონდა ისიც, რომ არისტოტელემ „რელიგიას არ მიუჩინა ადგილი სახელმწიფოში და ნაწილობრივ, ახალგაზრდების აღზრდის სფეროშიც" [162]. მაგრამ იბადება კითხვა: რა საერთო უნდა ჰქონოდა არისტოტელეს მოძღვრებასთან სქოლასტიკურ ფილოსოფიას, რის გამოც ლუთერი ასე მკაცრად ესხმის თავს არისტოტელეს? საქმე შემდეგშია: სქოლასტიკურმა ფილოსოფიამ, უპირველეს ყოვლისა კი, მისმა მთავარმა წარმომადგენელმა, თომა აქვინელმა, არისტოტელესაგან აიღო მხოლოდ სილოგისტიკა, ე. ი. მოძღვრება დედუქციური დასკვნების შესახებ, რომელიც ემყარება ლოგიკის ანუ გონების ზოგად კანონებს. სქოლასტიკამ, რომლის მიზანი იყო საეკლესიო დოგმატების თეორიული გამართლება (იმის დამტკიცება, რომ პაპი უცოდველია, რომ მის გარეშე ცალკეული ინდივიდების სულების ხსნა შეუძლებელია და ა. შ.), არისტოტელეს ფილოსოფიის მხოლოდ რაციონალურ მხარეს მიაქცია ყურადღება და უგულებელყო მისი ემპირისტულ-მატერიალისტური ელემენტები. სხვაგვარად თუ ვიტყვით, სქოლასტიკამ არისტოტელეს მოძღვრებიდან—

---

[159] M. Luther, An den christlichen Adel..., გვ. 80.

[160] იქვე, გვ. 79.

[161] ს. წერეთელი, ანტიკური ფილოსოფია, თბ., 1968, გვ. 413.

[162] В. Сережников, Учение Аристотеля о процессе познания по его произведению „О душе", Аристотель, О душе. М., 1937, გვ. VI.

ფორმისა და მატერიის შესახებ — აიღო არა ის ნაწილი, რომელშიც მატერიალისტური ელემენტები ჭარბობს (მაგ., რომ საგანი არის ფორმისა და მატერიის კონკრეტული ერთიანობა, რომ არ არსებობს გრძნობადი სამყაროსაგან გამოყოფილი იდეათა სამყარო, რომ ცოდნა ფორმისა და მატერიის ერთიანობის საფუძველზეა შესაძლებელი და სხვა), არამედ ის, რომელშიც უფრო მეტია იდეალიზმი (მაგ., „ფორმის ფორმის“ ანუ ღვთაების როგორც სამყაროს მამოძრავებელი ძალის, აგრეთვე, აზრი მატერიის როგორც სამყაროს პასიური ელემენტის შესახებ და სხვა). სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში, როცა ვ. ი. ლენინი თავის „ფილოსოფიურ რვეულებში“ წერდა: „სქოლასტიკამ და ხუცობამ აიღეს არისტოტელედან მკვდარი და არა ცოცხალი“, „ხუცობამ ჩაკლა არისტოტელეში ცოცხალი და უკვდავყო მკვდარი“ [163]. არისტოტელეს იდეალიზმს ეყრდნობოდა თომა აქვინელი, როცა ამტკიცებდა, რომ გონებით შეცნობადი ჭეშმარიტება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს გამოცხადების ჭეშმარიტებას. ამასთან ვერ ვიტყვით, რომ თომა აქვინელი ზღვარს არ ავლებდა ფილოსოფიასა და რელიგიას შორის: იგი მათ შორის ჰარმონიის შესაძლებლობასა და აუცილებლობას ამტკიცებდა. მეტიც, მას სურდა ფილოსოფიის ჩაყენება რელიგიის სამსახურში, რასაც არც თვითონ მალავდა, წერდა, რომ „ღვთისმეტყველება სხვა დარგებს კი არ მიჰყვება, როგორც უმაღლეს დისციპლინებს, არამედ გამოიყენებს მათ, როგორც მორჩილ მსახურებს“ [164].

ლუთერისათვის კი, როცა თავს ესხმის სქოლასტიკას და, მასთან ერთად, არისტოტელეს ფილოსოფიას, მთავარია იმის დამტკიცება, რომ მათ არავითარი შვების მოტანა არ შეუძლიათ ადამიანებისათვის. ლუთერის აზრით, არისტოტელეს ლოგიკა სრულიად უნაყოფოა, რომ იგი უძლურია ადამიანის გრძნობების, გულების, განცდების ხსნაში — დისკუსიური აზროვნება ადამიანის სულსა და გულს ხსნას ვერ მისცემს, ცოდვებს ვერ შეუმსუბუქებს: ადამიანისათვის სულიერი ხსნა არც პაპის „შუამავლობას“ მოაქვს. იგი მხოლოდ ჭეშმარიტი რწმენითა და მოყვასისადმი სიყვარულით მოიპოვება. ღმერთმა ჩვენ რწმენით გაგვაერთიანა და რწმენითვე მოიპოვება

---

[163] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 38, გვ. 379—380.
[164] И. Борош, დასახ. ნაშრ., გვ. 168.

ხსნაო[165], — ამბობდა ლუთერი თავის ერთ-ერთ ქადაგებაში. ამგვარად, ლუთერი საფუძველს აცლიდა არისტოტელეს ფილოსოფიაზე დაფუძნებულ სქოლასტიკას.

იბადება კითხვა: არისტოტელეს ფილოსოფიაზე დაფუძნებული სქოლასტიკის უარყოფით ლუთერი საერთოდ ხომ არ უგულებელყოფდა ფილოსოფიას, ხომ არ აიგივებდა მას სქოლასტიზირებულ არისტოტელესთან და საჭიროდ არ მიაჩნდა მისი შესწავლა უნივერსიტეტებში? ამ კითხვაზე სწორ პასუხს, ვფიქრობთ, არსებითი მნიშვნელობა აქვს, რადგან მართლაც არსებობს მოსაზრება, რომ ლუთერი სავსებით უგულებელყოფდა ფილოსოფიის და გონების როლს. ასე, მაგალითად, გერმანელი ფილოსოფოსი ფრ. კირხნერი გარკვევით წერს: „დასაწყისში რეფორმაცია სავსებით უარყოფდა ფილოსოფიას, რომელიც გაიგივებული იყო არისტოტელესთან და სქოლასტიკასთან... ლუთერის განსაკუთრებულ აღშფოთებას იწვევდა ის, რომ ფილოსოფოსები მთავარ მნიშვნელობას ანიჭებდნენ გონებას, რომელიც, მისი აზრით, სავსებით დაბნელდა ადამის ცოდვასთან ზიარებით. ამიტომ იგი (ე. ი. ლუთერი— გ. კ.) რჩევას იძლეოდა, როგორც არისტოტელე, ისე მთელი ფილოსოფია, სავსებით გაენადგურებინათ"[166]. ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამს ქართველი ფილოსოფოსი მ. გოგიბერიძეც: ლუთერი მთელ ფილოსოფიას და გონებას „გამანადგურებლად" ეკიდებოდა, ებრძოდა არისტოტელეს. ლუთერის „გარეაქციონერება" ისე შორს წავიდა, რომ მან გაილაშქრა მთელი ფილოსოფიური აზროვნების და „სოფისტების" წინააღმდეგ, „გონება ეშმაკის ინსტრუმენტად გამოაცხადა"[167]. მეტიც, მ. გოგიბერიძე ვერ ხედავს ლუთერის შემოქმედებაში ვერც ერთ ორიგინალურ ნააზრევს[168]. იგი კიცხავს იმ გერმანელ ავტორებს, რომლებიც ცდილობენ ლუთერის „განდიდებასა და გაფილოსოფოსებას". მას აბსურდად მიაჩნია მოსაზრებაც, თითქოს ლუთერი იყოს „მთელი შემდგომი გერმანული აზროვნების სათავე", რომლის სულში ჩამარხულ-

---

[165] Гейссер, История Реформации, М., 1882, გვ. 67.

[166] Фр. Кирхнер, История философии, СПБ., 1895, გვ. 199.

[167] მ. გოგიბერიძე, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, ტ. III, თბ 1972, გვ. 367.

[168] იქვე, გვ. 368.

ნი იყვნენ კანტი და ჰეგელი [169]. ამრიგად, ფრ. კირხნერი და მ. გოგიბერიძე ლუთერს აცხადებენ არა მარტო ფილოსოფიისა და გონების მტრად, არამედ ისეთ მოღვაწედაც, რომელმაც ვერავითარი კვალი ვერ დატოვა აზროვნების ისტორიაში.

რა თქმა უნდა, არც ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ლუთერი უდიდესი მოაზროვნეა ფილოსოფიაში, მაგრამ არც ისეთი გამანადგურებელი ბრალდების წაყენება შეიძლება, როგორც ამას ზემოაღნიშნული ავტორები, ფრ. კირხნერი და მ. გოგიბერიძე, აკეთებენ. ლუთერს შეიძლება ვუსაყვედუროთ, რომ მან ვერ დაინახა სქოლასტიკის და არისტოტელეს ფილოსოფიისათვის დამახასიათებელი დადებითი მომენტები, რომ არისტოტელეს მნიშვნელობა მარტო სქოლასტიკური ფილოსოფიის სამსახურით არ შემოიფარგლება (ამ მხრივ ფრ. კირხნერისა და მ. გოგიბერიძის კრიტიკა სავსებით სამართლიანია), მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ლუთერი საერთოდ უგულებელყოფს ფილოსოფიას და გონებას და მოითხოვს ფილოსოფიის ამოღებას სწავლებიდან. ასეთი მოსაზრების უსაფუძვლობას გვიდასტურებს ლუთერის მეგობრისა და მიმდევრის, ფილიპე მელანხტონის მაგალითიც: ცნობილია, რომ 1520 წელს, მას შემდეგ, რაც ლუთერმა თავის მიმართვაში — „გერმანელი ერის ქრისტიან თავადაზნაურებს“ — გაილაშქრა სქოლასტიკური ფილოსოფიისა და არისტოტელეს წინააღმდეგ, მელანხტონი აქვეყნებს ლუთერის დასაცავად წერილს, რომელშიც გმობს სქოლასტიკურ ფილოსოფიასა და არისტოტელეს [170]. არისტოტელეს „ფიზიკა“, ნათქვამია წერილში, შეიცავს ისეთი სიტყვების კორიანტელს, როგორიცაა მატერია, ფორმა და სხვა, რომლებიც ხალხში ლაყბობას იწვევს [171]. ამასთან, იგი მრავლად შეიცავს საღმრთო წერილის საწინააღმდეგო არგუმენ-

---

[169] მ. გოგიბერიძე, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, გვ. 367.

[170] ცნობილია, რომ ადრე, როცა სქოლასტიკურ ფილოსოფიას თავს ესხმოდა, მელანხტონი რამდენადმე სხვაგვარად ეკიდებოდა არისტოტელეს. სქოლასტიკოსებს, კერძოდ „თომასსა და სკოტუსს“, იმაში კი არ დებდა ბრალს, რომ არისტოტელე გამოიყენეს, არამედ იმაში, რომ ისინი სარგებლობდნენ „არისტოტელეს ცუდი და გაუგებარი თარგმანებით“ და აკეთებდნენ არასწორ დასკვნებს. მელანხტონს ფილოსოფიის შესწავლა ბერძნული ენის ცოდნის გარეშე ვერ წარმოედგინა. არისტოტელეს. ამბობდა იგი, მხოლოდ ის იცნობს, ვინც მას ორიგინალში კითხულობს აქედან გამომდინარე, მელანხტონი არისტოტელეს განდევნას კი არ მოითხოვდა, არამედ მის გაწმენდას (Fr. Paulsen, დასახ. ნაშრ., გვ. 118).

[171] Fr. Paulsen, დასახ. ნაშრ., გვ. 192.

ტებსაც. ეს ითქმის მის „მეტაფიზიკაზეც“. სტოიკოსები და ეპიკურელები, განაგრძობს მელანხტონი, ათეისტები არიან. ათეისტია არისტოტელეც, რომლის „ხელმძღვანელობით ჩადენილი თავხედობა ტიტანურ ხარისხს აღწევს“ [172]. როგორც ვხედავთ, მელანხტონი არაფრით ჩამოუვარდება ლუთერს არისტოტელეს დაგმობის საქმეში. მიუხედავად ამისა, მელანხტონს ფილოსოფიის ამოღება სასწავლო დისციპლინებიდან ხელაღებით არასოდეს არ მოუთხოვია. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ვიტენბერგის უნივერსიტეტში, სადაც ლუთერი „მბრძანებლობდა“, ჯერ კიდევ 1520 წლიდან ისწავლებოდა მელანხტონის მიერ რეკომენდებული საგნები: ებრაული, ბერძნული, ლათინური ენები და მათი შესაბამისი გრამატიკები, ისტორია, ვირგილიუსი, პლინიუსი, მათემატიკური დისციპლინები და სხვა. მათ შორის იყო არისტოტელეს „დიალექტიკა“ და „ფიზიკა“, აგრეთვე, ციცერონის „რიტორიკა“. იგივე საგნებს ასწავლიდნენ იქ 1536 წლის პროგრამითაც[173]. უნდა ვიგულისხმოთ, რომ მელანხტონი, რომელიც ვიტენბერგის უნივერსიტეტში მიიწვიეს (1518 წ.) ლუთერის ინიციატივით (ლუთერმა მასვე მიანდო უნივერსიტეტის რეფორმის ხელმძღვანელობაც), ვერ გადადგამდა ასეთ ნაბიჯს, რომ იგი, ცოტათი მაინც, ლუთერის სურვილი არ ყოფილიყო [174]. ამასვე გვაფიქრებინებს ლუთერის წერილები სპალატინისადმი, რომლებშიც, როცა ლაპარაკობს „ფილოსოფიის ძველი ლექციების“ ანუ „თომისტური და სკოტისტური“ ლექციების მოხსნის აუცილებლობაზე, ლუთერი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ სტუდენტებმა მათ ნაცვლად მოისმინონ „კარგი ლექციები ფილოსოფიაში“, რომ „წმინდა ფილოსოფია და თეოლოგია“ მხოლოდ წყაროებიდან იქნეს შესწავლილი [175]. ფილოსოფიას ხელაღებით რომ არ უარყოფს, ეს ჩანს ისტორიაზე მსჯელობის დროსაც: მართალია, იგი წერს, რომ „ყველაფერი, რასაც ასწავ-

---

[172] Fr. Paulsen, დასახ. ნაშრ., გვ. 193.

[173] იქვე, გვ. 120.

[174] მელანხტონი ლუთერის გავლენას რომ განიცდიდა, ეს საყოველთაოდ ცნობილია. ამაზე მიუთითებს თვით მელანხტონის აღიარებაც: მას არასოდეს არ შორდება აზრი, რომ იგი ლუთერზე — „ამ ძლიერ პიროვნებაზე სუსტია“ და რომ ხშირადაც იძულებულია საკუთარი ნება დაუმორჩილოს მისას (Фр. Бецольд, დასახ. ნაშრ., გვ. 61).

[175] Fr. Paulsen, დასახ. ნაშრ., გვ. 119.

ლის ან რისი შეთხზვაც შეუძლია ფილოსოფიას, ბრძენ ადამიანებს და მთელ ადამიანურ გონებას პატიოსანი ცხოვრებისათვის, — ყველაფერ ამას სრულად იძლევა ისტორია მაგალითებით და თხრობებით... და ამას თვალწინ გიყენებს ისე, თითქოს მასში მონაწილეობდი"...[176], მაგრამ აქედან ის კი არ ჩანს, თითქოს ლუთერი საერთოდ უგულებელყოფდეს ფილოსოფიას, არამედ აქ მხოლოდ ისტორიული „მაგალითებისა და თხრობების" უპირატესობაზეა ლაპარაკი, თუმცა მინიშნებულია ფილოსოფიის სარგებლიანობაზეც: საერთოდ მთელ ფილოსოფიას რომ არ უარყოფს, ეს კარგად ჩანს მაშინაც, როცა ლუთერი ახდენს არისტოტელესა და ციცერონის მოძღვრებათა შედარებას. არისტოტელესთან ლუთერს პირველ რიგში არ მოსწონს ის, რომ იგი არავითარ ყურადღებას არ აქცევს ღმერთისა და ადამიანის ურთიერთობას. მეტიც, „მასთან (ე. ი. არისტოტელესთან — გ. კ.) ღმერთი სულ არ კითხულობს ადამიანთა საქმეებს, ყურადღებას არ აქცევს იმას, თუ რას ვაკეთებთ და როგორ ვიქცევით, თითქოს ეს სრულებითაც არ ეხებოდეს"[177]. მართალია, ლუთერის თქმით, არისტოტელემ იცის, რომ „ღმერთი მართავს სამყაროს, როგორც ძიძა — აკვანში ბავშვს" [178], მაგრამ ეს არაა საკმარისი. მთავარი ისაა, რომ არისტოტელემ, საბოლოო ჯამში, ვერ მიაგნო იმ „ძირითად არსს [179], რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდების რელიგიური აღზრდისა და ზნეობრივი სრულყოფისათვის.

სამაგიეროდ ლუთერი მაღალ შეფასებას აძლევს ციცერონს, თუმცა იგი გამონაკლისი როდია — ადრეც, ლუთერის დროსაც და შემდეგაც, იყვნენ ადმიანები, რომლებიც ციცერონის მოძღვრებას დიდ პრაქტიკულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ასე, მაგალითად, ჰეგელის თქმით, „ციცერონისეულ საყოველთაო ხელმისაწვდომ ფილოსოფიას", რომელიც არ შეიცავს არავითარ სპეკულაციურ ფასეულობას, „საერთო კულტურისათვის ის აუცილებელი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ადამიანს არწმუნებდა თავისი შინაგანი მე-ს შესაძლებლობებში და ხელს აღებინებდა „თავისი პიროვნებისაგან განდ-

---

[176] M. Luther, Daß man Kinder zur Schulen halten solle, გვ. 258.
[177] M. Luther, Tischreden, გვ. 361.
[178] იქვე.
[179] იქვე, გვ. 359.

გომის ადრე გაბატონებულ პრინციპზე“ [180]. მართლაც, ცნობილია, რომ ციცერონისათვის მთავარ ამოცანას შეადგენდა არა იმდენად მეცნიერული პრობლემები, რამდენადაც განმანათლებლური [181]; იგი წინა პლანზე წამოსწევდა რელიგიისა და ზნეობის საკითხებს, რომელთაც ცხოვრებისეული მნიშვნელობა ჰქონდათ. ეს იზიდავს ლუთერსაც, აკი აღფრთოვანებული წერს: „ამ შესანიშნავმა მოღვაწემ“ (ე. ი. ციცერონმა) თავისი ოცწლიანი მმართველობის მიუხედავად, რომლის დროსაც მას „დიდ ღირსებასთან ერთად არც გაჭირვება და არც სამუშაო“ ჰკლებია, უკეთ გაიგო ის „ძირითადი არსი“, უპირველეს ყოვლისა ის, რომ სული უკვდავია, რომ რელიგიურ და ზნეობრივ აღზრდას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ამქვეყნიური, ისე მარადიული ცხოვრებისათვის, რომელსაც ვერ ჩასწვდა არისტოტელე. ციცერონმა, მისი თქმით, განიხილა ისეთი საკითხები როგორებიცაა: „არსებობს თუ არა ღმერთი? რა არის ღმერთი? და ესმის თუ არა მას ადამიანთა საქმეები?“ როგორ უნდა იქცეოდნენ ადამიანები და ა. შ., რომლებიც „ფილოსოფიის საუკეთესო საკითხებია“ [182]. როგორც ვხედავთ, ციცერონში ლუთერს იზიდავს რელიგიისა და ზნეობის ფილოსოფია, მასში ხედავს ნამდვილ ფილოსოფიას. „ვისაც ნამდვილი ფილოსოფიის გაგება სურს, — ურჩევს იგი ახალგაზრდებს, — ციცერონი წაიკითხოს“ [183]. რამდენად სწორია ეს (ციცერონის დაყენება არისტოტელეზე მაღლა), სხვა საქმეა, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ლუთერი ხელაღებით არ უარყოფს ფილოსოფიის მნიშვნელობას.

მართალია, ლუთერი ფილოსოფიის საუკეთესო საკითხებად რელიგიისა და ზნეობის საკითხებს აცხადებს (თეოლოგს ამისკენ უბიძგებდა ის, რომ, როგორც თვითონ აღნიშნავს, ორივე ეს საკითხი მეტად სავალალო მდგომარეობაში იყო მის თანამედროვე გერმანიაში), მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ლუთერი ახალგაზრდებისაგან მხოლოდ ამ საკითხების დაუფლებას მოითხოვდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ მან მოახდინა საერო ცხოვრებისა და საერო მმართველობის „რეაბილიტაცია“ (ფ. ენგელსი), ე. ი. მისცა მათ

---

[180] Гегель, Соч., Т.XI, кн. III, М., 1935, გვ. 169—170.

[181] С. И. Ковалев, Марк Туллий Цицерон, Письма Марка Туллия Цицерона, „Литературные памятники“, т. I, М—Л., 1959, გვ. 401.

[182] M. Luther, Tischreden, გვ. 359.

[183] იქვე.

ღვთაებრივი გამართლება, მაშინ ცხადი გახდება, რომ ლუთერს ასევე აუცილებლად მიაჩნდა მათი შესაბამისი რეალური ცოდნაც. ამიტომაც მოითხოვს იგი „ყოველი ხელოვნების“ — იქნება ეს ქვეყნის მართვა, გზებისა და ხიდების მშენებლობა, სამთამადნო საქმე, მათემატიკური დისციპლინები, მედიცინა, ისტორია, დიალექტიკა და ა. შ. — „სერიოზულ შესწავლას“ [184]. რეალური საგნების შეცნობის აუცილებლობაზე მიუთითებს ლუთერის, თუმცა ზოგჯერ მეტად პრიმიტიული და ბუნდოვანი, მაგრამ მაინც საინტერესო მოსაზრებები: მაგალითად, მას აინტერესებს ციცერონის მსჯელობა იმაზე, რომ ადამიანი და ცხოველი თავისსავე მსგავსს წარმოშობს, ან კიდევ: „თუ როგორ ისახება, იზრდება და ვითარდება ნაყოფი დედის მუცელში“ [185]. ლუთერს იტაცებს ცის თანავარსკვლავედის მოძრაობაც, ის, რომ მზე ყოველთვის ერთნაირად ამოდის და ჩადის, რომ აქედან გამომდინარეობს „ზუსტი დროები, რასაც ჩვენ ზაფხულსა და ზამთარს ვუწოდებთ“ [186]. ლუთერი ლაპარაკობს ატმის კურკის საიდუმლოებაზეც, რომელიც „თავისი გარსის სიმაგრის მიუხედავად, თავის დროზე უნდა გაიხსნას იმ ძალიან რბილი გულის ზემოქმედებით, რომელიც მასშია“ [187]. მას აინტერესებს ისიც, რომ „მედიცინა არის ბუნების ფილოსოფია, ხელოვნება, რომელსაც საქმე აქვს ბუნების საგნებთან და რომელთაც იგი შეისწავლის. ბუნება (ეს ცნება აქ გაიგივებულია ანატომიასა და ფიზიოლოგიასთან — გ. კ.) კი... ქმნის სხეულს და გონებას, ასევე ჯანმრთელობას“ [188]. ამრიგად, ეს მაგალითებიც ნათელს ხდის, რომ ლუთერი არ იფარგლება მხოლოდ რელიგიისა და ზნეობის ფილოსოფიის შესწავლის მოთხოვნით; იგი ახალგაზრდებს მხოლოდ საღვთო წერილის კითხვას კი არ ურჩევს, არამედ რეალური ცოდნის დაუფლებისკენაც მოუწოდებს, თუმცა არც იმის თქმა ავიწყდება, რომ ყოველგვარი საგნის და მათთვის დამახასიათებელი თვისების საწყისი, შემოქმედი ღმერთია.

იბადება კითხვა: განა რეალური ცოდნის მნიშვნელობას უგულებელყოფდა არისტოტელე, რომლის წინააღმდეგაც ლუთერი ილაშქრებს? რა თქმა უნდა, არა, მაგრამ, ამაზე ზემოთაც ვთქვით, ლუ-

---

[184] M. Luther, Tischreden, გვ. 350.
[185] იქვე, გვ. 362.
[186] იქვე.
[187] K. Raumer, დასახ. ნაშრ., გვ. 138.
[188] Luther Deutsch, Tischreden, გვ. 202.

თერისათვის, როგორც თეოლოგისათვის, გადამწყვეტი აღმოჩნდა, ჯერ ერთი, ის, რომ არისტოტელემ „ვერ მიაგნო“ იმ „ძირითად არსს“, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს რელიგიური აღზრდისა და ზნეობრივი სრულყოფისათვის, მეორე, — ის, რომ არისტოტელეს შეხედულებები, რომლებიც მიიღო სქოლასტიკამ, ჩაყენებული იყო პაპების, და საერთოდ კათოლიკური ეკლესიის, სამსახურში, რომელთაც ებრძოდა ლუთერი. ეს ორი გარემოება რომ არა, შეიძლებოდა ლუთერს დუმილით აევლო გვერდი არისტოტელესათვის, როგორც ამას აკეთებს პლატონის თუ სხვა ფილოსოფოსების მიმართ, რომელთაც ასევე იცნობდა იგი.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ არისტოტელესადმი უარყოფითი დამოკიდებულება, რომელსაც იჩენს ლუთერი, გამონაკლისი როდია. ცნობილია, რომ „არისტოტელიზმის“ წინააღმდეგ გამოდიოდნენ ჯერ კიდევ პეტრარკა, ლორენცო ვალა, მოგვიანებით კი — კამპანელა, ბრუნო, ფრ. ბეკონი [189], თუმცა ისინი ეწინააღმდეგებოდნენ არა იმდენად არისტოტელეს, რამდენადაც სქოლასტიზირებულ არისტოტელეს. სწორედ ასეთი ფილოსოფია ჰქონდა მხედველობაში, როცა პეტრარკა წერდა: „მე მიყვარს ფილოსოფია, მაგრამ არა ისეთი, ყბედი, სქოლასტიკური, ცარიელი, რომლითაც სასაცილოდ ამაყობენ ჩვენი სწავლულები, არამედ ჭეშმარიტი, რომელიც ბინადრობს არა მარტო წიგნებში, არამედ გონებაშიც, გამოვლენილი საქმეში და არა სიტყვებში“ [190]. სქოლასტიზირებული არისტოტელესათვის დამახასიათებელი ტერმინოლოგიური დისკუსია და გონებითი ჭვრეტა „ასევე აღიზიანებდა ლუთერის თანამედროვე ესპანელ ჰუმანისტს ხუან ლუის ვივესს (1492—1542). „დაკვირვება და ცდა“ [191] — აი, რა მიაჩნდა მას ჭეშმარიტი ცოდნის წყაროდ. აღსანიშნავია, რომ ლუთერიც მხარს უჭერდა ემპირიულ ცოდნას, რომელიც შეიძლება ცდისა და გამოცდილების საფუძველზე.

სქოლასტიკისა და არისტოტელესადმი ლუთერის დამოკიდებულებაზე მსჯელობის დასასრულს უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ლუთერი არისტოტელეს ყველა თხზულებას როდი უარყოფდა; მას

---

[189] Г. Александров, Аристотель, М., 1940, გვ. 267.

[190] Л. Х. Горфункель, Философия эпохи Возрождения, М., 1980, გვ. 25.

[191] იქვე, გვ. 132.

საუნივერსიტეტო სწავლებიდან არისტოტელეს ყველა თხზულების ხელაღებით ამოღება არ მოუთხოვია. ლუთერს დასაშვებად მიაჩნია არისტოტელეს წიგნების: „ლოგიკის“, „რიტორიკის“ და „პოეტიკის“ შენარჩუნება [192], მაგრამ არა იმ სახით, არა იმ კომენტარებითა და სქოლიოებით, რომლებიც შუა საუკუნეებში სქოლასტიკოსების მიერ იყო შედგენილი. მსგავსი „დამახინჯებებისაგან“ თავისუფალი ეს წიგნები, ფიქრობდა ლუთერი, სასარგებლო იქნებოდა ახალგაზრდების გავარჯიშებისათვის მჭევრმეტყველებასა და ქადაგებაში. ამავე პრინციპით ხელმძღვანელობდა ლუთერი, როცა ციცერონის „რიტორიკისათვის“ კომენტარებისა და სქოლიოების ჩამოცილებას მოითხოვდა [193].

თუ რა დამოკიდებულებას იჩენდა ლუთერი ადამიანური გონებისადმი, ამაზე რამდენადმე უკვე ვისაუბრეთ, როცა შევეხეთ მის პედაგოგიკურ შეხედულებებს. აქ უფრო ვრცლად შევჩერდებით მასზე.

ცნობილია, რომ შუასაუკუნეობრივ ფილოსოფიაში მუდმივი მსჯელობის საგანი იყო რწმენისა და გონების თანაფარდობის საკითხი. სქოლასტიკის უდიდესი წარმომადგენლების — ანსელმ კენტერბერიელის, პეტრე ლომბარდიელის, ალბერტ დიდის, თომა აქვინელის ცდაც სწორედ იქითკენ იყო მიმართული, რომ რაციონალურად დაესაბუთებინათ ღმერთის ყოფიერება. ისინი აცხადებდნენ ცოდნისა და რწმენის, გონებისა და გამოცხადების უღრეველ ჰარმონიას. პირველი დარტყმა ამ სისტემას მიაყენეს დუნს სკოტმა და უილიამ ოკამმა. ამ უკანასკნელმა ცოდნა დაყო თვალსაჩინოდ, ანუ გრძნობადად და აბსტრაქტულად. ოკამის აზრით, არ შეიძლება რაიმე ვიცოდეთ იმ საგნების შესახებ, რომელთა წვდომა შეუძლებელია გონებისათვის. ღმერთი კი, მისი თქმით, გრძნობადი, ანუ თვალსაჩინო. გონებრივი გამოცდილების საზღვრის იქით იმყოფება. ოკამმა ამ დებულებით საბოლოოდ განაცალკევა რწმენისა და ცოდნის სფეროები, რითაც ნიადაგი შეამზადა უიკლიფის, ჰუსის და ლუთერის რეფორმაციული მოძღვრებისათვის. „ოკამიზმი, — წერს ლეო შტერნი, — სხვა არაფერს ნიშნავს, თუ არა შუასაუკუნეობრივი მსოფლმხედველობის საფუძვლის შერყევას, რომელმაც სრული ასახვა პოვა

---

[192] M. L u t h e r, An den christlichen Adel..., გვ. 80.

[193] იქვე.

ჯონ უიკლიფთან, იან ჰუსთან და მარტინ ლუთერთან. აკი საყოველთაოდ ცნობილია, რომ ლუთერი იყო ოკამისტი“ [194].

მართლაც, სქოლასტიკურ ფილოსოფიასთან ბრძოლისას, როგორც ეს ზემოთაც ვთქვით, ლუთერი გადაჭრით უარყოფდა ჭეშმარიტი რწმენის რაციონალური ჩაწვდომის შესაძლებლობას. 1515—1516 წლებში დაწერილ „რომაული წერილების შესახებ ლექციებში“, როცა „სიბრძნისა“ და „შემეცნების“ განსხვავებულობაზე ლაპარაკობდა, სიბრძნის ობიექტად ლუთერი მარადიულ საგნებს ასახელებდა და ფიქრობდა, რომ მათი დანახვა და შემეცნება შეუძლებელია, მათ მხოლოდ რწმენით აღვიქვამთ. „შემეცნების“, ე. ი. გონების, ობიექტად კი ლუთერი „მიწიერ, წარმავალ საგნებს“ (Zeitliche Dinge)[195] აცხადებდა. აქედან გამომდინარე, ლუთერს დაუშვებლად მიაჩნდა რწმენის საქმეში გონების ყოველგვარი ჩარევა. საერო მმართველობა, მისი აზრით, შეზღუდულია ადამიანური საქმეებით, ამიტომ იგი შორს უნდა იდგეს იმ საქმეებისაგან, რომელიც „ღმერთმა არ დაუმორჩილა ადამიანურ გონებას (ე. ი.: სინდისი). მაშასადამე, ლუთერის აზრით, „უგუნურნი არიან ხელმწიფეები, რომლებიც ბედავენ თავიანთი ხელისუფლება ზეცაზეც გაავრცელონ“, ცდილობენ მართონ ადამიანების სინდისი და ერევიან მათი რწმენის საქმეში, რომლის უფლებაც არა აქვთ. ამის დაშვება მას ღმერთის უფლების ხელყოფად მიაჩნდა.

თავის მხრივ, ლუთერი არც იმის მომხრე იყო, რომ ქვეყანა ემართათ საღვთო წერილის მიხედვით — ეს დაუშვებლად მიაჩნდა, რადგან ადამიანებს შორის ყველა როდია ჭეშმარიტი ქრისტიანი (ათასიდან ერთი თუა ხსეთი), ყველა როდი ეწევა ქრისტიანულ ცხოვრებას, თუმცა შეიძლება ისინი მონათლულებიც იყვნენ და ქრისტიანებადაც იწოდებოდნენ. და მაინც, ლუთერის აზრით, თუ ვინმე მოისურვებდა ქვეყნის მართვას საღვთო წერილის მიხედვით, იმის იმედით, რომ მისი ქვეშევრდომები ქრისტიანები არიან, ადამიანები ერთმანეთს დაერეოდნენ, ვერავინ შეძლებდა ცოლ-შვილს

---

[194] L. S t e r n, Martin Luther und Philipp Melanchthon. Ihre ideologische Herkunft und geschichtliche Leistung. Eine Studie der materiellen und geistigen Triebkräfte und Auswirkungen der deutschen Reformation, Berlin, 1953, გვ. 44.

[195] M. L u t h e r, Vorlesung über den Römerbrief 1515—1516, Bd. III, Weimar, 1960, გვ. 259.

შენახვას, შეუძლებელი იქნებოდა მშვიდობიანი შრომა და ღვთისმსახურებაც. მსოფლიო უდაბნოდ იქცეოდა [196]. აქედან გამომდინარე, ოკამის მსგავსად, ლუთერი იმ დასკვნამდე მიდიოდა, რომ ღმერთმა ცხოვრებისეული, ყოველდღიური საქმიანობა, განათლებისა და მართვის საკითხები ბუნებრივ სამართალსა და ბუნებრივ გონებას დაუმორჩილა. ლუთერი გონების როლს რომ არ გამორიცხავდა, ეს ჩანს „გერმანელი ერის ქრისტიანი თავადაზნაურობისადმი“ მიმართვაშიც, სადაც ნათქვამია: მე არ ვამბობ, რომ „ბუნებრივი, ანუ საერო სამართალი და გონება არაფერს ნიშნავს“ [197], „ყველაფერი, რაც ხუთ გრძნობას ემორჩილება, შეიძლება ვმართოთ გონებით“,—ამბობს ლუთერი სხვა ადგილას და მხედველობაში აქვს ადამიანთა პრაქტიკული მოღვაწეობის სფერო, განსაკუთრებით მართვა-გამგეობის საქმე. ფრიად დამახასიათებელია, რომ 1525 წელს, როცა გამოჩნდა ლუთერის პოლემიკური ტრაქტატი „ნების მონობის შესახებ“ (De servo arbitrio), რომელშიც უარყოფილია თავისუფალი ნების შესაძლებლობა, მისი მნიშვნელობა რელიგიური პეშმარიტების შეცნობაში, ლუთერი აქვეყნებს მის მიერ ადრე დაწერილ მოსეს მეორე სჯულის მეხუთე წიგნის კომენტარებს, სადაც ხაზგასმულია, რომ მართვა-გამგეობისათვის საჭიროა ადამიანები, რომლებიც ფლობენ გონებას და გამოცდილებას, იციან კანონები და ყველაფერი აუცილებელი ადამიანური ცხოვრებისათვის [198]. ლუთერი იშველიებს ასეთ არგუმენტებსაც: „სიბრძნემ, გონებამ და სწავლამ უნდა მართოს ქვეყანა. ღმერთი რომ გაწყრეს და ქვეყნად სწავლულები მოისპოს, ადამიანები მხეცებს, ველურ ცხოველებს დაემსგავსებოდნენ, იქნებოდა მხოლოდ ყაჩაღობა, ქურდობა, მკვლელობა, უპატრონობა და ბნელეთი. მეზობელი მეზობელს უმტრობდა, ყველა იცხოვრებდა ისე, როგორც მოესურვებოდა“ და ეს „ქვეყნის დასასრულიც“ იქნებოდა [199]. ან კიდევ: მხოლოდ ცხოველების მართვა შეიძლება ძალდატანებით და ეშმაკური ფანდით, ადამიანები კი უნდა იმართონ სიბრძნით და გაგებით, რადგანაც ადა-

---

[196] M. Luther, Von weltlicher Obrigkeit..., გვ. 74.
[197] M. Luther, An den christlichen Adel..., გვ. 25.
[198] M. Luther, Werke. Bd. XIV. Weimar, 1895, გვ. 552.
[199] M. Luther, Tischreden, გვ. 358.

მიანი ძლიერია გონებით[200]. ადამიანისაგან შეიძლება ყველაფერს „მიაღწიო, თუ მას მართავ „არა მახვილით“ (ე. ი. არა ძალით), არამედ გონიერი მოპყრობით. აქედან გამომდინარე, ლუთერი ასეთ დასკვნამდეც მიდის: თუ შეუძლებელია ის, რომ ქვეყანას ჰყავდეს გონიერი და კეთილი ხასიათის მმართველი, მაშინ უმჯობესია მმართველი იყოს გონიერი და არამორწმუნე, ვიდრე მორწმუნე და უგუნური[201]. გონიერად მართვა კი ლუთერისათვის ნიშნავს იმას, რომ არ დაეყრდნო მხოლოდ დაწერილ კანონებს და იურისტების რჩევას. ხელისუფალმა, — განმარტავს იგი, — „საკუთარი გონებით უნდა განსაზღვროს, სად და როდის გამოიყენოს კანონი მთელი სიმკაცრით, სად და როდის შეარბილოს იგი“. იგივე აზრს გამოთქვამს ლუთერი, როცა წერს: „ხელისუფალი მუდამ უნდა მართავდეს კანონებით, ხოლო უმაღლეს კანონად და საუკეთესო კანონმდებლად დაე იყოს გონება[202].

ქვეყნისა და ადამიანების გონიერ მმართველობას რომ მოითხოვს, ლუთერი ფიქრობს, ამის უნარი (ნიჭი) ყველა ადამიანს როდი აქვს, ყველა როდი ფლობს ღვთისაგან ბოძებულ ბუნებრივ სამართალსა და ბუნებრივ გონებას. „ძვირფასი განძი, — წერს იგი ამასთან დაკავშირებით, — რომელსაც უწოდებენ ბუნებრივ სამართალსა და ბუნებრივ გონებას, იშვიათი რამაა მოკვდავთა შორის“. ლუთერი წუხს, რომ ეს ყველა ადამიანს ვერ შეუგნია. „აი, კიდევ ყურთა სმენა აქვთ წაღებული ბუნებრივი სამართლითა და ბუნებრივი გონებით, — წერს იგი, — მიუთითებენ რა, რომ აქედანაა წარმომდგარი ყოველგვარი დაწერილი სამართალი. ყველაფერი ეს სწორია... უბედურება ისაა, რომ ყოველ ადამიანს ჰგონია, მხოლოდ მის თავში ბუდობს ბუნებრივი სამართალი“. „ბუნებრივი სამართალი და ბუნებრივი გონება ყველას თავში რომ იყოს, — განაგრძობს ლუთერი, — მაშინ სულელებიც, ბავშვებიც და ქალებიც მართვაში თვით დავითსა და ავგუსტუსს გაეჯიბრებოდნენ“. ამრიგად, ლუთერი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ბუნებრივი სამართალი და ბუნებრივი გონება (ე. ი. ნიჭი) ღმერთის „რჩეულთა“

---

[200] M. Luther, Werke, Bd. XIV, გვ. 551.

[201] იქვე, გვ.553.

[202] M. Luther, Von weltlicher Obrigkeit..., გვ. 93.

ხვედრია[203]. რა თქმა უნდა, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ლუთერმა ადამიანებს შორის დაუშვა ზნეობრივი და გონებრივი უთანასწორობა წარჩინებულთა სასარგებლოდ, როგორც ეს საბჭოთა მკვლევარ მ. იუსიმს წარმოუდგენია[204]. ეს რომ ასე არ არის, ამაზე ნათლად მეტყველებს ლუთერის შემდეგი სიტყვებიც: ღმერთს თავისი „რჩეული" ჰყავს „ყველა წოდებაში", არა მარტო „თავის ხალხს შორის (ე. ი. ჰეშმარიტ ქრისტიანებს შორის — გ. კ.), არამედ უღმერთოებსა და წარმართებს შორისაც. არა მარტო მთავრების წოდებაში, არამედ ბიურგერებს, გლეხებს, ხელოსნებს შორისაც... ასეთები იყვნენ კიროსი, თემისთოკლე. ალექსანდრე დიდი, ავგუსტუსი, ვესპასიანე, ჰანიბალი"[205]. ბუნებრივად გვებადება კითხვა: თუ ლუთერს შესაძლებლად მიაჩნია ღმერთს თავისი „რჩეულნი" (ე. ი. ნიჭიერი ადამიანები) ჰყავდეს გლეხებსა და ხელოსნებს შორის (ამის შესაძლებლობა ლუთერს იმიტომაც უნდა დაეშვა, რომ როგორც თვითონ, ისე ბევრი მისი თანამედროვე ცნობილი მოღვაწე გლეხური წარმოშობისა იყო), მაშინ რატომ არ მოითხოვს იგი გლეხთა წრიდან გამოსული ნიჭიერი ადამიანების დასმას უნიჭო ხელისუფალთა ნაცვლად? ჩვენ ზემოთ ვთქვით და აქაც გავიმეორებთ, რომ ლუთერი ხელისუფალთა ყოველგვარი შეცვლის წინააღმდეგი იყო, ერთადერთ შესაძლებლად მას ღმერთი მიაჩნდა. მაგრამ, როგორც ეს ზემოთაც ვთქვით, რაკი ლუთერი უშვებდა გლეხებისა და ხელოსნების ნიჭიერი შვილების დაწინაურებას კანცლერებად, იურისტებად, მრჩევლებად, მდივნებად და ა. შ., მაშასადამე, მისი აზრით, ყოველივე ეს ნიშნავდა მათ მონაწილეობას ქვეყნის მართვაშიც. ამ ადამიანებს ის უპირატესობა ჰქონდათ, რომ ისინი თავიანთ გონებას და განათლებას უპირისპირებდნენ მმართველთა „ძალასა და მუშტს", იცავდნენ კანონებს, რომლებიც ასე საჭიროა ქვეყნის მართვისათვის. ასე რომ, სავსებით მართებულად გვეჩვენება საბჭოთა მედიევისტის მ. მ. სმირინის შენიშვნა, რომ ლუთერთან საბოლოოდ თუ არ წყდე-

---

[203] Martin Luthers Werke, Bd. 39, გვ. 284—285.

[204] М. Юсим, Макиавелли и Лютер. Христианская мораль и государство, „Культура эпохи Возрождения и Реформация", გვ. 74.

[205] Martin Luthers Werke, Bd. 39, გვ. 284.

ბა, ყოველ შემთხვევაში დასმული მაინც არის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის სფეროში ადამიანური გონების სრული რეაბილიტაციის საკითხი. როცა ლუთერს სახელმწიფოს პრაქტიკული მოღვაწეობა გადააქვს საერო სამართლის (ბუნებრივი სამართლის) სფეროში და უშვებს, რომ ხელმწიფეს შეუძლია თავის პრაქტიკულ მოღვაწეობაში იხელმძღვანელოს გონებით, ამით მისი პოლიტიკური კონცეფცია უახლოვდება ახალი დროის პოლიტიკურ კონცეფციას[206]. ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერი გ. ფაბიუნკეც[207]. უფრო ადრე, როცა ჩერდებოდა ლუთერისა და მისი რეფორმაციის ისტორიულ როლზე, კ. მარქსი წერდა: „გერმანიის რევოლუციური წარსული სახელდობრ თეორიულია, ეს—რეფორმაციაა. როგორც მაშინ ბერი იყო, ახლა ფილოსოფოსია ის, რომლის ტვინშიც რევოლუცია იწყება“[208]. ამ შემთხვევაში კ. მარქსს მხედველობაში აქვს არა მარტო ის, რომ ლუთერმა ადრე ბურჟუაზიული რევოლუციის პირველ ეტაპზე (1517—1521 წწ.) გააერთიანა საზოგადოების სხვადასხვა ოპოზიციური ელემენტები, არამედ ისიც, რომ მისი მოძღვრება შეიცავდა ახალი მსოფლმხედველობის ჩანასახს; ეს ითქმის როგორც საერო ცხოვრებისა და საერო დაწესებულებების ლუთერისეულ რეაბილიტაციაზე, ისე ამ საქმეებში ადამიანური გონების დადებითი როლის აღიარებაზეც. ნიშანდობლივია, რომ ჰუმანისტებისა თუ სხვა მოაზროვნეებისაგან განსხვავებით, რომლებიც თავიანთ მოწინავე იდეებს ვიწრო წრეში ქადაგებდნენ, ლუთერმა თავისი დებულებანი, თუმცა შეზღუდულნი და აბსტრაქტულ-თეორიული ხასიათის მატარებელნი, საზოგადოების ფართო წრისათვის გახადა მისაწვდომი. ამაში დიდი როლი შეასრულა იმანაც, რომ თავისი თხზულებების ძირითადი ნაწილი ლუთერს დაწერილი აქვს არა ლათინურად, როგორც ეს ჰუმანისტებთანაა, არამედ მშობლიურ, გერმანულ ენაზე — ამაშიცაა ლუთერის ისტორიული დამსახურება.

---

[206] М. Смирин, Эразм Роттердамский и реформационное движение в Германии, М., 1978, გვ. 206.

[207] G. Fabiunke, დასახ. ნაშრ., გვ. 68.

[208] კ. მარქსი, ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის, შესავალი, თბ., 1946, გვ. 16.

IX

საუნივერსიტეტო რეფორმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად ლუთერს სწავლებიდან საეკლესიო სამართლის ამოღება მიაჩნდა. „დეკრეტალიების“ ანუ რომის პაპთა დადგენილებების კრებული, მისი თქმით, ერთიანი განადგურების ღირსი იყო, და ეს არა მარტო იმიტომ, რომ „დეკრეტალიების“ მიზანს შეადგენდა ფეოდალურ-კათოლიკური ქვეყნების მეთაურებზე პაპების პრეტენზიის იურიდიული დასაბუთება, არამედ იმიტომაც, რომ მას უდიდესი ზიანი მოჰქონდა ადამიანების ზნეობისა და ღმერთის საქმისათვის. ლუთერი კარგად ხედავდა, რომ პაპები თვითონ არ ასრულებდნენ იმ კანონებს, რომელთაც სხვებისათვის სავალდებულოდ აცხადებდნენ. იგი გარკვევით ამბობს: „ქრისტეს უბედურ ხალხს... თავს ახვევენ მრავალ კანონს, თვითონ კი არც ერთს არ იცავენ; სხვებს აიძულებენ დაემორჩილონ ამ კანონებს ან ფულით დაიხსნან მათგან თავი“ [209]. და თუ ვინმე თავისი სიმართლის დასაბუთებას შეეცდებოდა „სასულიერო სამართლით“, ამის საწინააღმდეგოდ პაპს გააჩნდა „scrinium pectoris“ (ე. ი. „სულის საცავი“, როგორც ამას ლუთერი დაცინვით ამბობს), რომელსაც უნდა დამორჩილებოდა „ყოველგვარი სამართალი და მთელი მსოფლიო“ [210]. ამგვარი მხილებით ლუთერს იმის თქმა სურს, რომ სასულიერო სამართალი, რომელიც პაპმა „თავისი გულის სიღრმეში“ (in seines Herzens Kasten) ჩაკეტა, „წიგნებში კი არ არის, არამედ პაპისა და მისი მლიქვნელების თვითნებობაში“, რომ მასში მხოლოდ სიცრუეა“ [211]. მაშასადამე, ლუთერის აზრით, „ანგარებასა და ამპარტავნობაზე“ დაფუძნებული სასულიერო სამართლის შესწავლა „ფუჭი და უსარგებლოა“ როგორც ადამიანებისათვის, ისე ღვთისათვის [212]. ლუთერი ღრმადაა დარწმუნებული, რომ საჭიროა თეოლოგიური წიგნების შემცირებაც. მათგან მხოლოდ საუკეთესოების არჩევა, ვინაიდან „განათლებას მრავალრიცხოვანი წიგნები კი არ იძლევა“, არამედ ხშირი და საფუძვლიანი კითხვა [213].

---

[209] M. Luther, An den christlichen Adel..., გვ. 81.
[210] იქვე.
[211] იქვე.
[212] იქვე.
[213] იქვე. გვ. 84.

სამაგიეროდ სხვაგვარად ეკიდებოდა ლუთერი საერო სამართალს, თუმცა არც ამ უკანასკნელს აკლებდა კრიტიკას. აი რას წერდა იგი: „ამბობენ, არსად არ არის იმაზე საუკეთესო საერო მმართველობა, ვიდრე თურქებთან, თუმცა მათ არც საეკლესიო, და არც საერო სამართალი გააჩნიათ — აქვთ მხოლოდ ყურანი". უნდა ვაღიაროთ, რომ საეკლესიო და საერო სამართლის წყალობით, არსად არ არის იმაზე უფრო სამარცხვინო მმართველობა, ვიდრე ჩვენთანაა, სადაც საზოგადოების არც ერთი ფენა არ მოქმედებს „ბუნებრივი გონების შესაბამისადაც კი, რომ არაფერი ვთქვათ საღმრთო წერილზე"[214]. მიუხედავად ამისა, ლუთერის თქმით, საერო სამართალი სასულიეროზე ბევრად მაღლა დგას: „საერო სამართალი, ღმერთმა დაგვიფაროს, როგორი ველური გახდა იგი, თუმცა ბევრად უკეთესი, გონივრული და სამართლიანია საეკლესიოზე, რომელშიც, გარდა სახელისა, არაფერია კარგი"[215].

საერო სამართლის „სიველურეს" ლუთერი იმაში ხედავდა, რომ ძველი კანონები ფრიად არეული და დავიწყებულია საეკლესიო სამართლის წყალობით. მას სურდა ეკლესიის გავლენისაგან თავისუფალი და სისტემაში მოყვანილი საერო სამართალი, რადგან მას საზოგადოების მართვისათვის აუცილებლად თვლიდა. ლუთერი მკითხველს იმაშიც არწმუნებდა, რომ „იურისპრუდენცია, როგორც რომაული სამართლის წიგნებშია აღწერილი, ძალიან კარგი დარგია"[216]. „სამართალი" (იურისპრუდენცია), ამბობს იგი სხვაგან, „იგივე მორალია", რომლის შესწავლა პირადი სიამოვნებისა და საკუთარი ინტერესებისათვის კი არ უნდა ხდებოდეს, არამედ იმისათვის, რომ დაიცვას სიმართლე და აღკვეთოს ბოროტება — „სიმართლის დადგენის ინტერესებისათვის შეისწავლება სამართალი",[217] — ასკვნიდა ლუთერი.

ლუთერს შესანიშნავად ესმოდა, რომ თვით კარგი სამართალიც თავისთავად ბევრს არაფერს ნიშნავს, რომ იგი მაშინ არის ეფექტური, ღმერთისა და ადამიანებისათვის სასურველი, თუ მას ახორციელებს კარგად განსწავლული და ზნეკეთილი ადამიანი. ამიტომაც ლუთერი ახალგაზრდებს ჩააგონებდა — კეთილსინდისიერად შეეს-

---

[214] M. L u t h e r, An den christlichen Adel..., გვ. 81—82.

[215] იქვე, გვ. 82.

[216] M. L u t h e r, Tischreden, გვ. 343.

[217] L u t h e r D e u t s c h, Tischreden, გვ. 202.

წავლათ იურისპრუდენცია, რათა თავიანთ პრაქტიკულ მოღვაწეობაში სუფთა სინდისით ემსახურათ ხალხისა და ქვეყნისათვის“[218].

აქედან ის აზრიც გამოსჭვივის, რომ ლუთერს მშვენივრად ესმოდა კანონის დამცველების ანუ იურისტების საჭიროება. იურისტებში ხედავდა იგი საზოგადოებრივი წესრიგის უპირველეს დამცველებს. მისი თქმით, „სადაც უჩინარდებიან იურისტები, იქ უჩინარდება კანონიც, და მასთან ერთად მშვიდობაც — რჩება მხოლოდ ძარცვა, მკვლელობა, დანაშაული და ძალადობა, ადამიანები იქცევიან მხეცებად“[219]. ყოველივე ეს, ლუთერის აზრით, არ ნიშნავს იმას, რომ იურისტების მოქმედებას ყველა შემთხვევაში საფუძვლად დაედოს მკაცრი ზომები. იურისტებისაგან მოითხოვს მეტი ჰუმანურობის გამოჩენას, რადგან „ყველაზე მკაცრი სამართალი ყველაზე დიდი უსამართლობაა“. „ლმობიერება“ სრულებითაც არ მოასწავებს „დისციპლინისა და სამართლის მოსპობას“, მხოლოდ არბილებს და უფრო მოქნილს ხდის სამართალს. მაშასადამე, იურისტებს მართებთ მოქნილობა, გონიერება და დიდი სიფრთხილე. „მოულოდნელად გაბრაზება და დასკვნის გამოტანა,—წერს ლუთერი, — როგორც ახალგაზრდებს სჩვევიათ ხოლმე, არ არის საჭირო. გამოცდილება გვიჩვენებს: ახალგაზრდა იურისტს უმკაცრესი სასჯელის დადგენა სურს, ახალგაზრდა თეოლოგს — უდიდესი სიწმინდისა, ახალგაზრდა რეგენტს — უსიტყვო მორჩილებისა. მათ ყველაფერი ისე ჰგონიათ, როგორც წიგნებშია, რომლითაც ხელმძღვანელობენ. ზოგჯერ ცოტა გადახვევაა საჭირო“ [220]. ესეც ხელოვნებაა, რომელსაც, ლუთერის აზრით, ასევე შესწავლა სჭირდება.

იურისპრუდენციისა და იურისტების საჭიროებაზე რომ მიუთითებს, ლუთერი არ მალავს მათი ბოროტად გამოყენების შემთხვევებსაც, სააშკარაოზე გამოაქვს თავისი თანამედროვე იურისტების თვითნებობა, ანგარება და მექრთამეობა: „ყოველი პროკურორი თავს უფლებას აძლევს, მოითხოვოს ხალხისაგან ფული, აღიზიანებს მას (ე. ი. ხალხს), რომ ამ გზით მეტი მოგება ნახოს და გამდიდრდეს“ [221]. — ასეთი საქციელისათვის ლუთერი იურისტებს ხშირად

---

[218] M. Luther, Tischreden, გვ. 339.
[219] M. Luther, Daß man Kinder zur Schulen halten solle, გვ. 226.
[220] Luther Deutsch, Tischreden, გვ. 191.
[221] M. Luther, Tischreden, გვ. 343.

„მეტად საშიშ ხალხადაც“ [222] მოიხსენიებს, თუმცა ყველაფერში როდი თვლის მათ დამნაშავეებად. ლუთერი ფიქრობს, რომ ეკონომიური გაჭირვების წინაშე ყველაზე „კარგი კანონიც“ უძლურია[223], რომ გაჭირვებულმა ადამიანმა შეიძლება სინდისზეც ხელი აიღოს და ქურდობა და მექრთამეობა დაიწყოს. მაშასადამე, ლუთერის აზრით, თუ იურისტები მექრთამეობასა და გამოძალვას ეწევიან, მეტწილად ეს იმიტომ, რომ მათ მიერ დახარჯული შრომა სათანადოდ არ ნაზღაურდება. მას მოაქვს ამის კონკრეტული მაგალითიც: თუ იტალიაში იურისტებს წელიწადში უხდიან 400-ზე მეტ დუკატს, გერმანიაში მათ აძლევენ 4-ჯერ ნაკლებს. აქედან გამომდინარე, ლუთერი გერმანელ ხელისუფალთ აფრთხილებს: თუ გსურთ, იურისტებმა „პატიოსნად იმუშაონ, მეტი უნდა გადაუხადოთ მათ“ [224]. ასეთივე დამოკიდებულებას იჩენდა იგი სხვა პროფესიის ადამიანთა შრომისადმი. ამ საკითხის მოგვარებაში ხედავდა ლუთერი სკოლებსა და უნივერსიტეტებში იურისპრუდენციის შესწავლის და, საერთოდ, სწავლების ხარისხის ამაღლების გარანტიასაც.

X

სკოლებსა და უნივერსიტეტებში საყოველთაო შესწავლის საგნად ლუთერი აცხადებდა საღვთო წერილს — ამ „ყველაზე საუკეთესო და ხელმისაწვდომ წიგნს“[225], რომელშიც უნდა იწრთობოდეს და რომელზეც უნდა შრომობდეს თითოეული ადამიანი. უპირველეს ყოვლისა, მას ადამიანებისათვის უნდა ჩაენერგა ღვთისადმი შიში, უნდა მიეცა მათთვის რელიგიური ცოდნა და აღზრდა. ამასთანავე საღვთო წერილს ხელი უნდა შეეწყო საზოგადოების ზნეობრივი აღზრდისათვის, რადგან მისთვის საღვთო წერილი „ყოველგვარი გარემოებისათვის“ მისაღები ყოფაქცევის შემცველი იყო [226]. განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ლუთერი „ათ მცნებას“, რომლებსაც ბავშვობის ასაკიდან თანმიმდევრობით უნდა დაუფლებოდნენ ადამიანები; სწავლებისას უნდა გაეთვალისწინებინათ მოსწავლეთა სოციალური წარმომავლობაც, ასე, მაგალითად, ხე-

---

[222] M. Luther, Tischreden, გვ. 343.

[223] M. Luther, Von weltlicher Obrigkeit..., გვ. 93.

[224] M. Luther, Tischreden, გვ. 344.

[225] M. Luther, An den christlichen Adel..., გვ. 81.

[226] იქვე.

ლოსნებისა და ვაჭრებისათვის მეტი ადგილი უნდა დაეთმოთ მერვე მცნებისათვის, რომელიც კრძალავს ქურდობას და მოტყუებას[227]. ვაჭრებს აქედან უნდა შეეტყოთ ისიც, თუ რა დიდი ზიანი მოაქვს მშობლიური ქვეყნისა და ხალხისათვის ვაჭრობის ბოროტად გამოყენებას, — ეცემა ზნე-ჩვეულებანი: ფუგერებს და მათ მსგავს მევახშეებს უნდა შეეგნოთ, თუ რაოდენ დიდი უსამართლობაა დაკავშირებული მათ საქმიანობასთან. ისინი გაიგებდნენ იმასაც, თუ რაოდენ სასურველია ვაჭრობის შემცირება და მიწათმოქმედების გადიდება, თუ რაოდენ დასაგმობია ღორმუცელობა, ლოთობა, და სამეძაო სახლების არსებობა [228].

ლუთერი ფიქრობდა, რომ საღვთო წერილში გადმოცემული ყოვლისმომცველი „ზნეობრივი ნორმების“ მეშვეობით შესაძლებელია საზოგადოების ისეთი ჭანკერი მხარეების აღმოფხვრაც, როგორიცაა მუქთახორობა, სიხარბე, მექრთამეობა, მასების უვიცობა, სამღვდელოებისა და პაპების უზნეობა და ა. შ. სხვათა შორის, გერმანიის დაკნინებისა და ზნეობრივი დაცემის წინააღმდეგ ბრძოლის საჭიროებაზე უფრო ადრე მიუთითებდა გერმანელი ჰუმანისტი ულრიხ ფონ ჰუტენიც. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი 1520 წლის აპრილში გამოქვეყნებული დიალოგები: „ვადისკუსი ანუ რომაული სამება“, „მაუწყებელი“ და „მზვერავები“. შესაძლებელია, ლუთერმა განიცადა კიდეც ჰუტენის იდეური ზეგავლენა. ნიშანდობლივია, რომ ლუთერი 1520 წლის აგვისტოში დაწერილი თხზულებით მიმართავდა „გერმანელი ერის ქრისტიან თავადაზნაურობას“, რომლის წარმომადგენელიც ჰუტენი იყო, მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს — მთავარი ისაა, რომ ჰუტენსაც და ლუთერსაც ქვეყნის კეთილდღეობა სურდათ: უნდოდათ ხალხის ზნეობრივი აღზრდა, იმ ჭანკერი მხარეების აღმოფხვრა, რომლებიც მათ წარსულისაგან მიიღეს. ახალი ადამიანის აღზრდა — აი ის უმნიშვნელოვანესი ფუნქცია, რომელსაც ლუთერი საღვთო წერილს აკისრებდა. თუ რამდენად რეალური იყო ასეთი გზა, სხვა საქმეა, მაგრამ ის, რომ საღვთო წერილის მთავარ ამოცანად გამოცხადებულია არა მარტო ღვთისმოსაობის დამკვიდრება საზოგადოებაში, არამედ ბოროტების აღმოფხვრა და

---

[227] Л. Модзалевский, დასახ. ნაშრ., გვ. 269.

[228] M. Luther, An den christlichen Adel..., გვ. 92, 93.

სიკეთის გამრავლება, მრავალმხრივ მნიშვნელოვანია; ესეცაა იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ ლუთერმა თარგმნა ბიბლია მშობლიურ ენაზე.

XI

სასკოლო და საუნივერსიტეტო სწავლებას, როგორც ზემოთ ვთქვით, ლუთერი მხოლოდ სახარებით არ შემოფარგლავდა. იგი ილაშქრებდა იმათ წინააღმდეგ, ვინც გამოთქვამდა აზრს, თითქოს „სახარებამ უნდა დაამხოს დედამიწაზე ყველა ხელოვნება“[229]. ლუთერის აზრით, ყველა დისციპლინას და მათ შორის სახარებასაც, თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს. აქედან გამოდიოდა იგი, როცა მოითხოვდა ენების საფუძვლიან შესწავლას. ენებში ხედავდა ლუთერი „უმშვენიერეს ღვთიურ საჩუქარს“, რომელსაც მოფრთხილება სჭირდება[230]. ლუთერი, ბუნებრივია, პირველ რიგში, თავისი მშობლიური ენის პატრიოტი იყო. მისი თხზულებების დიდი ნაწილი ხომ გერმანულ ენაზეა შესრულებული. მას შესანიშნავად ესმოდა, რომ მშობლიურ ენაზე დაწერილ წიგნებსა და წარმოთქმულ ქადაგებებს უფრო მეტი სასურველი შედეგი მოაქვს ხალხისათვის. „გერმანული წიგნებისა და ქადაგების წყალობით, — წერდა იგი, — ახლა ქალებმა და ბავშვებმაც კი (ვლაპარაკობ გადაჭარბების გარეშე) მეტი იციან ღმერთსა და ქრისტეზე, ვიდრე ადრე ყველა უნივერსიტეტმა, ყველა მონასტერმა, ყველა საეპისკოპოსომ, მთელმა პაპობამ და მსოფლიომ იცოდა“[231]. ამის მიუხედავად მტკიცება, თითქოს ლუთერს ჰქონდეს ნათქვამი: „გერმანული ენა ყველაზე სრულყოფილია“[232], როგორც ამას ფაშისტური ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი წარმომადგენელი დოიტელმოზერი არნო ამბობს, არამეცნიერული და ყალბია. ლუთერის ღირსებებს ისიც ამშვენებს, რომ იგი უაღრესად ობიექტურია სხვა ენებთან დამოკიდებულებაში. ასე მაგალითად, მისთვის ცნობილ ენებს შორის ლუთერს „ყველაზე სრულყოფილ და მდიდარ“ ენად ებრაული მიაჩნია — ეს იმიტომ, რომ, მისი თქმით, იმ დროს, როცა ბერძნული, ლათინური და გერმანული ენები ღარიბია და სხვა ენე-

---

[229] Музыкальная эстетика западноевропейского средневековья и возрождения, М., 1956, გვ. 380

[230] M. Luther, An die Ratsherrn..., გვ. 41.

[231] M. Luther, Daß man Kinder zur Schulen halten solle, გვ. 210.

[232] Deutelmoser Arno, Luther. Staat und Glaube, Jena, 1937, გვ. 110.

ბიდან სესხულობენ სიტყვებს, აქვთ ბევრი composita — შედგენილი სიტყვები და სხვა, ებრაული ენა „წმინდაა“, იგი არც სესხულობს და არც განიცდის სიტყვების სიღარიბეს, მასთან თითოეულ საგანს თუ ცნებას აქვს თავისი განსაკუთრებული სახელი [233].

სხვა ენებისადმი ლუთერის კეთილი განწყობილება მაშინაც მჟღავნდება, როცა საუბრობს კლასიკური ენების (ბერძნულის, ლათინურის და ებრაულის) შესწავლის აუცილებლობაზე. მისი აზრით, ვერც ერთი ადამიანი, ვერც უბრალო მოძღვარი და ვერც მღვდელი, ლათინურის გარეშე იოლად ისევე ვერ გავა, როგორც სწავლულები გვერდს ვერ აუვლიან ბერძნულსა და ებრაულს [234]. მათი ცოდნის საჭიროებას ლუთერი, უპირველეს ყოვლისა, რელიგიური მოსაზრებით ხსნიდა, მიუთითებდა, რომ სახარება, თუმცა იგი ქრისტიანებს „სულწმიდას მეშვეობით“ ეძლევა, მაგრამ მაინც ენების გზით ვრცელდება და ამდენად საჭიროა როგორც მშობლიური ენის, ისე ძველი ენების შენარჩუნება [235].

მეტიც, ენები ეხმარება ქრისტიანებს საღვთო წერილის უკეთ გაგებაში. „ენების ცოდნა, — წერდა ლუთერი, — დამეხმარა ბოლომდე ჩავწვდომოდი ბიბლიის არსს“ [236]. ლუთერი არწმუნებს ხალხს, რომ ენების უცოდინარობა მრავალი შეცდომისა და შეცოდების მიზეზია, რომელნიც დაშვებული იყო, როგორც ადრე, ისე მის დროსაც. ენების უცოდინარობით ხსნის იგი იმ შეცდომებსაც, რომელიც ახლავს საღვთო წერილის ამა თუ იმ თარგმანს. ასეთი შეცდომები, მისი თქმით, მოუვიდათ არა მარტო რიგით თეოლოგებს, არამედ ისეთ ავტორიტეტსაც კი, როგორიც ნეტარი ავგუსტინე იყო [237]. მაშასადამე, ლუთერის ღრმა რწმენით, ქრისტიანები უნდა დაეუფლონ ენებს, განსაკუთრებით იმ ენებს, რომლებზეც დაიწერა თავდაპირველად ძველი და ახალი აღთქმის წიგნები, რათა ადამიანები კარგად გაერკვნენ შეცდომებში და არ გაიმეორონ ისინი მომავალში. ენები ქრისტიანებს დაეხმარებათ იმაშიც, რომ მათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ „ყოველგვარი რელიგიური მოძღვრების“ განხილვაში [238].

---

[233] K. Raumer, დასახ. ნაშრ., გვ. 137.
[234] M. Luther, Daß man Kinder zur Schulen halten solle..., გვ. 210.
[235] M. Luther. An die Ratsherrn..., გვ. 41.
[236] იქვე, გვ. 48.
[237] იქვე, გვ. 44.
[238] იქვე, გვ. 47.

ენების ცოდნას ლუთერი სხვა პრაქტიკული საჭიროებითაც ხსნის — როცა კლასიკური ენების შესწავლის საკითხს ეხება, იგი მიუთითებს, რომ მათი ცოდნა ამდიდრებს და სიცოცხლისუნარიანს ხდის მშობლიურ ენას. ენები გვეხმარებიან „სამოქალაქო მმართველობის გონიერ გაძღოლაშიც“[239]. ლუთერი ამ მხრივ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ლათინურის ცოდნას; მასში ხედავდა არა მარტო საღვთო წერილის უკეთ გაგების საშუალებას, არამედ საერთაშორისო ენასაც, რომელიც აახლოებს სხვადასხვა ხალხის შვილებს და ამდიდრებს მათ ცოდნას. ყოველ გერმანელს — იქნებოდა ეს „მეომარი, ვაჭარი, თუ სხვა ვინმე“ — ლუთერი მოუწოდებს, რომ დაეუფლოს ლათინურს, რომ თარჯიმნის გარეშე ისაუბროს სხვა ერის შვილებთან. ეს აზრია გატარებული ლუთერის შემდეგ სიტყვებშიც: „მშობლებს არ შეუძლიათ დაუტოვონ თავიანთ შვილებს იმაზე დიდი განძი, ვიდრე ხელობისა და ენების ცოდნაა. კაცს სახლ-კარი შეიძლება დაეწვას, ცოდნა კი მუდამ თან ექნება. როცა ერთმანეთს დაშორებულნი არიან, ადამიანებს შეუძლიათ მიმოწერა და ერთმანეთთან გასაუბრება, გულის გადაშლა“[240]. ლუთერის ეს საინტერესო მოსაზრებანი ენების ცოდნის მნიშვნელობასა და დანიშნულებაზე დღესაც არ კარგავს ცხოველმყოფელობას.

ყურადღებას იპყრობს ლუთერის მეთოდოლოგიური გამონათქვამებიც ენების შესწავლასთან დაკავშირებით. ენის შემსწავლელმა, მისი აზრით, უპირველეს ყოვლისა, ის საგანი უნდა იცოდეს კარგად, რომელსაც გამოხატავს სიტყვა[241], ამასთან, დიდი ადგილი უნდა დაეთმოს ზეპირ მეტყველებას, რომელიც ენის სწრაფად დაუფლების საუკეთესო გზაა: „თითოეული ადვილად და სწრაფად ეუფლება გერმანულს ან სხვა ენას ზეპირი მეტყველებით სახლში, ბაზარში ან ქადაგების დროს, ვიდრე წიგნებით. წიგნიერი სიტყვა მკვდარია, ზეპირი მეტყველება კი — ცოცხალი“[242]. რა თქმა უნდა, ლუთერი არ გამორიცხავს „წიგნებისა და გრამატიკის“ როლს ენის შესწავ-

---

[239] M. Luther, An die Ratsherrn..., გვ. 43.
[240] M. Luther, Tischreden, გვ. 348.
[241] K. Raumer, დასახ. ნაშრ., გვ. 139.
[242] იქვე, გვ. 137—138.

ლის საქმეში, მაგრამ გადამწყვეტ მნიშვნელობას მაინც პრაქტიკის გზას ანიჭებს: „თვით ის ენებიც, რომელთაც აქვთ ყველაზე ზუსტი წესები, როგორებიცაა ბერძნული და ლათინური, უფრო სწრაფად შეისწავლება პრაქტიკის გზით, ვიდრე თეორიით“ [243], — წერდა ლუთერი.

XII

სასწავლო დისციპლინებს შორის ლუთერმა ასევე საპატიო ადგილი მიუჩინა ისტორიას. მართალია, ლუთერის შეხედულებანი ისტორიაზე (ისე როგორც სხვა საკითხებზე) არაა დაზღვეული მისტიციზმისაგან, მაგრამ მასში არის ბევრი საგულისხმო მოსაზრებაც. ლუთერმა, უპირველეს ყოვლისა, უკუაგდო ნეტარი ავგუსტინეს მოსაზრება, რომ ისტორიას „უფრო საზრუნავი მოაქვს, ვიდრე სიამოვნება ან ჭეშმარიტება“ [244]. ლუთერი ამტკიცებს, რომ ისტორია მეტად საჭირო დარგია, რომელსაც სარგებლობა მოაქვს ადამიანებისათვის, იგი კონკრეტული „მაგალითებით“ გადმოსცემს ყველაფერ იმას, რისი შესწავლაც ან რისი შეთხზვაც შეუძლია ფილოსოფიას, ბრძენ ადამიანებს და მთელ ადამიანურ გონებას“. მისი შესწავლით ადამიანები ეუფლებიან „მსოფლიო სიბრძნეს“, იგებენ, „თუ რა ბედი ეწია ამა თუ იმ ქალაქს, სამფლობელოს, კეთილშობილს, უბრალო ქალსა თუ კაცს, ისინი საკუთარ დასკვნებს გამოიტანენ არსებობის, ცხოვრების, რჩევისა და გამოსავლის პოვნის, გამართლებისა და გაუმართლებლობის საკითხებზე“ [245]. მეტიც, ლუთერის აზრით, ისტორია არის „ცოცხალი წყარო“, რომლიდანაც „გამომდინარეობს თითქმის ყველა კანონი, ხელოვნება, კეთილი რჩევა, გაფრთხილება, მუქარა, შიში, ნუგეში, დადასტურება, დარიგება, წინდახედულება, სიბრძნე, კეთილგონიერება, და, საერთოდ, ყოველგვარი სათნოება“ [246]. ერთი სიტყვით, ისტორიაში ლუთერი ხედავს არა მარტო წარსული ამბების უბრალო თხრობას, არამედ იმის საუკეთესო საშუალებას, რომ ადამიანებმა „შეიცნონ მსოფლიოს

---

[243] K. Raumer, დასახ. ნაშრ. გვ. 138.

[244] Августин, О порядке, кн. II, гл. XII, „Творения блаж. Августина“, ч. 2, Киев, 1879, გვ. 209.

[245] M. Luther, Daß man Kinder zur Schulen halten solle, გვ. 258.

[246] იქვე.

განვითარება“ [247] და განჯვრიტონ აწმყოსა და მომავალში გონიერი მოქმედების გზები, რომ შეიგნონ ღმერთისადმი მორჩილებისა და შიშის აუცილებლობაც. ამასთან, ლუთერმა მშვენივრად იცის, რომ როგორც წარსულში, ისე მის დროინდელ სინამდვილეში მმართველთა დიდი ნაწილი უგულებელყოფს ისტორიის „კეთილ რჩევასა“ და „გაფრთხილებას“, არ ითვალისწინებს წარსულის გაკვეთილებს და ისე იქცევა, როგორც მოესურვება, იმორჩილებს და ჩაგრავს არა მარტო საკუთარ ქვეშევრდომებს, არამედ მეზობელ ხალხებსაც; ასეთებს კი ლუთერი უბედურებას უწინასწარმეტყველებს. ღმერთი, მისი თქმით, დაუსჯელს არავის ტოვებს; იგი ამხობს ტირან მმართველებს და სახელმწიფოებს, ბოლოს უღებს თვით იმ ხალხებსაც, რომელთა მმართველებს სხვათა გადაგვარება-განადგურება განუზრახავთ. ამ სიტყვებს ლუთერი კონკრეტული ფაქტებითაც ადასტურებს, მიუთითებს ტირანიაზე დაფუძნებული იმპერიების — ასურეთის, სპარსეთის, რომის და სხვათა განადგურების მაგალითზე [248].

გერმანული ჰუმანისტური ისტორიოგრაფიის წარმომადგენლების მსგავსად ლუთერი ისტორიას უდიდეს როლს აკისრებს ეროვნული თვითშეგნების განვითარების საქმეშიც, ფიქრობს — მან უნდა წარმოაჩინოს ამა თუ იმ ხალხის ღირსსახსოვარი ამბები, უნდა უჩვენოს მეზობელ ხალხებს, რომ მათი წარსულიც პატივისცემის ღირსია. აქედან გამომდინარე, ლუთერს აფიქრებს ის, რომ გერმანული ეროვნული ისტორიოგრაფია სუსტადაა განვითარებული. სწორედ ამაში ხედავს იგი იმის ერთ-ერთ მიზეზს, რომ გერმანელები არაპოპულარობით სარგებლობენ მეზობელ ხალხებში, მათ ეკიდებიან როგორც „პირუტყვებს“, რომელთა მოსაქმეობას სხვა არაფერი შეადგენს, თუ არა „ომები“, „ღორმუცელობა და ლოთობა“[249]. ამიტომაც, ლუთერის აზრით, მეისტორიეს არაფერი არ უნდა დარჩეს აღუწერელი. ამ მხრივ სანიმუშოდ მიაჩნია ძველი ებრაელების და რომაელების მოღვაწეობა, რომლებიც უმნიშვნელო რასმესაც კი არ ტოვებდნენ უყურადღებოდ და ყოველივეს აღწერდნენ: „თუკი რომელიმე ქალი ან ბავშვი მოიმოქმედებდა ან იტყოდა რაიმე განსა-

---

[247] M. Luther, An die Ratsherrn..., გვ. 58.
[248] Der große Bauernkrieg..., გვ. 260.
[249] M. Luther, An die Ratsherrn..., გვ. 58.

კუთრებულს, — წერს ლუთერი, — მთელ მსოფლიოს უნდა წაეკითხა და სცოდნოდა ამის შესახებ“ [250].

როცა მეისტორიესაგან ყოველი ფაქტის აღწერას მოითხოვს, ლუთერს ესმის ისიც, რომ ჰეშმარიტი ისტორიის წერა ადვილი საქმე არაა. მართალია, იგი არსად ამბობს, რომ ჰეშმარიტი ისტორია შეიძლება დაიწეროს მხოლოდ თავისუფალ ქვეყანაში, როგორც ამას ფრანგი განმანათლებელი ვოლტერი ფიქრობდა [251], მაგრამ პატიოსნად და მართლად წერა „ღმის გულის“ მქონე „განსაკუთრებული ადამიანების“ საქმედ მიაჩნდა [252]. ასეთები კი, მისი თქმით, ცოტანი არიან, უმრავლესობა მხოლოდ იმისათვის წერს, რათა „ასიამოვნონ ხელისუფალთ ან მეგობრებს. ისინი დუმან თავიანთ დროთა მანკიერებაზე და ხალისით აღწერენ მხოლოდ კარგ მხარეებს“, მეტად „უმნიშვნელო და ნაკლებად საჭირო ღირსებებს“. არიან ისეთებიც, რომლებიც თავისი სამშობლოს სიყვარულით და უცხოელებისადმი სიძულვილით შეპყრობილნი, ალამაზებენ ან ამახინჯებენ ისტორიას, „ამგვარად იღუპება ისტორიის კეთილშობილური, მშვენიერი, მაღალი დანიშნულება და მისგან რჩება მხოლოდ ლაყბობა“ [253]. ისტორიაზე მსჯელობის დასასრულს ლუთერი გამოთქვამს სურვილს, რომ ახალგაზრდები დაეუფლონ ისტორიას და „ჰეშმარიტების უშიშრად წერის“ ხელოვნებას [254], რათა კეთილსინდისიერად ემსახურონ ღმერთისა და ადამიანების საქმეს. წუხს, რომ მან ახალგაზრდობაში საფუძვლიანად ვერ შეისწავლა „პოეზია და ისტორია“ [255]. ამრიგად, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ მარკ ბლოკამდე [256] იშვიათად მოიძებნება ადამიანი, რომელსაც ისტორიის მნიშვნელობის შესახებ იმდენი ეთქვას, რამდენიც თქვა ლუთერმა.

---

[250] M. Luther, An die Ratsherrn..., გვ. 58—59.

[251] И. Сиволап, Социальные идеи Вольтера, ‡М., 1978. გვ. 223.

[252] M. Luther, Daß man Kinder zur Schulen halten solle, გვ. 259.

[253] იქვე.

[254] იქვე.

[255] M. Luther, An die Ratsherrn..., გვ. 52.

[256] მარკ ბლოკი ჰიტლერელების მიერ მოკლული ცნობილი ფრანგი ისტორიკოსია, რომელმაც საპყრობილეში ყოფნის დროს დაწერა „ისტორიის აპოლოგია“ და პასუხი გასცა იმ ადამიანებს, რომლებიც სკეპტიკურად ეკიდებოდნენ ისტორიას, თქვა, რომ „ყოველი ადამიანისათვის, თუ ის მთლად სულელი არაა, ყველა მეცნიერება საინტერესოა“ (М. Блок. Апология истории, пер. Е. Лисенко, М., 1973. გვ. 9).

XIII

ლუთერი არა მარტო ცოდნის საჭიროებაზე მიუთითებდა, არამედ ამ ცოდნის შემცველი აზრების მოკლე და ხატოვანი გამოთქმის აუცილებლობაზეც — დიალექტიკაზე და რიტორიკაზე, რომელთაც ფართოდ ასწავლიდნენ შუასაუკუნეობრივ სკოლებსა და უნივერსიტეტებში. დიალექტიკა ბავშვებს ასწავლიდა დიალოგის ხელოვნებას, კამათის ხერხებს. ლუთერის აზრით, იგი მომავალშიც უნდა შენარჩუნებულ იქნეს, რადგან მეტად სასარგებლო და საჭირო ხელოვნებაა. ამ ზოგად განცხადებას იგი მრავალი საინტერესო არგუმენტით ასაბუთებს. ამბობს, რომ, მართალია, დიალექტიკა არ იძლევა რეალურ საგნებზე ცოდნას და მხოლოდ წესებს ასწავლის, რომელსაც უნდა მისდიოს ყოველმა მასწავლებელმა, თუ მქადაგებელმა, რათა მსმენელებში შექმნას სწორი წარმოდგენა ამა თუ იმ საგანზე, დიალექტიკის დაუფლება არც იმას ნიშნავს, რომ ადამიანს შეუძლია ყველაფერზე საუბარი, არამედ დიალექტიკა მხოლოდ „იარაღია, რომლის მეშვეობით ჩვენ შეგვიძლია სავსებით სწორად და თანამიმდევრულად ვასწავლოთ სხვებს ის, რაც თვითონ ვიცით და გაგვეგება“[257]. ამასთანავე, „დიალექტიკის უმთავრესი სარგებლობა“ მაინც ისაა, რომ „შეკუმშულად, მოკლედ და არსებითად განსაზღვროს და აღწეროს საგანი — რას წარმოადგენს ის სინამდვილეში“[258].

ამგვარად, ლუთერს სწორად ესმის დიალექტიკის, ანუ ლოგიკის სარგებლიანობა და დანიშნულება, — ის, რომ „მოკლედ და არსებითად“ გამოთქმული აზრი ყველასათვის გასაგები იქნება. ლუთერის აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ რა სიტყვებს ვიყენებთ. თითოეული ადამიანი, ფიქრობს იგი, უნდა მიეჩვიოს „აზრის გამოთქმას კარგი, ზუსტი და გასაგები სიტყვებით, რომლებიც საზოგადოდ მიღებულია“ [259]. თუმცა ამის უნარი ყველას როდი აქვს. იგი იმათი ხვედრია, ვისაც, ლუთერის თქმით, „ღვთის განსაკუთრებული ნიჭი და წყალობა“ აქვს [260].

დიალექტიკა, ლუთერის აზრით, საჭირო იყო არა მარტო სკო-

---

[257] M. Luther, Tischreden, გვ. 349.

[258] იქვე.

[259] იქვე.

[260] იქვე, გვ. 352.

ლებსა და უნივერსიტეტებში, არამედ კონსისტორიებშიც, სასამართლოებსა და ეკლესიებშიც, რათა ადამიანებს დაეცვათ თავი აქ გაბატონებული „თავგზის ამრევი, მეტად საეჭვო“ არგუმენტაციებისაგან, და „ადვილად აეცდინათ მოტყუებაც“ [261]. ამგვარად, „დიალექტიკა სასარგებლო და საჭირო ხელოვნებაა, რომელიც ისევე მოითხოვს სერიოზულ შესწავლას, როგორც მათემატიკა“ [262]. ამასთან ერთად ლუთერმა იცის, რომ არსებობენ „ბუნებით მომადლებული“ ისეთი „გონიერი ადამიანებიც“, რომელთაც გონებაში სწორი დასკვნების გაკეთება და კარგი გამოთვლა შეუძლიათ, მაგრამ ფიქრობს, რომ ასეთი დასკვნა ან გამოთვლა მაინც არაა სრულყოფილი დიალექტიკის გარეშე; მხოლოდ დიალექტიკა გვიჩვენებს გზას, თუ როგორი თანმიმდევრობით ვისაუბროთ საგნებზე, თუ რისგან რა შეიძლება დავასკვნათ, თუ რომელ მსჯელობას უნდა ვენდოთ და ა. შ. [263] ვინც დიალექტიკას ფლობს, ნამდვილი ადამიანია [264], — ასკვნის ლუთერი.

ლუთერის აზრით, ასევე საჭიროა აზრის ლამაზად გამოთქმის ხელოვნების ანუ რიტორიკის დაუფლებაც. თუ დიალექტიკა გვასწავლის აზრის გამოთქმას მარტივად, „პირდაპირ და სწორხაზობრივად“, მაგალითად, „მომეცი დასალევი“, რიტორიკა კი, პირიქით, ასეთი მარტივი და გასაგები აზრისათვის მოითხოვს სხვადასხვა, მეტ-ნაკლებად უცნაურ, შელამაზებას, მაგალითად: „მომეცი მე ის სასიამოვნო წვენი, რომელიც სარდაფში ინახება, საუცხოოდ რომ ქაფდება და ამხიარულებს ადამიანებს“ [265]. მაშასადამე, „მშვენიერმეტყველება არ არის ნაძალადევი და უშნო სიტყვების შელამაზება. პირიქით, მორთულ-მოკაზმული სიტყვაა, ისე, ვით მშვენიერი სურათი, რომელიც გამოხატავს ნივთსა და საგანს ნატიფი ხელოვნებით, გასაგებად და დამაჯერებლად“ [266]. დიალექტიკა გამომდინარეობს ნებისყოფიდან, რიტორიკა კი განეკუთვნება გონებას, პირველი ასწავლის, მეორეს კი „მოჰყავს მიზეზები და აჯერებს მსმენელებს“: „მსმენელთა დაჯერება ევალება რიტორიკას,“ [267] — ასკვნის ლუთე-

[261] M. L u t h e r, Tischreden. გვ. 349.
[262] იქვე.
[263] იქვე, გვ. 350.
[264] იქვე, გვ. 360.
[265] იქვე, გვ. 348.
[266] იქვე, გვ. 352.
[267] იქვე.

რი. ამასთან, ისე როგორც დიალექტიკაში, რიტორიკაშიც არ უნდა გამოვიყენოთ „უცნაური და ახირებული“ ახალი სიტყვები, რადგან ასეთი რამ პირდაპირ ეწინააღმდეგება „მშვენიერმეტყველების ძირითად კანონს“ [268]. სამაგიეროდ, ლუთერის თქმით, ორატორული ხელოვნება მაშინ არის ეფექტური, მსმენელთათვის სასიამოვნო და ადვილად გასაგები, თუ სიტყვას თან ახლავს ცოცხალი ისტორიული, თუ სხვა სახის მაგალითები. წინააღმდეგ შემთხვევაში იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ სიტყვა არ არის სრულფასოვანი და სწორი, ასეთი სიტყვა გულს არ ხვდება ძლიერად და არც მეხსიერებაში რჩება მყარად [269].

დასასრულ, უნდა ითქვას იმის შესახებაც, რომ ლუთერი დიალექტიკასა და რიტორიკაში — ამ „ორ ხელოვნებაში“ — ხედავს სწავლების აუცილებელ კომპონენტებს, „ქადაგების ორ საშუალებას“, რომელთაც ემატება მესამეც — „ახსნის მეთოდი“ [270], ე. ი. ისეთი თხრობა, რომლის უმთავრესი მიზანია შესასწავლი საგნის არსის მსმენელამდე დაყვანა.

XIV

სწავლების პროცესში ლუთერს აუცილებლად მიაჩნია დისპუტების გამართვა, რომელთაც ხშირად მიმართავდნენ ძველ დროში და ამას კარგი შედეგიც მოჰქონდა — ეხმარებოდა ახალგაზრდებს დიალექტიკისა და რიტორიკის ხელოვნების დაუფლებაში. ლუთერი სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ მის თანამედროვე გერმანიაში ეს „კარგი წესი“ დავიწყებას მიეცა, მისი თანამემამულენი კი „ჭვანან და ხვრინავენ“ [271]. „პაექრობა, — განმარტავს ლუთერი. — ემსახურება იმას, რომ ახალგაზრდა გავარჯიშდეს, უფრო ბეჯითად ჩაუფიქრდეს კამათის საგანს“ [272]. ლუთერს სავალდებულოდ არ მიაჩნია, ერთს ან ორ პაექრობას ერთბაშად მოჰყვეს სასურველი შედეგი, მაგრამ ამან სასოწარკვეთილებაში არ უნდა ჩააგდოს ახალგაზრდა: „კიბეზე საფეხურებით ადიან, არავინ გამხდარა ერთბაშად

---

[268] M. Luther, Tischreden, გვ. 352.

[269] M. Luther, Daß man Kinder zur Schulen halten solle, გვ. 258.

[270] M. Luther, Tischreden, გვ. 352.

[271] იქვე. გვ. 353.

[272] იქვე.

დოქტორი. ხე ისე არ გაიზრდება, თუ ჯერ ნერგი[273] არ იქნა, ამისათვის კი დროა საჭირო — დროს მოჰყავს მოსავალი“[274]. პაექრობანი, ლუთერის აზრით, ხელს უწყობს არა მარტო ცოდნისა და მჭევრმეტყველების ამაღლებას, არამედ ახალგაზრდებში სიბეჯითისა და მოთმინების გამომუშავებასაც: ამიტომაც იგი ქებით იხსენიებს იმ ახალგაზრდებს, რომელთაც დისპუტების გამართვის სურვილი არ დაუნელებიათ.

XV

მართალია, მათემატიკურ დისციპლინებზე ლუთერი ვრცლად არსად არ ჩერდება, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ მას მშვენივრად ესმის მათი მნიშვნელობა და საჭიროება. ლუთერს არაერთხელ გამოუთქვამს აზრი მათემატიკური დისციპლინების სერიოზული შესწავლის აუცილებლობაზე.[275] თუმცა ასტრონომიაში კოპერნიკის სისტემის წინააღმდეგი იყო. აღსანიშნავია, რომ ლუთერი არ ცნობდა ასტროლოგიას, რომლის ჭეშმარიტებაში მელანხტონს ეჭვიც არ ეპარებოდა[276].

ლუთერი ბიოლოგიური და ბუნებისეული მოვლენების ცოდნის აუცილებლობაზეც საუბრობს, თუმცა ამ მოვლენებს იგი მეტაფიზიკის პოზიციებიდან აშუქებს — მათში ხედავს ყოვლისშემძლე ღმერთის ქმნილებას. მაგრამ, რაკი არსებობს ბიოლოგიური და ბუნებრივი მოვლენები, ლუთერს საჭიროდ მიაჩნია, ყოველმა ადამიანმა იცოდეს, „თუ როგორ ისახება, იზრდება და ვითარდება ნაყოფი დედის მუცელში“, უნდა ერკვეოდეს იმაშიც, რომ „აქვის კურკა, თავისი გარსის სიმკვრივის მიუხედავად, თავის დროზე უნდა გაიხსნას იმ ძალიან რბილი გულის ზემოქმედებით, რომელიც მის შიგნითაა“. ადამიანებმა უნდა იცოდნენ ცოლქმრობის ფასი და ის, რომ „ამ მდგომარეობაში ბევრი სილამაზეა“[277], რომ საჭიროა ადამიანთა მოდგმის გამრავლება, რომ კაცობრიობის „სიძლიერე“ შთა-

---

[273] ორიგინალში ლუთერს უწერია Sträuchlein, რაც ბუჩქს ნიშნავს. მაგრამ ცნობილია, რომ ბუჩქი არასდროს არ გაიზრდება ხედ. ამიტომაც ჩვენ ვამჯობინეთ გამოთქმა — „ნერგი“ რომელსაც ვხმარობთ მოზარდი ხის მნიშვნელობით.

[274] M. L u t h e r, Tischreden, გვ. 354.

[275] იქვე გვ. 349.

[276] K. R a u m e r, დასახ. ნაშრ., გვ. 142.

[277] იქვე, გვ. 139.

მომავლობაში მდგომარეობს [278] და ა. შ. როგორც ვხედავთ, ლუთერს ესმოდა, რომ ადამიანებისათვის საჭიროა რეალური ცოდნაც, რომელიც დაეხმარება მათ პრაქტიკულ მოღვაწეობაში. მართალია, ასეთ ცოდნაში ლუთერი ხედავდა ადამიანის სულის მარადიული ცხოვრებისათვის სამზადისს, რითაც ავლენს თავის შეზღუდულობას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი მაინც ხელს უწყობდა რეალური ცოდნით დაინტერესებას.

XVI

ადამიანის ფიზიკური, ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდისათვის ლუთერი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ფიზიკურ ვარჯიშსა და მუსიკას. იგი უარყოფს კარჩაკეტილ, მოძრაობას მოკლებულ, ბერულ აღზრდის მეთოდს და გამოთქვამს მოსაზრებას, რომ სკოლებსა და უნივერსიტეტებში ფართოდ გაუღონ კარი „ორ ვარჯიშს“: მუსიკასა და რაინდულ თამაშობებს (ფარიკაობა, ჭიდაობა და ა. შ.), რომელთაგან პირველი (ე. ი. მუსიკა) ფანტავს გულის ნაღველსა და მელანქოლიურ აზრებს; მეორე კი, „ხტუნაობისა“ და მისი მსგავსი ვარჯიშობების მეშვეობით, სხეულს ანიჭებს მოხდენილობას და იცავს მის ჯანმრთელობას. ასეთი ვარჯიშობანი, ლუთერის აზრით, საჭიროა იმიტომაც, რომ აღმოიფხვრას „ღრეობა, გარყვნილება, კარტისა და ძვლის თამაში, რომლებიც ახლანდელ დროში, სამწუხაროდ, ძალიან გავრცელებულია სასახლეებსა და ქალაქებში, სადაც მხოლოდ ეს ისმის: შენი სვლაა! დალიე!“[279].

ლუთერი განსაკუთრებულ მნიშვნელობას მაინც მუსიკას ანიჭებდა. ეს არაა შემთხვევითი. ცნობილია, რომ მას შესანიშნავი ხმა ჰქონდა. ჯერ კიდევ სწავლის დროს მღეროდა სკოლის გუნდში, საგალობლად დაჰყავდათ ეკლესიებში; მუსიკალური განათლება მან კიდევ უფრო გაიღრმავა ავგუსტინელთა მონასტერში, დაეუფლა გერმანულ სასიმღერო ფოლკლორსაც. იგი მღეროდა, უკრავდა და მუსიკალურ ნაწარმოებებსაც კი წერდა. მის კალამს ეკუთვნის მრავალი რელიგიური ჰიმნი, რომლებითაც იცავდა თავისი მოძღვრების პრინციპებს — აღსანიშნავია, რომ ლუთერმა ეკლესიებიდან გამოდევნა ერთხმიანი კათოლიკური საგალობლები, რომლებიც ლათი-

---

[278] K. Raumer, დასახ. ნაშრ., გვ. 109.

[279] იქვე, გვ. 143.

ნური ტექსტისა და მუსიკალური წყობის სირთულის გამო ფართო მასებისათვის გაუგებარი იყო. ნაცვლად დაამკვიდრა ხალხურ სიმღერებზე დაფუძნებული მრავალხმიანი პროტესტანტული ქორალები, მათ მთელი თემი ასრულებდა. ყველაზე დიდი აღიარება ხვდა ლუთერის ქორალს: „ჩვენი ღმერთი მიუვალი ციხეა“ (Ein feste Burg ist unser Gott), რომელსაც ფ. ენგელსი მოხდენილად უწოდებს „XVI საუკუნის მარსელიოზას“ [280]. საგულისხმოა, რომ მას დღესაც ასრულებენ პროტესტანტულ ეკლესიებში.

ლუთერი თავმდაბლად აცხადებს, რომ მას „უმნიშვნელო მუსიკალური განათლება“ აქვს [281], სინამდვილეში კი მრავალი თეორიული ნაშრომი მიუძღვნა მუსიკას, მაგალითად: „თემში ღვთისმსახურების წესის შესახებ“ (1523), „გერმანული მესა“ (1526), „მუსიკის შესახებ“ (1538) და სხვა. იმავე 1538 წელს ლუთერს დაუწერია ლექსი „ქალბატონი მუსიკა“ (Frau Musika), რომელიც წინასიტყვაობის სახით ერთვის მისი მეგობრის იოჰან ვალტერის თხზულებას. ლექსში პოეტურადაა გადმოცემული ლუთერის დამოკიდებულება მუსიკასთან. მუსიკის მისეულ შეფასებას ვხვდებით „სუფრულ საუბრებშიც“ (Tischreden), მის სხვადასხვა დროინდელ გამონათქვამებში, რომლებიც შეკრიბეს და 1569 წელს გამოსცეს ლუთერის მეგობრებმა და მოსწავლეებმა.

მუსიკის არსის განხილვისას ლუთერი მართებულად შენიშნავს, რომ „მუსიკა თავისი არსით მსოფლიოს ყველა კრეატურაშია“, „არ არსებობს არაფერი, რაც არ გამოსცემდეს რაიმე ბგერას ან გამოზომილ ხმას. თვით უხილავი ჰაერიც კი, რომელიც ყველაზე ნაკლებად მუსიკალური და უტყვია, მუდამ მოძრაობაშია და შეიძლება მისი მოსმენა და შეგრძნება“. ლუთერი მუსიკალურს უწოდებს იმ ხმებსაც, რომელთაც „ფლობენ ცხოველები, განსაკუთრებით კი ფრინველები“ [282]. „წელიწადის საუკეთესო დროა, — ნათქვამია „ქალბატონ მუსიკაში“, — როცა ფრინველები მღერიან, როცა მშვენიერი ბულბული გალობით ატკბობს ბუნებას“ [283]. ვ. შილაკაძის სიტყვებზე დაყრდნობით შეიძლება არ დავეთანხმოთ ლუთერს: „ფრინველების ჭიკჭიკი ისევე არ შეიძლება მუსიკად ჩაითვალოს,

[280] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ბუნების დიალექტიკა, თბ., 1950, გვ. 9.

[281] M. L u t h e r, Tischreden, გვ. 354.

[282] M. L u t h e r, Über Musik, იხ. მისი წიგნი „Sendbrief vom Dolmetschen“, გვ. 107.

[283] ი ქ ვ ე, გვ. 106.

როგორც ცხოველთა ხმიანობა მეტყველებად არ ჩაითვლება. სხვა რომ არ იყოს, ფრინველები თაობიდან თაობამდე მუდამ ერთნაირად ჭიკჭიკებენ“ [284]. მაგრამ ლუთერი იმაში კი მართალია, რომ ფრინველთა გალობა გულგრილად არავის ტოვებს. ამასთან, არც ლუთერი აიგივებს ფრინველისა და ადამიანის ხმას — მას მშვენივრად ესმის, რომ ბუნებაში ვერც ერთი „ქმნილების ხმა ვერ შეედრება ადამიანის ხმას, რომ ყოველი სხვა ხმა, ადამიანის ხმასთან შედარებით, არამუსიკალურია“ [285]. მართალია, ლუთერი არაფერს ამბობს იმის თაობაზე, რომ მუსიკა შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ საზოგადოებრივი შრომის პროცესში, როგორც ეს ხდება ენის შემთხვევაში [286], მაგრამ მისთვის ნათელია, რომ ადამიანის ხმა მით უფრო სასიამოვნოა, რაც უფრო გავარჯიშებულია იგი. „სიბეჯითე,— წერს ლუთერი, — მიგვიყვანს იქამდე, რომ ბუნებრივი ხმა გაუმჯობესდება, გავარჯიშდება, და გაფართოვდება“ [287]. აქედან ჩანს, რომ ლუთერიც შრომაში ხედავს მუსიკის სრულყოფის გარანტიას.

· ყურადღებას იპყრობს ლუთერის მსჯელობა მუსიკის დანიშნულებაზე. ცნობილია, რომ ეკლესიის მამები მუსიკას განიხილავდნენ, როგორც მაგიური მოქმედების უნარის მქონეს, რომელიც თითქოს აშინებს ეშმაკს და იცავს ადამიანს ბოროტი სულის მოქმედებისაგან. ეს იდეა ლუთერთანაც პოულობს ასახვას, როცა იგი ამბობს: „მუსიკით სატანა განიდევნება“, „მუსიკას განსაკუთრებით ემტერება სატანა“ [288]. მაშასადამე, როგორც ამას სწორად შენიშნავს ვ. გოგუაძე, ლუთერისათვის ამოსავალი წერტილია მუსიკის რელიგიურობა [289]. მაგრამ მუსიკას იგი რეალისტური თვალთახედვითაც განიხილავს. ანტიკური ესთეტიკის წარმომადგენლების (მაგ. პლატონის [290]) მსგავსად, ლუთერი მუსიკაში ხედავს ყველაზე „საუკეთესო ხელოვნებას“, რომელშიც ნოტები აცოცხლებენ სიტყვებს“ [291] და

---

[284] ვ. შილაძე. მეტყველება და მუსიკა, თბ., 1959, გვ. 87.

[285] M. Luther, Über Musik, გვ. 108.

[286] ვ. შილაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 87.

[287] M. Luther, Über Musik, გვ. 110.

[288] M. Luther, Tischreden, გვ. 354.

[289] ვ. გოგუაძე, ადამიანი როგორც ესთეტიკური ფენომენი, თბ., 1980 გვ. 100.

[290] Музыкальная эстетика западноевропейского средневековья и возрождения, გვ. 361.

[291] M. Luther, Tischreden, გვ. 354.

ქმნიან ისეთ მომჯადოებელ ატმოსფეროს, რომ დაღონებული ადამიანის გული მშვიდდება და ხალისდება“ [292]. ამასთანავე, ლუთერს ესმის ისიც, რომ მუსიკალური განწყობილება (ნელი, მოწყენილი, მხიარული და ა. შ. რიტმები) უშუალოდ გადადის მსმენელზე და უქმნის მის შესაბამის ემოციას. ამიტომაც, მისი ღრმა რწმენით, ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებას თან უნდა ახლდეს ისეთი მუსიკა, რომელიც ჩაუნერგავს რწმენას, გაამხნევებს და ყოველგვარ დაბრკოლებას გადაალახვინებს [293]. შეიძლება ადამიანს არც ჰქონდეს ხმა, მაგრამ ამის მიუხედავად, ლუთერის აზრით, მუსიკისადმი გულგრილობა არავის ეპატიება, მისგან გამომდინარე სიამოვნება არავინ უნდა მოიკლას. ამ აზრს შეიცავს გამონათქვამი, რომელიც არც თუ ისე უსაფუძვლოდ მიეწერება ლუთერს: „ვისაც არ უყვარს ღვინო, ქალები და მუსიკა, ის მთელი ცხოვრების განმავლობაში სულელად დარჩება“ [294].

არისტოტელეს („ეთიკა“, წიგნი VI) მსგავსად, მუსიკას ლუთერი დიდ აღმზრდელობით მნიშვნელობასაც ანიჭებდა. „მუსიკა, — წერდა იგი, — ადამიანებს ხდის უფრო შემწყნარებელს, უწყინარს, ზნეკეთილსა და გონიერს“ [295]. მეტიც, ადამიანებში იგი განდევნის ცდუნებას, ცუდ განზრახვას, პატივმოყვარეობას და სხვა მანკიერებას [296]. მაშასადამე, ლუთერის თქმით, მუსიკა „ერთ-ერთი უმშვენიერესი და სასწაულებრივი ღვთიური ჯილდოა“, რომელიც ახლოს დგას საღვთო წერილთან და შეუძლია ადამიანების ზნეობრივი აღზრდა, რადგან „ის წარმოშობს ფაქიზ, მომხიბლველ ადამიანებს“ [297]. ამდენად, ასკვნის ლუთერი, მუსიკას უნდა ეზიაროს ახალგაზრდობა, იგი ფართოდ უნდა დაინერგოს სკოლებში, თვით სკოლის მასწავლებლებსაც უნდა შეეძლოთ სიმღერა [298]. მუსიკის შესწავლის აუცილებლობაზე მიუთითებს ლუთერის ეს სიტყვებიც: „მე რომ ბავშვები მყავდნენ, მაშინ ისინი ისწავლიდნენ არა მარტო

---

[292] M. Luther, Tischreden, გვ. 354.
[293] იქვე.
[294] Г. Гейне, Собр. соч., т. 6, 1958, გვ. 43.
[295] M. Luther, Tischreden, გვ. 354.
[296] იქვე.
[297] იქვე.
[298] იქვე.

ენებსა და ისტორიას, არამედ სიმღერასაც, მუსიკასაც, მათემატიკურ დისციპლინებსაც“ [299].

როგორც ვხედავთ, მუსიკის დანიშნულებისა და მისი შესწავლის აუცილებლობაზეც გამოთქვამს ლუთერი საინტერესო მოსაზრებებს, ასე აქტიურად რომ ეხმიანებიან დღევანდელობას. აქტუალურია მისი მოწოდება იმის შესახებაც, რომ ხელისუფლებმა მფარველობა გაუწიონ მუსიკას, არ დააკლონ მას ზრუნვა და სახსრები, სკოლებისა და უნივერსიტეტებისათვის შეარჩიონ ისეთი მასწავლებლები, რომლებიც შემკობილნი იქნებიან როგორც ხმით, ისე მუსიკალური განათლებით. ასეთ მოთხოვნებს უყენებს ლუთერი ახალგაზრდა ადამიანებსაც, რომელთაც სურთ მღვდლად კურთხევა [300].

XVII

ახალგაზრდების ესთეტიკური და ზნეობრივი აღზრდისათვის ლუთერი ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა თეატრალურ ხელოვნებას. კომედიების შესრულების მნიშვნელობაზე მსჯელობისას ლუთერი ილაშქრებდა იმათ წინააღმდეგ, ვინც ფიქრობდა, რომ ქრისტიანებმა თავი უნდა აარიდონ ამ „მავნე“ საქმეს. სხვა თუ არაფერი, აცხადებდა იგი, კომედიური დადგმები მასში მონაწილეებს ლათინურში მაინც გაავარჯიშებს, დაეხმარება ენის დაუფლების საქმეში. მაგრამ ეს როდია მთავარი, კომედიებს შეუძლია, ადამიანებს დაანახოს საკუთარი თავი, უჩვენოს ის ნაკლი, რომელიც მიუღებელია საზოგადოებაში. მეტიც, მან გლეხს, ახალგაზრდა შეგირდს და ა. შ. უნდა ასწავლოს, თუ როგორ მოიქცეს, როგორ დაეხმაროს მშობლებს ზნეკეთილი შვილების აღზრდაში, უნდა ურჩიოს შვილებს, რომ მორჩილება მართებთ მშობლებისადმი [301]. ლუთერი ხოტბას ასხამდა „რომაელთა კომედიებს“, რადგან ისინი გმობდნენ უხეშობას, სიცრუეს, ორპირობას, გარყვნილებას და ხელს უწყობდნენ ადამიანთა გაკეთილშობილებას. ამგვარად, ლუთერის ღრმა რწმენით, კომედიების კითხვა და შესრულება კი არ უნდა აიკრძალოს, არამედ კიდევ უფრო უნდა გაღრმავდეს და განვითარდეს [302].

---

[299] M. L u t h e r, An die Ratsherrn..., გვ. 52.

[300] M. L u t h e r, Tischreden, გვ. 354.

[301] იქვე, გვ. 357.

[302] იქვე, გვ. 357.

XVIII

ლუთერი ჩერდებოდა წიგნების შერჩევისა და მათზე დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების გამომუშავების საკითხებზეც. ამაში ხედავდა იგი ცოდნისა და ზნეობრივი აღზრდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროს. ლუთერი ახალგაზრდებისაგან მოითხოვდა წიგნების სიყვარულს, — წიგნებში უნდა ეპოვათ მათ სულიერი საზრდო, ის ცოდნა, რომელიც გამოადგებოდათ როგორც პრაქტიკულ საქმიანობაში, ისე „ჭეშმარიტ ადამიანად“ გახდომაში. ამასთან, ლუთერი კატეგორიული წინააღმდეგი იყო ზედაპირული ცოდნისა, რომელიც სულ მოკლე ხანში ავიწყდებოდა ადამიანს. წიგნებიდან მიღებული ცოდნა, მისი აზრით, ახალგაზრდებს ისე უნდა შეეთვისებინათ, ისე უნდა გადაეხარშათ, რომ ჰგონებოდათ: „ეს ცოდნა მათ წიგნებიდან კი არ მიიღეს, არამედ თანდაყოლილი ჰქონდათ“[303]. რა თქმა უნდა, ლუთერი იმის მომხრე როდია, რომ ახალგაზრდებს ყველა წიგნი განურჩევლად ეკითხათ. ისე როგორც ყველა ადამიანი, ყველა ნაცნობი, „არ შეიძლება იყოს ჩვენი მეგობარი (უნდა იყვნენ მხოლოდ საუკეთესონი), ასევე უნდა მიეუდგეთ წიგნებსაც“ [304], — ურჩევდა იგი ახალგაზრდებს. მაგალითად, ბავშვებისათვის უნდა შეირჩეს ისეთი წიგნები, რომლებიც შეიცავენ იგავ-არაკებს. ლუთერს განსაკუთრებით მოსწონდა ესოპეს იგავ-არაკები, რომლებშიც, მისი თქმით, მრავლადაა საუბარი „კარგი წესის, აღზრდისა და გამოცდილების შესახებ“ [305]. სხვათა შორის, ესოპეს გავლენითაა დაწერილი ლუთერის დიდაქტიკური ჟანრის თბზულება „ესოპური იგავები“ (Etliche Fabeln aus Esopo, 1530) [306].

XIX

ლუთერი მოკლედ, მაგრამ საგანგებოდ, ჩერდება შრომითი აღზრდის სიკეთეზეც. მიაჩნია, რომ ოჯახმა და სკოლამ ბავშვებს, უპირველეს ყოვლისა, შრომისადმი სიყვარული უნდა ჩაუნერგონ, რომ შრომისმოყვარეობის აღზრდა ჩვილობიდანვე უნდა იწყებოდეს [307].

---

[303] M. Luther, Tischreden. გვ. 356.

[304] იქვე.

[305] იქვე, გვ. 360.

[306] История немецкой литературы, М., 1975, გვ. 141.

[307] K. Raumer, დასახ. ნაშრ., გვ. 112.

მშობლებს იგი მოუწოდებს, რომ სასკოლო განათლებასთან ერთად ბავშვებს ოჯახშიც ასწავლონ რაიმე ხელობა: „ჩემ მიერ შეთავაზებულ სკოლებში (ლუთერი აქ სამკლასიან დაწყებით სკოლებს გულისხმობს — გ. კ.) ვაჟები უნდა გავუშვათ ერთი ან ორი საათით, რათა დანარჩენი დრო მუშაობდნენ სახლში, სწავლობდნენ ხელობას ან, საერთოდ, იმას, რისთვისაც მოწოდებულნი არიან“, ისე, რომ ორივე საქმე (როგორც სასკოლო განათლების, ისე რაიმე ხელობის შესწავლის) კარგად მიდიოდეს[308]. ასე უნდა იყოს გოგონების აღზრდაშიც, რომლებსაც მართებთ საოჯახო მეურნეობის გაძღოლის შესწავლა[309]. როგორც ზემოთ ვთქვით, ლუთერი კიცხავს იმ მშობლებს, რომლებიც ანებივრებენ შვილებს და უფრო მეტად ზრუნავენ იმაზე, რომ მოამარაგონ ნაირ-ნაირი ტანსაცმლით, „მოჰგვარონ მათ სიამოვნება, სიმდიდრე და პატივი“[310]. ასე უშრომლად, განებივრებული ბავშვებისაგან, ლუთერის აზრით, ვერ გაიზრდება ვერც კარგი მმართველი, ვერც კარგი დიასახლისი, ვერც ქვეყნის და ვერც რელიგიის ერთგული მსახური[311]. ერთი სიტყვით, შრომისმოყვარეობაში ხედავდა ლუთერი ყოველგვარი სიკეთისა და წესიერების წყაროს.

XX

ახალგაზრდების აღზრდისა და განათლების უკეთ დაყენების მიზნით ლუთერი ასევე აუცილებლად თვლიდა ღონისძიებათა მთელი რიგის გატარებას კულტურის სფეროში. ერთ-ერთ მათგანზე ჩვენ უკვე ვისაუბრეთ — ესაა ადრე არსებული „ეშმაკისეული სკოლების“ ნაცვლად „ქრისტიანული“ და „საუკეთესო სკოლების“ შექმნის ლუთერისეული მოთხოვნა; მეორე მნიშვნელოვანი მოთხოვნა, რომელსაც იგი აყენებდა, იყო „კარგი ბიბლიოთეკების ან წიგნთსაცავების“ შექმნა[312]. ხელისუფალთ, ამბობდა ლუთერი, უნდა ეზრუნათ იმისათვის, რომ ყველგან, განსაკუთრებით კი დიდ ქალაქებში, შექმნილიყო ბიბლიოთეკები, სადაც თავს მოუყრიდნენ სა-

---

[308] M. L u t h e r, An die Ratsherrn..., გვ. 52.
[309] იქვე.
[310] K. R a u m e r, დასახ. ნაშრ., გვ. 112.
[311] იქვე, გვ. 113.
[312] M. L u t h e r, An die Ratsherrn..., გვ. 55.

კეთესო წიგნებს. ასევე იქცეოდნენ ძველად და ასე უნდა მოიქცნენ ახლაც, რადგან ბიბლიოთეკები ადამიანებს ემსახურება არა მარტო „კითხვასა და სწავლაში“, არამედ წიგნების დაცვის საქმეშიც. კარგი წიგნები, ლუთერის თქმით, ისეთივე გაფრთხილებას საჭიროებენ, როგორც სხვადასხვა „ხელოვნებანი და ენები“. ისინი ინახავენ იმ აუცილებელ ცოდნას, რომელიც ასე საჭიროა მომავალი თაობისათვის. ამ მიზნით ლუთერს აუცილებლად მიაჩნია წიგნების გამრავლებაც. მეტიც, მისი თქმით, ვისაც კარგი წიგნი დასჭირდება. უნდა ჰქონდეს იმის უფლება, რომ მოვიდეს ბიბლიოთეკაში და გადაიღოს ან გადააბეჭდვინოს მისთვის სასურველი წიგნის ასლი [313].

ლუთერი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პირადი, საოჯახო ბიბლიოთეკების შექმნასაც, თუმცა იმის მომხრე როდი იყო, რომ სახლებში მოეზვინათ ყოველგვარი წიგნი და სხვა არაფერზე ეფიქრათ.

საქალაქო და საოჯახო ბიბლიოთეკების „წესიერი წიგნებით“ შევსების აუცილებლობაზე რომ მიუთითებს, ლუთერი ასეთ წიგნებს შორის უპირველეს ყოვლისა, ასახელებს საღვთო წერილის წიგნებს, ორივე აღთქმას როგორც ბერძნულ, ლათინურ, გერმანულ, ებრაულ, ისე სხვა ენებზე. შემდეგ იგი მიუთითებს ისეთ წიგნებზე, რომლებიც ემსახურებიან ენების შესწავლას, როგორებიცაა: პოეტებისა და ორატორების თხზულებანი, იმისდა მიუხედავად, „წარმართები არიან ისინი თუ ქრისტიანები, ბერძნები თუ ლათინები“; ლუთერს სურდა თანმიმდევრულად შეეკრიბათ წიგნები „თავისუფალ და, საერთოდ, ყოველგვარ ხელოვნებაზე“. ასევე უნდა შეირჩეს საუკეთესო წიგნები სამართალმცოდნეობასა და მედიცინაზე, განსაკუთრებული ადგილი კი უნდა დაეთმოს ქრონიკებსა და ისტორიულ თხზულებებს, რომელ ენაზეც არ უნდა იყვნენ ისინი [314]. ასე რომ, ლუთერს მშვენივრად ესმოდა წიგნების შენახვისა და დაცვის აუცილებლობა და ხელისუფალთაგან მოითხოვდა იმის შეგნებას, რომ ბიბლიოთეკების აშენებისათვის არ დაეშურათ არც ენერგია და არც სახსრები, რათა „მომავალი თაობისათვის“ შეენახათ რაც შეიძლება მეტი „საუკეთესო წიგნი“, რომლებიც მოევლინნენ „დღის სინათლეს წიგნის ბეჭდვის წყალობით“ [315].

---

[313] M. Luther, An die Ratsherrn..., გვ. 55—59.

[314] იქვე, გვ. 58.

[315] იქვე, გვ. 59.

XXI

ლუთერის პედაგოგიკურ შეხედულებებზე მსჯელობის დასასრულს შეიძლება გავიხსენოთ მისი ორი გამონათქვამი, რომელთაგან ერთი მიმართულია ხელისუფალთა მისამართით; მასში ნათქვამია: თუ მათ შორის არის ისეთი ვინმე, რომელიც მე არარაობად მთვლის ან ვეზიზღები იმის გამო, რომ ვგმობ ტირანიას, ის მაინც დაინახოს, რომ „მე ვეძიებდი სიკეთეს და ბედნიერებას არა საკუთარი თავისათვის, არამედ მართოდენ ჩვენი გერმანიისათვის“ [316]; მეორე გამონათქვამში კი ლაპარაკია იმ ადამიანებზე, რომლებიც შერისხვის შიშით დუმილს ამჯობინებენ: „ძალიან მსურდა, — ამბობს ლუთერი აქ, — ჩემი რჩევით, შეძლებისდაგვარად დახმარება მომეტანა გერმანიისათვის. შეიძლება ზოგიერთებმა ამის გამო ამითვალისწუნონ და ჩემი პატიოსანი რჩევა არად ჩააგდონ. დაე, თავად თქვან უკეთესი. ამის წინააღმდეგი არც მე ვიქნებოდი. ეჭვიც არ მეპარება, რომ სხვები ამას ჩემზე უკეთესად შეასრულებდნენ; მაგრამ რადგანაც ისინი დუმან, ვღაღადებ მე, და ისე ვამბობ, როგორც შემიძლია, ყოველ შემთხვევაში დუმილს ლაპარაკი ჯობია“ [317]. მართლაც, შუასაუკუნეობრივი სქოლასტიკური სწავლების დაგმობას და ლუთერის მიერ შემოთავაზებულ „რჩევებს“ აღზრდა-განათლებისა და სასკოლო და საუნივერსიტეტო სწავლების სფეროში (რა თქმა უნდა, იმ შეზღუდულობის გათვალისწინებით, რომელზედაც უკვე გვქონდა საუბარი) დიდი ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა: შემთხვევითი არ ყოფილა, რომ ეს „რჩევები“ საფუძვლად დაედო რეფორმებს, რომელიც განახორციელა ფილიპე მელანხტონმა. ისინი ხელს უწყობდნენ გერმანელი ხალხის სულიერ ფორმირებას, ჩააგონებდნენ მას არა მარტო ღვთისმოსაობას, არამედ განათლების სიკეთეს, შინაგანი კულტურის აუცილებლობას, დისციპლინას, შრომისმოყვარეობას, მხოლოდ ნიჭიერი ახალგაზრდების დაწინაურებას და ა. შ. და თუ ამ მხრივ გერმანელები დღეს ერთ-ერთი სანიმუშო ხალხია, ამაში გარკვეული წვლილი მარტინ ლუთერსაც მიუძღვის.

ბუნებრივია, ლუთერისეული „რჩევები“ გავლენას ახდენდნენ

---

[316] M. Luther, An die Ratsherrn..., გვ. 59.

[317] იქვე, გვ. 54.

არა მარტო ლუთერის თანამედროვე ადამიანებზე, არამედ მომდევნო ხანის პედაგოგიური აზროვნების წარმომადგენლებზეც. ვფიქრობთ, ამ მხრივ გამონაკლისი არც პედაგოგიკის მამად აღიარებული იან ამოს კომენსკია. ურთიერთშედარება გვარწმუნებს (დაწვრილებით ამ შედარების შესაძლებლობა აქ არა გვაქვს), კომენსკიმ ლუთერის მიერ წამოყენებული არაერთი იდეა განავითარა და მეტი დემოკრატიული ელფერი მისცა.

ლუთერის პედაგოგიკურ შეხედულებებთან ასე თუ ისე დაკავშირებულია მისივე შეხედულებანი ომისა და მშვიდობის საკითხებზე, რომლებზეც მომდევნო თავში გვექნება საუბარი.

მარტინ ლუთერის შეხედულებანი ომსა და მშვიდობაზე

კაცობრიობის არსებობის მანძილზე ომისა და მშვიდობის პრობლემა ყოველთვის იყო და რჩება ცხოველი მსჯელობის საგნად. მონათმფლობელური წყობილების დროს მონათმფლობელებისათვის ომი იყო მონათა შეესებისა და გამდიდრების წყარო: ამიტომ, ცხადია, ამ წყობილების იდეოლოგთა მხრივ საყოველთაო მშვიდობის იდეა მხარდაჭერას ვერ პოვებდა. ასე, მაგალითად, პლატონის იდეალურ სახელმწიფოში არ წარმოებს შინაგანი ომები, მაგრამ დიდი პატივი მიეგება მას, ვინც თავს გამოიჩენს გარეშე მტრებთან ბრძოლაში [1]. ასეთსავე აზრს ატარებს არისტოტელე თავის „პოლიტიკაში“ [2].

მართალია, ქრისტიანული ეკლესია შუა საუკუნეებში „საღმრთო ზავს“ ქადაგებდა, რაც მიზნად ისახავდა საეკლესიო ქონებისა და მამულების დაცვას ფეოდალური ომებისაგან, მაგრამ, ამავე დროს, ეკლესია ომების ინიციატორადაც გამოდიოდა, როცა მოუწოდებდა „საღმრთო ომისაკენ“. ამან თავისი გამოხატულება, პირველ ყოვლისა, ჯვაროსანთა ლაშქრობებში პოვა.

რამდენადმე სხვაგვარად ცდილობდნენ ომების გამართლებას ბურჟუაზიული ფილოსოფოსები და სამხედრო თეორეტიკოსები. ისინი ომებს გარდუვალ მოვლენად, ბუნების კანონად, კაცობრიობის მუდმივ თანამგზავრად თვლიდნენ. ჰეგელი, მაგალითად, ომის უმაღლეს დანიშნულებას ხედავდა იმაში, რომ მისი წყალობით „შეინარჩუნება ხალხთა ზნეობრივი სისპეტაკე... „ომი იცავს ხალხებს გახრწნისაგან...“ ამასთანავე, ჰეგელის აზრით, „წარმატებითი ომები შინაგან შფოთს განვითარების საშუალებას არ აძლევდნენ და განამტკიცებდნენ სახელმწიფოებრივ ხელისუფლებას“ [3].

[1] Платон, Государство, Соч., т. III, ч. I, М., 1971, გვ. 266—273.

[2] Аристотель, Политика, М., 1911, გვ. 21—22.

[3] Гегель, Философия права, Соч., т. II, М., 1934, გვ. 344, 345.

ანალოგიურ აზრს ავითარებდა გერმანელი რეაქციონერი ფილოსოფოსი ფრიდრიხ ნიცშეც. მისი თქმით, ომი — ესაა თავისებური სისხლის გამოშვება, რომელსაც შეუძლია საზოგადოების განთავისუფლება ყოველგვარი ავადმყოფობისაგან [4]. თითქმის ასეთსავე აზრს გამოთქვამენ იმპერიალიზმის თანამედროვე იდეოლოგებიც.

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ წარსულში აგრესიული ომების საშინელებას ვერ ხედავდნენ და არ მოითხოვდნენ მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობის დამყარებას. ასე, მაგალითად, XIII საუკუნეში, ჯვაროსნული ლაშქრობების მომსწრე, იურისტი პიერ დიუბუა გმობდა ომებს ქრისტიანთა შორის და კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაჭრას მოითხოვდა [5], მოგვიანებით კი XV—XVI საუკუნეებში, კაპიტალისტური ურთიერთობის გარიჟრაჟზე, დასავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანაში, წარმატებას აღწევს ამ ურთიერთობის შესატყვისი იდეოლოგიაც — ჰუმანიზმი. ახალგაზრდა ბურჟუაზია იყო დაინტერესებული ფეოდალური ომების შეწყვეტით, მშვიდობის დაცვით, საშინაო და საგარეო ვაჭრობის განვითარებით. ეს ინტერესები საფუძველს უყრის ომის საწინააღმდეგო თეორიების ჩამოყალიბებას. ჰუმანისტები ქმნიან ტრაქტატებს, რომლებიც გმობენ ომებს და შეიცავენ პროექტებს მშვიდობის დამყარებისას მთელ დედამიწაზე. გმობდა რა ომებს, ცნობილი ინგლისელი ჰუმანისტი ტომას მორი თავის „უტოპიაში“ ამბობდა: „ომში ადამიანი საზარელ მხეცზე უფრო მეტ საშინელებას სჩადის“ [6]. ტომას მორის მეგობარი, ცნობილი გერმანელი ჰუმანისტი ერაზმ როტერდამელი 1515 წელს აქვეყნებს თხზულებას მეტად დამახასიათებელი სათაურით: „ომი ტკბილია იმათთვის, ვისაც ის არ გაუცდია“. თავის მეორე თხზულებაში კი, რომელსაც მან „მშვიდობის ჩივილი“ (1517) უწოდა, წერდა: „ომი — ესაა პირველი მიზეზი ყველა უბედურებისა და ბოროტებისა, იგი უძირო ოკეანეა, რომელიც განურჩევლად ითქავს ყველაფერს. ომისგან ყველაფერი ფურჩქვნადი ლპება, ყველაფერი ჯანსაღი იღუპება, ყველაფერი მყარი ინგრევა, ყველაფერი ლამაზი და სასარგებლო ნადგურდება,

---

[4] Ф. В. Константинов, Предисловие, იხ. წიგნი: «Трактаты о вечном мире», М., 1963, გვ. 4.

[5] Г. Франц ов, Философия и социология, М., 1971, გვ. 62.

[6] Т. Мор, Утопия, იხ. წიგნი: „Утопический роман XVI—XVII веков“, Библиотека всемирной литературы, Серия первая, М., 1971, გვ. 118.

ყველაფერი ტკბილი მწარდება...“ [7]. „დაე, ყველა ადამიანმა აღიმაღლოს ხმა მის წინააღმდეგ!“

ჰუმანიზმმა ადგილი დაუთმო გერმანიაში რეფორმაციულ მოძრაობას, რომლის წარმომადგენლები ასევე სერიოზულად მოეკიდნენ ომისა და მშვიდობის პრობლემას. ამ მხრივ გამონაკლისს არც მარტინ ლუთერი წარმოადგენს.

ლუთერის, როგორც რელიგიური რეფორმატორის, მოღვაწეობაზე საკმაოდ ვრცელი ლიტერატურა არსებობს, მისი პოლიტიკური შეხედულებები კი ნაკლებადაა შესწავლილი, იგივე ითქმის ლუთერის მოსაზრებაზე მშვიდობის, ომისა და სამხედრო საქმის შესახებ. რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ ლუთერის სახით საქმე გვაქვს საყოველთაო მშვიდობის ისეთ მომღერალთან, როგორიც ერაზმ როტერდამელი იყო. იგი, მით უფრო, არც კლაუზევიცის მასშტაბის სამხედრო თეორეტიკოსია და არც დელბრიუკის დონის სამხედრო ისტორიკოსი; მის თხზულებებში ჩვენ ვერ ვხვდავთ სამხედრო საქმის ცოდნის თუნდაც ისეთ გამოვლინებას, როგორსაც ამჟღავნებენ მისი თანამედროვენი — იტალიელი ნიკოლო მაკიაველი და შვეიცარიელი ჰულდრაიხ ცვინგლი. ჩვენ არც იმისი თქმა გვსურს, რომ ლუთერის შეხედულებანი მშვიდობაზე, ომსა და სამხედრო საქმეზე სავსებით მისაღებია დღევანდელობისათვის, რომ ისინი მოკლებულია რეაქციულ ელემენტებს, მაგრამ ლუთერის თხზულებებში ჩვენ ვხვდებით ისეთ გამონათქვამებსაც, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავთ აქტუალობა. სწორედ ამით აიხსნება საკითხით ჩვენი დაინტერესებაც.

ლუთერს ცხოვრება და მოღვაწეობა მოუხდა იმ დროს, როცა იტალიურმა ომებმა (1494—1559) საერთო ევროპული ხასიათი მიიღო; მათში ჩაბმულნი აღმოჩნდნენ: „რომის საღმრთო იმპერია“ (გერმანია), ესპანეთი, საფრანგეთი, იტალია, ინგლისი, შვეიცარია. უშუალოდ ლუთერის რეფორმაციულ მოღვაწეობას დაემთხვა ის ოთხი ომი (1521—1526, 1527—1529, 1536—1538, 1542—1544), რომლებიც წამოიწყო „საღმრთო რომის იმპერატორმა“. კარლ V-მ საფრანგეთის მეფის ფრანსუა I-ის წინააღმდეგ. კარლ V-ს წილად ხვდა ბრძოლა ოსმალებთანაც, რომლებიც თავს ესხმოდნენ ჰაბ-

---

[7] Эразм Роттердамский, Жалоба Мира, იხ. წიგნი „Трактаты о вечном мире,“ გვ. 40.

სბურგთა სამფლობელოებს გერმანიაში. მრავალ წვრილ-წვრილ სამთავროებად დაქუცმაცებულ გერმანიაში ხშირი იყო შინაფეოდალური ომებიც, რომელთა მომსწრე თვითონ ლუთერი იყო. ამასთანავე, იგი მოწმე გახდა გლეხთა დიდი ომისაც, რომელიც ფართოდ გაიშალა გერმანიაში 1524—1526 წლებში.

რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს არ შეიძლება დარჩენილიყო ლუთერის ყურადღების გარეშე. უშალოდ ამ ომების გავლენითა და შთაბეჭდილებებით არის დაწერილი მისი თხზულებანი: „მეომრებსაც ხომ შეუძლიათ, აგრეთვე, იყვნენ ნეტარნი“ (Ob Kriegsleute auch in seligen Stande sein können, 1526), „თურქების წინააღმდეგ ომის შესახებ“ (Vom Krieg wider die Türken“, 1529).

მშვიდობის, ომისა და სამხედრო საქმიანობის შესახებ მსჯელობას ლუთერი გარკვეულ ადგილს უთმობდა თავის სხვა თხზულებებშიც, რომელთაგან აღსანიშნავია პოლიტიკური ტრაქტატი — „საერო ხელისუფლების შესახებ...“ (Von weltlicher Obrigkeit..., 1523).

აღნიშნული თხზულებების სათაურების წაკითხვამ შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ მათ ავტორს საეჭვოა პროგრესული გამონათქვამები გააჩნდეს ომსა და მშვიდობაზე: აკი ავტორი, როგორც ეს პირველი თხზულების სათაურიდან ჩანს, მეომართა სამოთხეში ცოხვედრის შესაძლებლობას უშვებდა (ეს საკითხის ერთი მხარეა, რაზეც მოგვიანებით ვისაუბრებთ), სინამდვილეში კი, როგორც ამ თხზულებების საფუძვლიანი გაცნობა გვარწმუნებს, მსგავსად ერაზმ როტერდამელისა, ლუთერიც მკაცრად გმობს ფეოდალურ, აგრესიულ ომებს. ომებში იგი ხედავს ყოველგვარი ბოროტებისა და სიავის წყაროს, რომელსაც უბედურება მოაქვს კაცობრიობისათვის, როგორც სარწმუნოებისათვის, ისე ადამიანთა მატერიალური ყოფისათვის: „ომი ანადგურებს ყოველივეს — რელიგიას, საერო და საეკლესიო მმართველობას. სიღატაკე თუ სიძვირე კუდებად მას სდევს თან“ [8]. ასევე გმობდა ლუთერი „თოფსა და დენთს“, უწოდებდა მათ „უბედურების მომტან ინსტრუმენტს“, რომელიც ანგრევს „კედელსა და კლდეს. ადამიანს აიტაცებს ჰაერში“. ასე რომ, თოფის წინააღმდეგ ყოველგვარი ძალა უძლურია. „ადამს რომ ეხილა ეს ინსტრუმენტი, რომელიც შექმნეს

---

[8] Luther Deutsch, Tischreden, გვ. 206.

მისმა შვილებმა, დარდისაგან მოკვდებოდა“ [9], — დასძენს ლუთერი. მაშასადამე, ლუთერის აზრით, „სულელია“ ყველა ის, ვინც შეუპყრია ომის სურვილს, ვინც პირველი იშიშვლებს მახვილს“ [10].

ნიშანდობლივია ისიც, რომ ლუთერი არ კმაყოფილდება ომების ზოგადი კრიტიკით და მისი თანამედროვე მოწინავე ადამიანების მსგავსად, იძლევა ომების თავიდან აცილების კონკრეტულ წინადადებებსაც: თავისი ქვეყნის მმართველებს რომ მიმართავს, ლუთერი მოითხოვს იმის შეგნებას, რომ მათ იზრუნონ კეთილმეზობლური ურთიერთობისათვის, როგორც გერმანიის ფარგლებში, ისე მის გარეთ. მათ თვითონვე უნდა გამოეჩინათ ინიციატივა და სადავო საკითხების გადაჭრისათვის მიეღწიათ მოლაპარაკებისა და შეთანხმების გზით. ასეთი სწრაფვა, ფიქრობს ლუთერი, ხელისუფალთა უწმინდესი მოვალეობაა [11]: „როცა მრავალტოტიან ხეს მოჭრიან და მისი შეტანა სურთ სახლში, კენწეროში კი არ უნდა წაავლონ ხელი“, რადგან ასეთ შემთხვევაში ყველა ტოტი დაიმტვრევა, „პირიქით უნდა მოიქცნენ — ხეს ძირში უნდა ჩასჭიდონ ხელი და ისე გასწიონ. ასევე უნდა მოიქცნენ, როცა ერთობის დამყარება სურთ. ერთმა მეორეს უნდა დაუთმოს, ხოლო თუ ერთი სიმართლეს იჩემებს და მეორეს არ უთმობს, ვერასოდეს შეთანხმდებიან“ [12]. იგივე აზრს შეიცავს მისი ეს გამონათქვამიც: „ორი თხა ერთმანეთს რომ შეხვდეს ვიწრო ხიდზე, როგორ უნდა მოიქცნენ? არც ერთს არ უნდა უკან დახევა, გვერდს კი ვერ აუვლიან, და თუ ერთმანეთს დაეჯახებიან, წყალში ჩავარდებიან და დაიხრჩობიან. რა უნდა ქნან? ერთი უნდა დაწვეს, რათა მეორეს გზა მისცეს და ორივე გადარჩება. ასე უნდა იქცეოდნენ ადამიანებიც, რათა აიცილონ ჩხუბი, შუღლი და ომი“ [13]. ერთი სიტყვით, ლუთერის აზრით, ყოველ ხელისუფალს უნდა ამოძრავებდეს ფიქრი: — მუდამ მშვიდობის ერთგული ვიქნები, თუ ამას ჩემი მეზობლებიც მოისურვებენ“ [14]. ამასთან, ლუთერი სახელმწიფოთაშორის ურთი-

---

[9] M. Luther, Tischreden, გვ. 323.

[10] M. Luther, Ob Kriegsleute auch in seligen Stande sein können, „Dr. Martin Luthers Werke“, Bd. 19, Weimar, 1887, გვ. 628, 646.

[11] M. Luther, Von weltlicher Obrigkeit..., გვ. 99.

[12] M. Luther, Tischreden, გვ. 288, 289.

[13] იქვე, გვ. 291.

[14] M. Luther. Ob Kriegsleute..., გვ. 645.

ერთობაში ვერაგული პოლიტიკის წინააღმდეგი იყო. მას საძრახის საქციელად მიაჩნდა სახელმწიფოს მეთაურთა ისეთი მოქმედება, როცა სიტყვით მშვიდობას იცავენ, საქმით კი მას საფუძველს უთხრიან [15]. ამრიგად, ომებსა და მათ გამჩაღებლებს რომ გმობს, ლუთერი საყოველთაო მშვიდობის მქადაგებლადაც გამოდის. ამდენად, მტკიცება, თითქოს ლუთერთან ჩვენ ვხვდებით მსოფლიო მასშტაბით „წესრიგის“ (ე. ი. მშვიდობის) შენარჩუნების საქმეში ძალის (თვით ომის ჩათვლით) გამოყენების მოთხოვნას, როგორც ამას გერმანელი ბურჟუაზიული ისტორიკოსი გ. რიტერი ცდილობს [16], არამართებულია. მართალია, „ორი წყობილების“ ლუთერისეული კონცეფცია შეიცავს თეზისს, რომლის მიხედვით, ღვთის მიერ დაწესებული საერო ხელისუფლება ვალდებულია „წესრიგი“ შეინარჩუნოს ქვეყანაში, მაგრამ ამ შემთხვევაში ლუთერს მხედველობაში აქვს არა მთელი მსოფლიო, როგორც ეს გ. რიტერს ჰგონია, არამედ კონკრეტულად თავისი ქვეყანა და მისი შინაგანი პრობლემები. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გ. რიტერს მოღვაწეობა მოუხდა ნაცისტური რეჟიმის წლებში, მაშინ ცხადი გახდება, რატომ დასჭირდა მას ლუთერისეული „წესრიგის“ განვრცობა მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

ლუთერი საგარეო ომის წინააღმდეგი რომ იყო, ეს ჩანს მისი გამონათქვამებიდან, სადაც მხილებულია ომის ნამდვილი გამჩაღებლების ბუნება და მისწრაფებანი. მან იცის, რომ ომები მოსახლეობის ფართო ფენების ინტერესებიდან არ გამომდინარეობს, ლუთერი კიცხავს ომების მთავარ გამჩაღებლებს — „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“, რომლებსაც ომების გზით სურთ მოიპოვონ მეტი პატივი, დიდება და ქონება, თავიანთი სამფლობელოების ტერიტორიული ზრდა ან კიდევ მათ ამოძრავებთ მეზობლებზე ჯავრის ამოყრის სურვილი და შურისძიება [17].

ლუთერის განსაკუთრებულ რისხვას იწვევდა რომის კათოლიკური ეკლესიის მესვეურების როლი ომების გაჩაღების საქმეში; იგი ბრალს სდებდა პაპებს იმაში, რომ ისინი ხშირად აქტიურად მონა-

---

[15] M. Luther. Ob Kriegsleute.... გვ. 646.

[16] G. Ritter, Erasmus und der deutsche Humanistenkreis am Oberrhein. Eine Gedenkrede vom Gerhardt Ritter, Hf. 23, Freiburg, 1937. გვ. 23—27.

[17] M. Luther. Vom Krieg wider die Türken, იხ. წიგნი H. Fausel. D. Martin Luther, Stuttgart, 1955, გვ. 302.

წილეობდნენ როგორც სახელმწიფოთაშორის, ისე ძმათამკვლელ ომებში. განსაკუთრებით მუქ ფერებში აღწერს ლუთერი გერმანიაში პაპების მუხანათურ საქციელს: „რამდენჯერ განკვეთეს და გადაყენეს პაპებმა იმპერატორი, რათა თვითონვე დაესაკუთრებინათ მისი უფლებები. როცა შეჩვენების გზით ვერ აღწევდნენ იმპერატორის ჩამოგდებას, მაშინ ისინი კურფიურსტებში განხეთქილებას ჩამოაგდებდნენ ხოლმე, რათა ურჩი იმპერატორი გადაეყენებინათ და თავიანთი სურვილის მიხედვით, სხვა აერჩიათ, რომ ამ გზით იმპერატორზე და კურფიურსტებზე მაღლა მდგომი ხელისუფალნი გამხდარიყვნენ. ზოგჯერ აღწევდნენ კიდეც ამას, ზოგჯერ ვერა, მაგრამ ამ საქმეს ყოველთვის სისიხლისღვრა მოსდევდა“ [18]. ვერ ვიტყვით, რომ ლუთერმა პირველმა წაუყენა ასეთი ბრალდება პაპებს. ცნობილია, რომ, ადრეც და განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ლუთერის თანამედროვე გერმანელმა ჰუმანისტმა ულრიხ ფონ ჰუტენმა გამოაქვეყნა (1517) XV საუკუნის იტალიელი ჰუმანისტის ლორენცო ვალას თხზულება „კონსტანტინეს ნაბოძვარის“ შესახებ, რომელშიც მხილებული იყო ყველა ის სიყალბე, რასაც ემყარებოდა პაპების საერო ხელისუფლება, მასთან დაკავშირებული მრავალი ინტრიგა და ომი, არაერთი ცნობილი ადამიანი გმობდა პაპების ამ საქციელს. ასე, მაგალითად, პაპების სამარცხვინო როლზე ომების გაჩაღების საქმეში მიუთითებდნენ ერაზმი და ჰუტენი. შვეიცარიელი რეფორმატორი ჰულდრაიხ ცვინგლი კი თავის „67 თეზისში“ დაუფარავად წერდა: „სულიერ მამებს სისხლიან დავათა გამოსწორება კი არ სურთ, არამედ, პირიქით, ისინი ქმნიან მათ. ჩვენს დროში ვინ არ ხედავს, რომ პაპია მიზეზი საფრანგეთსა და იტალიას შორის ხანგრძლივი ომისა (იტალიურ ომებზეა საუბარი—გ. კ.); იგი ვერ იტანს ხან იმპერატორს, ხან მეფეს და ამგვარ დავამდე დაჰყავს საქმე ქრისტესა და მშვიდობის სახელით“ [19]. ამ ავტორების მსგავსად ლუთერიც იმ დასკვნამდე მიდიოდა, რომ პაპების სამარცხვინო როლს ომების გაჩაღების საქმეში მანამდე არ მოეღება ბოლო, ვიდრე არ ჩამოერთმევათ უკანონოდ მიღებული საერო ხელისუფლე-

---

[18] M. L u t h e r, Der Artikel von der Donatio Constantini, durch Luther verdeutscht und mit einer Vorrede (1537), „Dr. M. Luthers sämtliche Werke“ Bd. 25, Frankfurt, 1830, გვ. 188.

[19] Huldreich Zwinglis Werke, Bd. I, გვ. 350.

ბა, ვიდრე მათი მოვალეობა არ შემოიფარგლება მხოლოდ სასულიერო საქმეებით.

ამგვარად, ლუთერი ილაშქრებდა ომებისა და ომების გამჩაღებელთა წინააღმდეგ, ამასთან მიიჩნევდა, რომ მშვიდობისათვის ზრუნვა თვითონ საერო ხელისუფალთა უპირველესი მოვალეობაა.

მართალია, ლუთერი ხაზგასმით არსად არ ამბობს, რომ ომის აღმოფხვრის საქმეში ფართო მასებმაც უნდა მიიღონ მონაწილეობა, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ იგი ქვეშევრდომებისაგან მოითხოვდა უარის თქმას უსამართლო ომში მონაწილეობაზე (ამაზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ), მაშინ ცხადი გახდება, რომ ლუთერი, ერაზმის მსგავსად, მშვიდობისათვის ზრუნვას, ხელისუფლებთან ერთად, რიგით ადამიანებსაც აკისრებდა.

ომის საწინააღმდეგო ლუთერისეულ გამონათქვამებზე რომ ვმსჯელობთ, ამით იმის თქმა კი არ გვსურს, რომ ლუთერი, საერთოდ უგულებელყოფდა ყოველგვარი ომის საჭიროებას. არა, იგი არ ფიქრობს, რომ ყველა სახის ომი უსამართლობას წარმოადგენს. აი, რას წერდა თავის ერთ-ერთ თხზულებაში: „თუ დავუშვებთ, რომ ყველა ომი, თავისთავად, უსამართლობას წარმოადგენს, მაშინ, აგრეთვე, უნდა დაგვეშვა ყოველივე სხვა საქციელი (ე. ი. ბოროტება — გ. კ.) და შეგვენარჩუნებინა უსამართლობის არსებობა“; ან კიდევ, მისი აზრით, თუ დავუშვებთ, რომ ყოველგვარი ომი უსამართლობას წარმოადგენს, „მაშინ უსამართლობა ისიც იქნებოდა, თუ ჩვენ ავის ჩამდენს დავსჯიდით“ და ამ გზით „შევინარჩუნებდით მშვიდობას“ [20]. ცხადია, ლუთერი სამართლიანი ომის საჭიროებას არ გამორიცხავდა. ეს რომ ასეა, ჩანს ომების მისეული კლასიფიკაციიდანაც. მართალია, ომების დახასიათებისას ლუთერი არ იყენებს „სამართლიანი“ და „უსამართლო“ ომების ცნებებს, როგორც ეს მოცემული აქვთ მარქსიზმის კლასიკოსებს [21], მაგრამ მის ქვემოთ მოტანილ გამონათქვამში აშკარად შეიმჩნევა ამგვარი კლასიფიკაციისაკენ მისწრაფება. „თუ მე მეზობელი მაიძულებს დავიწყო ომი, — წერდა ლუთერი, — ასეთ ომს უნდა ეწოდოს არა მხოლოდ ომი, არამედ — იძუ-

---

[20] M. Luther, Ob Kriegsleute..., გვ. 628.

[21] ვ. ი. ლენინი, რევოლუციური არმია და რევოლუციური მთავრობა, თხზ. ტ. 8, გვ. 671—672; მისივე, „სიტყვა ვარშავის რევოლუციური პოლკის შეტინგზე“, თხზ., ტ. 28, გვ. 28—29.

ლებითი... თავდაცვა. ეს იმიტომ, რომ ომი ომისაგან უნდა განირჩეოდეს, სახელდობრ, ომი, რომელსაც ზოგიერთი იწყებს მოხდომებით და სურვილით, სანამ მას თავს დაესხმის ვინმე, და ომი, რომელსაც ზოგიერთს თავს მოახვევენ და აიძულებენ, აუცილებლობას უქმნიან იომოს". „პირველს, — განაგრძობდა იგი, — ჩვენ შეგვიძლია ვუწოდოთ ომი ომისადმი სიყვარულის გამო, მეორეს კი — ომი აუცილებლობის გამო [22]. ამრიგად, სამშობლოს დაცვის მიზნით წარმოებულ ომს ლუთერი სამართლიან ომად აცხადებდა. უფრო მეტიც. ასეთ ომს იგი ღვთის სანქციას ანიჭებდა—ამბობდა, ასეთი ომი „ეამება ღმერთსო" [23]. ამ პრინციპიდან ამოდიოდა ლუთერი, როცა წერდა: „მეომრებსაც ხომ შეუძლიათ, აგრეთვე, იყვნენ ნეტარნი", რომ სამშობლოს დაცვის მიზნით წარმოებული კაცკლა მათ ცოდვად არ ჩაეთვლებათ. სხვათა შორის, ანალოგიურ აზრს გამოთქვამდა ერაზმიც: „ადამიანის მოკვლა მაშინ არ არის ცოდვა, როცა იგი შენს სამშობლოს ესხმის თავს" [24]. ამრიგად, როგორც ერაზმთან, ისე ლუთერთან, სამშობლოს დაცვის საქმე წმიდათაწმიდა მოვალეობად იყო გამოცხადებული.

აღსანიშნავია, რომ ლუთერი თვით სამართლიანი ომის შემთხვევაშიც ყოველგვარი აჩქარების წინააღმდეგი იყო. როგორც ზემოთაც ვთქვით, ასეთი ომის დაწყებას იგი მოითხოვდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავდასხმის საშიშროების წინაშე მყოფი ქვეყნის მმართველის მხრიდან სადავო საკითხის მშვიდობიანი გადაჭრის ყოველი ცდა უშედეგოდ ჩაივლიდა. თუ მშვიდობისაკენ სწრაფვას არ გამოიჩენს „შენი მეზობელი" — წერდა ლუთერი, — მაშინ შენ შეგიძლია დაცვა სუფთა სინდისით აწარმოო [25]. სწორედ ამ პრინციპიდან გამოდიოდა ლუთერი, როცა ამართლებდა იმპერატორის კარლ V-ის ბრძოლას საფრანგეთის მეფის წინააღმდეგ, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ აქ იგი ყველაფერში თანმიმდევრული და სწორია. მხედველობაში ჰქონდა რა იტალიური ომები, ლუთერი წერდა: „საფრანგეთის მეფეს რომ არ წამოეწყო ომი იმპერატორ კარლთან, მას არ გაანადგურებდნენ და იგი (ე. ი. საფრანგეთის მეფე — გ. კ.)

---

[22] M. Luther, Ob Kriegsleute..., გვ. 648.

[23] იქვე.

[24] Эразм Роттердамский, Домашние беседы, М., 1938, გვ. 879.

[25] M. Luther, Ob Kriegsleute..., გვ. 645.

ასე სამარცხვინოდ არ ჩავარდებოდა ტყვედ“ [26]. მაშასადამე, ხელმძღვანელობდა რა ტრადიციული გაგებით, რომლის მიხედვით, იტალია „რომის საღმრთო იმპერიის“ შემადგენელი ნაწილია, ლუთერი კარლ V-ის მოქმედებაში ხედავდა ოდითგან შექმნილი იმპერიის დაცვის უფლების გამოვლინებას. რამდენად სწორია ასეთი პოზიცია, ეს სხვა საქმეა (ლუთერი გამონაკლისი არ ყოფილა, ლუთერამდე ბევრად უფრო ადრე იმპერიის ერთიანობის იდეას დანტე ალიგიერიც იცავდა „De monarchia“-ში [27]). ანალოგიური აზრისა იყო ლუთერის თანამედროვე ბევრი მოწინავე ადამიანიც. მაგრამ ის გარემოება, რომ ლუთერი, საერთოდ, გმობდა უსამართლო ომებსა და ამ ომების წამომწყებთ, მოსაწონი და პროგრესულია. იტალიური ომების შეწყვეტის შესაძლებლობას იგი მხოლოდ იმაში ხედავდა, რომ ფრანგებს ხელი უნდა აეღოთ იმპერიის ხელყოფის განზრახვაზე და რადგანაც მათ პირველებმა დაიწყეს ომი, ასევე პირველებს უნდა შეეწყვიტათ იგი [28].

ანალოგიური პოზიცია ეკავა ლუთერს, როცა ოსმალებთან ომის საჭიროების საკითხს ეხებოდა. თუ 1526 წელს დაწერილ თხზულებაში — „მეომრებსაც ხომ შეუძლიათ, აგრეთვე, იყვნენ ნეტარნი“ — მას საჭიროდ არ მიაჩნდა თურქების წინააღმდეგ ომი, ვინაიდან ისინი „თავიანთ სამშობლოში გაბრუნდნენ“ [29], მოგვიანებით კი, 1529 წელს, როცა თურქებმა უშუალო საფრთხე შეუქმნეს გერმანიას, ლუთერმა კატეგორიულად მოითხოვა, რომ გერმანელები მტკიცედ შებრძოლებოდნენ მათ. თურქს, მისი აზრით, არა აქვს უფლება თავს დაესხას „იმ ქვეყნებს, რომლებიც მას არ ეკუთვნის. ცხადია, მისი ომი სუფთა ბოროტებასა და ძარცვას წარმოადგენს“ [30].

ოსმალებთან ომის საჭიროების საკითხს ლუთერი სხვა კუთხითაც აშუქებდა. მას ღრმად სწამდა, რომ თურქები მის ქვეყანას ემუქ-

---

[26] M. Luther, Ob Kriegsleute..., გვ. 646. ცნობილია, რომ იმპერატორმა კარლ V-მ 1525 წელს პავიასთან გაანადგურა ფრანგთა არმია და ფრანსუა I ტყვედ ჩაიგდო.

[27] დანტე ალიგჰიერი, ღვთაებრივი კომედია, თარგმანი და წინასიტყვაობა კ. გამსახურდიასი, თბ., 1941, გვ. XXXI.

[28] M. Luther, Ob Kriegsleute..., გვ. 646.

[29] იქვე, გვ. 662.

[30] M. Luther, Vom Krieg wider die Türken, გვ. 300.

რებიან არა მარტო ძარცვის მიზნით, არამედ რელიგიური მოსაზრებების გამოც. ამიტომაც, ფიქრობდა იგი, თურქებთან ომის დროს ბრძოლის ორი ფორმა — „სულიერი ომი“ და „ხორციელი ომი“ — შეხამებულად უნდა იქნეს გამოყენებული. მხოლოდ ასეთ მოქმედებას მოაქვს წარმატება.

ბუნებრივად იბადება კითხვა: რა კონკრეტულ შინაარსს გულისხმობდა ლუთერი „სულიერ ომსა“ და „ხორციელ ომში“. მისი თხზულებების გაცნობა გვარწმუნებს, რომ მასთან „სულიერი ომი“ — ესაა საკუთარი, ქრისტიანული რელიგიის უპირატესობის ჩვენება და ამ გზით ისლამის დასაყრდენი „ძალისა და ღვთაებისათვის“ ძირის გამოთხრა. ეს ნიშნავს იმას, რომ „ლოცვითა და ღმერთისადმი ვედრებით“ (და არა „მუშტებით... როგორც ამას პაპი და მისი მსახურები“ ქადაგებდნენ) დაიძლიოს ალაჰი, ღმერთი თურქებისა, რომელიც, ლუთერის აზრით, ეშმაკს წარმოადგენს; ნაჩვენები უნდა იქნეს ყურანის დამღუპველი მნიშვნელობა და ანტიქრისტიანული ხასიათი, რომელიც ისლამში ვლინდება სამ გარემოებაში: ჯერ ერთი, რომ მუჰამედი დაყენებულია ქრისტეზე მაღლა; მეორე, დაშვებულია სამფლობელოების გაფართოება „მახვილის მეშვეობით“; მესამეც, გამართლებულია უპატივცემულობა ცოლქმრული დამოკიდებულებისადმი [31]. როგორც ვხედავთ, ბრალდებანი საკმაოდ სერიოზულია. ცხადია, ლუთერს ისლამის ამდაგვარი კრიტიკითა და ქრისტიანული რელიგიის უპირატესობის ჩვენებით სურდა გერმანიის საზღვრებს მომდგარი თურქების იდეოლოგიური განადგურება, ეს მიაჩნდა მას მათი „ხორციელი“ განდევნის საწინდრად. აკი წერდა: „თუ ჩვენ ჯერ არ დავამარცხებთ თურქების ღმერთს, რომელიც ეშმაკს წარმოადგენს, მაშინ უნდა გვეშინოდეს იმისა, რომ თურქების დამარცხება არც თუ ისე ადვილი საქმე იქნება“ [32].

რაც შეეხება „ხორციელ ომს“, ლუთერი ფიქრობდა, რომ იგი მიმართული უნდა იქნეს „ურწმუნო“ თურქების ხორციელი მისწრაფებების აღკვეთისაკენ. რამდენადაც თურქები განადგურებით ემუქრებიან არა მარტო „ქრისტიანულ რწმენასა და თვით იესო

---

[31] M. L u t h e r, Vom Krieg wider die Türken, გვ. 301.

[32] იქვე, გვ. 300.

ქრისტეს", არამედ გერმანიასა და გერმანელ ხალხს [33], ამდენად, ლუთერის აზრით, საჭიროა მათი განდევნა ყოველგვარი იარაღის — „აბჯრის, თოფის, ცხენისა და ადამიანის" — გამოყენებით. უფრო მეტიც, აგრესორის წინააღმდეგ ბრძოლას იგი ქრისტიანულ საქმედ აცხადებდა. „ქრისტიანული საქმეა, სიყვარულის საქმეა, — წერდა ლუთერი, — უშიშრად სცემო, ძარცვო, გადაბუგო მტერი და ყველაფერი მტრისა, ქნა ყოველივე, რასაც ზიანი მოაქვს მტრისათვის" [34]. ამასთანავე ლუთერი კატეგორიული წინააღმდეგი იყო იმისა, რომ მისი ქვეყნის ჯარისკაცებს მიემართათ მოწინააღმდეგეთა „ქალებისა და ქალიშვილების გაუპატიურებისათვის" [35]. ასეთ ქცევაში იგი ხედავდა საძრახის საქმეს, რაც მიუღებელია ქრისტიანული მორალისათვის.

როდესაც „სულიერი" და „ხორციელი" ომების აუცილებლობას ეხება, ლუთერი იხილავდა საკითხსაც, — თუ ვის უნდა წარემართა თითოეული მათგანი. სულიერი ომის წარმართვა, მისი აზრით, მხოლოდ „ჰეშმარიტი ქრისტიანების" (ე. ი. ჰეშმარიტად მორწმუნე ქრისტიანების) მოვალეობაა, ესაა მათი ქრისტიანული საქმე: სწორედ ჰეშმარიტმა ქრისტიანებმა უნდა ამხილონ ისლამის დამღუპველობა და მისი ანტიქრისტიანული ხასიათი, ის, რომ ისლამით მოწამლული თურქები იქცნენ „ეშმაკის მსახურებად" და განადგურებით ემუქრებიან არა მარტო ქრისტიანულ ქვეყნებსა და ქრისტიანებს, არამედ „ქრისტიანულ რწმენას და თვით იესო ქრისტესაც".

ხორციელი ომის წარმოების უფლება კი, ლუთერის აზრით, გააჩნიათ საერო ხელისუფალთ. მხედველობაში ჰყავდა რა გერმანიის იმპერატორი კარლ V, ლუთერი წერდა: „იმპერატორმა, როგორც საერო ხელისუფალმა, თურქებთან ომი თვითონ უნდა იკისროს... ეს იმიტომ, რომ თურქი თავს ესხმის მის ქვეშევრდომებს და მის სამეფოს, და იგი, როგორც წესიერი ხელისუფალი, დაყენებული ღმერთის მიერ, ვალდებულია დაიცვას თავისიანები" [36]. ამასთანავე, ლუთერის აზრით, იმპერატორმა ხორციელი ომი უნდა აწარ-

---

[33] M. Luther, Vom Krieg wider die Türken, გვ. 301.
[34] M. Luther, Von weltlicher Obrigkeit..., გვ. 99.
[35] იქვე.
[36] M. Luther, Vom Krieg wider die Türken. გვ. 301.

მოოს არა შურისძიებისა და ჯავრის ამოსაყრელად და არც იმისათვის, რომ „მიიღოს დიდი პატივი, დიდება და ქონება და გაადიდოს თავისი ქვეყანა“ [37], ან იმისათვის, რომ თავის ქვეყანას თავიდან ააცილოს მოსახლეობის სიჭარბითა და მოუსავლიანობით გამოწვეული სიძვირე და სოციალური აფეთქება, როგორც ამას ჰუტენი ქადაგებდა [38], არამედ მხოლოდ იმისათვის, რომ დაიცვას თავისი ქვეყანა და ხალხი. განსხვავებით ცვინგლისაგან, რომელიც თავდაცვითი ომების აუცილებლობას რელიგიური მოტივებითაც ასაბუთებდა[39], ლუთერი კატეგორიულად ილაშქრებდა იმის წინააღმდეგაც, რომ იმპერატორს „სახარების საქმეში ჩაერთო ომის საქმე“ [40], რომ ეკლესიის მფარველობის მოტივით მას ადამიანები ეხოცა. თუ იმპერატორი მაინც და მაინც არ დაიშლის და მოისურვებს „თურქების როგორც ურწმუნოების და ანტიქრისტიანების (და არა როგორც მისი ქვეყნის მტრების) გაწყვეტას, — წერდა იგი, — მაშინ მას ეს უნდა დაეწყო არა თურქებიდან, არამედ პაპისაგან, ეპისკოპოსებისა და სამღვდელოებისაგან; ამისათვის შეიძლებოდა მას ჩვენი და საკუთარი თავიც კი არ დაეზოგა; ეს იმიტომ, რომ მის სამეფოშიც არის საძაგელი კერპთაყვანისმცემლობა“ [41].

ამრიგად, როცა „სასულიერო“ და „საერო“ საქმეებში მოქმედების სფეროებს მიჯნავს, ლუთერი ავითარებს იმ აზრს, რომ იმპერატორის მოვალეობას შეადგენს თავისი ქვეყნისა და ხალხის დაცვა მხოლოდ „ხორციელი“ ხელყოფისაგან; ე. ი., მისი აზრით, იმპერატორის ბრძოლას თურქების წინააღმდეგ საფუძვლად უნდა დაედოს არა ის, რომ ისინი „ურწმუნონი“ არიან, არამედ ის, რომ თურქნი ხელყოფდნენ მის სამეფოსა და ქვეშევრდომებს“. აღსა-

---

[37] M. Luther, Vom Krieg wider die Türken, გვ. 302.

[38] ჰუტენი ომების საჭიროებას ასაბუთებდა არა მარტო გარეგანი საშიშროების აღმოფხვრის მიზნით, არამედ თვით ქვეყნის შიგნით მოსალოდნელი სოციალური აფეთქების აცილების აუცილებლობითაც. ასეთ აზრს გამოთქვამდა იგი თავის თხზულებაში—„თურქულ სიტყვაში“ (1518 წ.) (Hutten, Principes Germanoc ut bellum Turcis inferant exhortatoria, იხ. მისი „Opera“, Editor E. Bocking, Bd. 5,, 1861, გვ. 126).

[39] J. Mörikoffer, Ulrich Zwingli nach den urkundlichen Quellen Leipzig, 1867, გვ. 151.

[40] H. Fausel, D. Martin Luther, გვ. 297.

[41] M. Luther, Vom Krieg wider die Türken, გვ. 302

ნიშნავია, რომ ლუთერი ასე უდგებოდა გერმანიის სხვა ხელისუფალთა (მთავართა) უფლება-მოვალეობასაც. მისი აზრით, ბატონები და მთავრები „გერმანიისა მხოლოდ თავიანთთვის როდი უნდა ზრუნავდნენ, მათ უნდა ესმოდეთ, რომ ისინი არიან მმართველნი, რომლებიც სხვებს ეკუთვნიან“. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი ვალდებულნი არიან დაიცვან თავიანთი ქვეშევრდომნი და მშვიდობა შეუნარჩუნონ მათ. ეს მათი „სინდისის საქმე“ უნდა იყოს [42].

ამრიგად, ვაანალიზებთ რა ლუთერის შეხედულებებს სამართლიან და უსამართლო ომებზე, აგრეთვე, სამართლიან ომებში ხელისუფალთა უფლება-მოვალეობებზე, მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ამ შეხედულებებიდან ზოგიერთი რამ დღესაც მისაღები და აქტუალურია; ამასთანავე, სამართლიანი და უსამართლო ომების ლუთერისეულ კლასიფიკაციაში არის ისეთი მომენტებიც, რომელთა გაზიარება არ შეიძლება. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება ლუთერის დამოკიდებულებას კლასობრივი ბრძოლის საკითხისადმი. თუ ამოვალთ მარქსისტული გაგებიდან (რომლის მიხედვით რევოლუცია, რომელიც მიზნად ისახავს კლასობრივი ჩაგვრის დამხობას, სამართლიანი ომია) [43], დავინახავთ, რომ ლუთერს ამ გაგებასთან არაფერი აქვს საერთო.

ვერ ვიტყვით, რომ ლუთერი საერთოდ ვერ ხედავდა მის თანამედროვე გერმანიაში არსებულ კლასობრივ და რელიგიურ ჩაგვრას, ან არ სურდა „უბრალო ადამიანების“ მდგომარეობის შემსუბუქება. როგორც ლუთერის დიდაქტიკურ-პედაგოგიურ შეხედულებებზე მსჯელობისას ვთქვით, მას არაერთხელ გამოუთქვამს აზრი, რომ მისი ქვეყნის „ბატონები და მთავრები“ უმოწყალოდ ექცევიან უბრალო ადამიანებს, რომ „ტყავს აძრობენ“ მათ [44]. ისინი თვითნებურად იქცევიან რწმენის საქმეშიც, რათა ქვეშევრდომებმა „იწამონ და იცხოვრონ“ მხოლოდ მათი მითითებით [45].

მოსალოდნელი იყო, რომ ამ სიტყვების ავტორი შორს მიმავალ დასკვნებს გააკეთებდა, მხარს დაუჭერდა რადიკალურ ღონისძიებათა

---

[42] M. L u t h e r, Ob Kriegsleute..., გვ. 648.

[43] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, პროლეტარული რევოლუციის სამხედრო პროგრამა, თხზ., ტ. 23, გვ. 93—94.

[44] A. B a u r, Martin Luther. Tübingen, 1878, გვ. 320.

[45] M. L u t h e r, Von weltlicher Obrigkeit..., გვ. 68.

გატარებას, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. მართალია, ლუთერი ქვეშევრდომებს დანაშაულად უთვლიდა, რომ ისინი თავიანთ ბატონებს ემორჩილებიან „მთლიანად და ყველაფერში“ [46], მაგრამ ამით იგი ხაზს უსვამდა ქრისტიანთა მხოლოდ სულიერი თავისუფლების ხელშეუხებლობას, მორწმუნეების უფლებას, არ მოესმინათ ხელისუფალთათვის, თუ ეს უკანასკნელნი ჩაერეოდნენ მათი რწმენის საქმეში. ამდენად, ეს იყო აბსტრაქტული მსჯელობა, რომელიც სხვა არაფერს ნიშნავდა, თუ არა პასიურ წინააღმდეგობას. ამაზე მიუთითებს მისი შემდეგი სიტყვებიც: წარსულში, „წარმართობის ხანაში“, კლავდნენ და თავიდან იშორებდნენ „უსარგებლო და ავ ხელისუფლებს“, რისთვისაც საზოგადოებრივ ქებასაც იმსახურებდნენ [47], მაგრამ ის, რასაც აკეთებდნენ წარმართნი, რომელთაც არაფერი იცოდნენ საერო ხელისუფლების „ღვთაებრივი წარმოშობის“ შესახებ, არ უნდა გაიმეორონ ქრისტიანებმაც, რომლებმაც ყველაფერი ეს კარგად იციან. მაშასადამე, ლუთერის აზრით, ქვეშევრდომები უნდა დაემორჩილონ თვით ტირან მმართველებსაც კი, ვიდრე ეს უკანასკნელნი თვითონვე არ გამოსწორდებიან ან ღმერთი არ დაამხობს მათ. ტირანია მისთვის უფრო მოსათმენი იყო, ვიდრე მის წინააღმდეგ მიმართული აჯანყება. „აჯანყება, — წერდა ლუთერი ამასთან დაკავშირებით, — რაღაც ავაზაკური მკვლელობა რომ გახლავთ, არამედ იგი ჰგავს უზარმაზარ ხანძარს, რომელიც აგიზგიზდება და გააჩანაგებს მთელს ქვეყანას... აჯანყება, ვით ყველაზე დიდი უბედურება, მკვლელობებითა და სისხლის ღვრით ავსებს ქვეყანას, ამრავლებს ქვრივებსა და ობლებს და ყველაფერს ანადგურებს თავის გზაზე“ [48].

აჯანყებისადმი ლუთერის უარყოფით დამოკიდებულებას ბევრად განსაზღვრავდა მის სახელთან დაკავშირებული რეფორმაციული მოძრაობის ბედიც. მართალია, ლუთერი პირდაპირ არსად აცხადებს, რომ აჯანყებამ შეიძლება დამღუპველი ზიანი მოუტანოს რეფორმაციას, მაგრამ მისი გამონათქვამები არც ამის შესაძლებლობებსაც გამორიცხავენ. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რეფორმაციული მოძრაობა ითვალისწინებდა არა მარტო რელიგიურ გარდაქ-

---

[46] M. Luther, Von weltlicher Obrigkeit..., გვ. 68.

[47] M. Luther, Ob Kriegsleute..., გვ. 633.

[48] Der große Bauernkrieg..., გვ. 264.

მნებს, არამედ რომის პაპის სულიერი და მატერიალური ტყვეობისაგან გერმანიის განთავისუფლებასაც (ე. ი. მას ეროვნული მნიშვნელობაც ჰქონდა), მაშინ ცხადი გახდება, რომ ლუთერს სურდა ეროვნული ძალების არა დაჭუცმაცება და ურთიერთშორის ბრძოლა, არამედ მათი შემჭიდროვება, რათა რეფორმაციას და რომის პაპის წინააღმდეგ ბრძოლას დასაყრდენი არ გამოსცლოდა.

ლუთერი არ გამორიცხავდა იმის შესაძლებლობას, რომ აჯანყებულთა საქმე შეიძლებოდა სამართლიანიც ყოფილიყო, მაგრამ, მისი აზრით, ვინაიდან აჯანყებას უფრო მეტი ზიანი მოაქვს, ვიდრე „სასურველი გაუმჯობესება", ვინაიდან მას შეიძლება დამღუპველი გავლენაც მოეხდინა რეფორმაციაზე. ამდენად ლუთერს არ შეეძლო მხარი დაეჭირა აჯანყებულთათვის. არც ერთ აჯანყებას არ მოეპოვება გამართლება, მასში არაფერია გონივრული,—აცხადებს იგი. „მე ყოველთვის ვიქნები იმათი წინააღმდეგი, ვინც წამოიწყებს აჯანყებას", — ასე წერდა ლუთერი 1522 წელს. მართლაც ამ სიტყვების ბოლომდე ერთგული დარჩა იგი. ამ პრინციპით ხელმძღვანელობდა ლუთერი 1524—1526 წლების გლეხთა ომის დროსაც, როცა თავდაპირველი შემრიგებლური პოზიციის შემდეგ (გლეხებმა მას არ მოუსმინეს) სასტიკად გაილაშქრა აჯანყებული გლეხების წინააღმდეგ, მოითხოვა მათი ამოხოცვა, როგორც „ცოფიანი ძაღლებისა" [49]. ამრიგად, აჯანყებას, როგორც არსებული სინამდვილის გარდაქმნის საშუალებას, ლუთერი არ ცნობდა.

ტირანიისა და ჩაგვრის შემსუბუქება, როგორც ეს ზემოთაც ვთქვით, ლუთერს სურდა ხელისუფალთა ინიციატივით, რომელთაც თვითონ უნდა ეზრუნათ საკუთარი თავის „გამოსწორებისათვის". „გამოსწორების" საუკეთესო საშუალებად კი მას მიაჩნდა ხელისუფალთა ჯეროვანი აღზრდა და განათლება, რომელსაც უნდა მოეტანა მათი თვითშეგნების ამაღლება. ცხადია, ლუთერის აზრით, მმართველთა ასეთ ხარისხობრივ ცვლილებას საზოგადოებრივი ურთიერთობის გაუმჯობესებაც უნდა მოჰყოლოდა, უფრო სრულყოფილი გახდებოდა საზოგადოება, მოისპობოდა ურთიერთდაპირისპირებულობა. ამრიგად, ტირანიისაგან საზოგადოების განთავისუფლების ლუთერისეული იდეა სხვა არაფერია, თუ არა მშვიდობიანი პროგრესის გზა, რომელსაც (არსებული წყობილების ვითარებაში ზე-

---

[49] Der große Bauernkri ..., გვ. 264.

მოდან გატარებული „ზომიერი“ ღონისძიებებით) უბრალო ადამიანებისათვის უნდა მოეტანა როგორც რწმენის თავისუფლება, ისე საარსებო პირობების გაუმჯობესება. თუ რამდენად შესაძლებელი იყო ამ სურვილის განხორციელება რეალურ სინამდვილეში, სხვა საქმეა; ეს არც შეიძლებოდა სხვაგვარად ყოფილიყო საზოგადოებაში, სადაც ადამიანზე ადამიანის ძალმომრეობა მისი ცხოველმოქმედების საფუძველია. მაგრამ ის, რომ ლუთერს თუნდაც ამგვარი სურვილები გააჩნდა, მრავალისმეტყველია. უპირველეს ყოვლისა, ისინი ცხადყოფენ იმ შეხედულების უსაფუძვლობას, რომლის მიხედვით, ლუთერი საერთოდ ხელისუფლებას არ ავალებდა „ადამიანის შეცვლასა და პირობების გაუმჯობესებას“, როგორც ამას გერმანელი ისტორიკოსი კ. ჰინრიხსი ამტკიცებდა [50].

არ ვიქნებოდით მართალნი, თუ ვიტყოდით, რომ ლუთერი იყო ერთადერთი, რომელიც ილაშქრებდა რევოლუციური გარდაქმნების წინააღმდეგ, ცნობილია, რომ ლუთერამდე და მის შემდეგაც მრავალ გამოჩენილ პიროვნებას გაულაშქრია აჯანყებისა და რევოლუციური გარდაქმნების წინააღმდეგ. ასე, მაგალითად, ისეთი დიდი ჰუმანისტი, როგორიც იყო ლუთერის თანამედროვე ერაზმ როტერდამელი, სიძულვილვით ეკიდებოდა აჯანყებებს. „აჯანყებას, — წერდა იგი ჰუტენისადმი წერილში, — მე ყოველთვის ზიზღით ვეკიდებოდი“ [51]. „ბრბოს ექსცესებში“ იგი ხედავდა ანარქიის წყაროს, რომელთანაც დაკავშირებულია „ძალადობა და სისხლიანი ანგარიშსწორება“. უფრო შორს მიდიოდა ერაზმის მეგობარი, „უტოპიის“ ავტორი ტომას მორი. ეხებოდა რა გლეხთა ომის დროინდელ გამოსვლებს გერმანიაში, იგი ამაში ხედავდა მხოლოდ ნგრევის დასაწყისს, რომელსაც განადგურება მოაქვს მთელი კულტურისათვის. უბრალო ადამიანებს, მისი აზრით, არა აქვთ უფლება აძაგონ ხელისუფლება, პირიქით, ისინი ვალდებულნი არიან პატივი სცენ და უსიტყვოდ დაემორჩილონ მას, რადგან იგი დაწესებულია ღმერთის მიერ. მეტიც, მორმა გაამართლა აჯანყებული გლეხების დასჯა გერმანიაში [52]. როგორც ვხედავთ, ლუთერს ბევრი რამ აქვს საერთო ერაზმისა და მორის ამ გამონათქვამებთან. ისტორიული შე-

---

[50] K. Hinrichs, Luther und Müntzer. Berlin, 1952, გვ. 60.
[51] Hutten, Opera, II, Ed.E. Bocking. 1859, გვ. 10—11.
[52] Н. Н. Осиповский, Томас Мор, М., 1978, გვ. 248—260.

ზღუდულობა, რომელსაც ავლენს ლუთერი, ასევე დამახასიათებელი იყო ერაზმისა და მორისათვის. ისინი ასახავდნენ ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ბურჟუაზიის პოზიციას, რომელსაც აშინებს რევოლუციური გარდაქმნები.

აღსანიშნავია, რომ ლუთერი არა მარტო უბრალო ადამიანების გამოსვლებს გმობდა, არამედ წარჩინებულთა აჯანყებასაც, რომელიც მიმართული იქნებოდა ზემდგომ ხელისუფალთა წინააღმდეგ. „გლეხთა აჯანყება რომ არა, — წერდა იგი ამასთან დაკავშირებით, — მოხდებოდა აზნაურთა აჯანყება... მთავრობის წინააღმდეგ. და შესაძლებელია, მეფის წინააღმდეგაც კი; ამგვარად გერმანია ჩავარდებოდა უხერხულ მდგომარეობაში“ [53].

გვებადება კითხვა: მთავრებისა და მეფის წინააღმდეგ მიმართულ გლეხობის და აზნაურების აჯანყებებს რომ გმობს, ეს ხომ არ ნიშნავს, თითქოს ლუთერი გამორიცხავს მთავართა აჯანყებასაც ტირანი იმპერატორის წინააღმდეგ? თუ გავითვალისწინებთ, რომ ლუთერი ტირანიის აღმოფხვრის შესაძლებლობას უშვებს ხელისუფალთა თვითშეგნების ამაღლებით, ჯეროვანი აღზრდისა და განათლების გზით, მაშინ მოსალოდნელი იყო, რომ მას მთავართა აჯანყებაც გამოერიცხა. მართლაც, ამდაგვარი აჯანყების დაუშვებლობის პრინციპს დიდხანს იცავდა ლუთერი. ვორმსის ედიქტის გამოცემის (1521 წ.) შემდეგაც კი, როცა ლუთერის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრა, მას კატეგორიულად არსად დაუსვამს საკითხი — იმპერატორისადმი მთავრების წინააღმდეგობის გაწევისა. პირიქით, იგი სულ იმის ცდაში იყო, რომ მთავრებისათვის მორჩილება ჩაეგონებინა. ასე მაგალითად, 1522 წლის თებერვალ-მარტში, როცა კურფიურსტმა ფრიდრიხ ბრძენმა აუკრძალა ლუთერს ვარტბურგიდან ერტენბერგში დაბრუნება იმ მოტივით, რომ შეიძლებოდა იგი ეზეკითხა იმპერატორს [54], ამის პასუხად 1522 წ. 5 მარტის წერილში რეფორმატორი ფრიდრიხ ბრძენს ურჩევდა, ყოფილიყო იმპერატორის გამგონე, რომ არ გაეწია წინააღმდეგობა მისდამი იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს უკანასკნელი შეიპყრობდა ან მოკლავდა ლუთერს. რეფორმატორი ამტკიცებდა, რომ არავის, გარდა ღმერთისა, არ შეუძლია დაამხოს ხელისუფლება ან წინააღმდეგობა გაუწიოს

---

[53] M. L u t h e r, Ob Kriegsleute..., გვ. 644.

[54] K. M ü l l e r, Luthers Äusserungen über das Recht des bewaffneten Widerstandes gegen den Kaiser, München, 1915, გვ. 3.

მას. ვინც დაარღვევს ამ წესს, მისი აზრით, გამოდის ღმერთის ნების წინააღმდეგ და მეამბოხე გახლავთ[55]. იმპერატორისადმი წინააღმდეგობის გაუწევლობას ქადაგებდა ლუთერი თავის თხზულებაშიც — „საერო ხელისუფლების შესახებ“ (1523),—როცა წერდა: „მთავარმა არ უნდა აწარმოოს ომი თავისი სიუზერენის წინააღმდეგ, ეს იქნება მეფე, იმპერატორი, თუ სხვა ვინმე. დაე მან აიღოს ის, რაც მოესურვება. უფროსებს წინააღმდეგობა უნდა გაუწიო არა ძალით, არამედ მხოლოდ თავისი სიმართლის შეგნებით, და თუ ამას იგი მიაქცევს ყურადღებას, ხომ კარგი, თუ არა — მაშინ შენ უდანაშაულო ხარ და ითმენ ცილისწამებას ღვთის გულისათვის“[56]. ასეთივე აზრისაა იგი თხზულებებში: „მეომრებსაც ხომ შეუძლიათ, აგრეთვე, იყვნენ ნეტარნი“ (1526) და „თურქების წინააღმდეგ ომის შესახებ“ (1529). ამ თხზულებებში გარკვევითაა მითითებული, რომ დაბლა მდგომი ხელისუფალი ზემდგომი ხელისუფალისადმი „დაქვემდებარებულ პირს“ წარმოადგენს და მისი მორჩილება მართებს. მათში დაგმობილია მთავრების თვითნებობა, დასმულია საკითხი — რომ სიკვდილით დაესაჯათ არა მარტო აჯანყებული გლეხი, არამედ აჯანყებული წარჩინებულიც კი. ამასთან დაკავშირებით წერდა ლუთერი: „ყველაფერი, რასაც მე ვამბობ ქვეშევრდომებზე, ეხება ორივე მხარეს: გლეხებს, ბიურგერებს და წარჩინებულებს — ბატონებს, გრაფებს და მთავრებს: იმიტომ, რომ მათაც (ე. ი. წარჩინებულებსაც—გ. კ.) ჰყავთ ზემდგომი ხელისუფალნი... და სწორედ ისე, როგორც თავს ჰრიან აჯანყებულ გლეხს, ასევე თავი უნდა მოჰრან აჯანყებულ წარჩინებულს — გრაფს, მთავარს, როგორც ერთს, ისე მეორესაც, მაშინ არასოდეს არ იქნება უსამართლობა“ [57]. მაგრამ იმპერატორის ხელისუფლებისადმი ლუთერის ასეთი დამოკიდებულება რამდენადმე შეიცვალა 1530 წლიდან. აქ გადამწყვეტი როლი შეასრულა თვით კარლ V-ის უკომპრომისო პოზიციამ, რომელიც დაიკავა მან რე-

---

[55] M. Luther, Briefwechsel, „D. Martin Luthers Werke“, Bd. 53, Weimar, 1926, გვ. 108.

[56] M. Luther, Von weltlicher Obrigkeit..., გვ. 99.

[57] M. Luther, Ob Kriegsleute..., გვ. 643.

ფორმაციისა და პროტესტანტი მთავრების მიმართ. როცა 1530 წელს, ბოლონიაში, პაპისაგან მიიღო იმპერატორის გვირგვინი, კარლ V-მ წარმოთქვა ფიცი, რომ იარაღით დაიცავდა რომაულ ეკლესიას. მართლაც, გერმანიაში დაბრუნებულმა იმპერატორმა აუგსბურგის რაიხსტაგზე პროტესტანტი მთავრებისაგან კატეგორიულად მოითხოვა ერთიანი ეკლესიისაკენ დაბრუნება, ამასთან, განაახლა ვორმსის ედიქტი და ურჩებს სიკვდილით დაემუქრა. ასეთ ვითარებაში პროტესტანტმა მთავრებმა იწყეს მტკიცება, რომ იმპერატორისაგან შევიწროებულ მთავარს უფლება აქვს დაიცვას თავი, რომ ხელისუფლება, ბოძებული ღმერთისაგან, უკანონო ხდება, თუ იგი ეწინააღმდეგება ღმერთის ნებას ან არღვევს პირობას, რის საფუძველზეც არჩეული იყო მისი მფლობელი. ამის ლოგიკური გაგრძელება იყო პროტესტანტ მთავრებსა და ქალაქებს შორის შმალკალდენში დადებული კავშირიც (1531 წ.), რომელიც მიმართული იყო იმპერატორის და მისი მომხრეების წინააღმდეგ.

სწორედ ამ მოვლენებმა და, აგრეთვე, იმისმა შიშმა, რომ პროტესტანტი მთავრების განადგურება მისი საქმის განადგურებაც იქნებოდა, ლუთერი აიძულა რამდენადმე შეეცვალა თავისი ადრინდელი წარმოდგენა იმპერატორისა და მთავრების ურთიერთდამოკიდებულებაზე. მართალია, ლუთერს იმპერიის ერთიანობის სურვილი არც შემდეგ განელებია, მაგრამ იმპერატორს უკვე ართმევს განუსაზღვრელ უფლებებს და მათ მთავრებს უნაწილებს. — ახლა იმპერატორს მთავართა ნების გრეშე არ შეუძლია კონსტიტუციის შეცვლა, ახალი კანონების დაწესება, გასამართლება. იგი შეუზღუდველი მმართველი როდია: „იმპერატორს, როგორც ხელმწიფეს, აქვს საფუძველი, ებრძოლოს გერმანელ მთავრებს. ამ შემთხვევაში ის იცავს პაპს. ჩვენმა მთავრებმაც სამართლიანად გადაწყვიტეს, რომ ის იმპერატორი კი არაა, არამედ პაპის მსახური და ჯარისკაცი. გერმანიის იმპერატორი შეუზღუდველი ხელმწიფე როდია თვითმპყრობელური უფლებებით; მას არ შეუძლია გადააყენოს კურფიურსტები და შეცვალოს იმპერიის მმართველობის ფორმა და სიდიადე“ [58]. ერთი სიტყვით, ლუთერი გამოთქვამდა აზრს, რომელიც შეესაბამებოდა ფეოდალურ დევიზს — Primus inter pares (პირველი თანასწორთა შორის). აღნიშნული ამონაწერი საყურადღებოა

---

[58] Е. Новиков, Гус и Лютер, ч. II, М., 1859, გვ. 57.

იმითაც, რომ აქ კარლ V გამოყვანილია როგორც ეროვნული ინტერესების შემლახავი ხელისუფალი, რომელსაც ცუცხო ძალები გაუხდია თავის დასაყრდენად და ამ ძალების ინტერესების გამტარებელიცაა თავის ქვეყანაში. ასეთი იმპერატორი კი, ლუთერის აზრით, „ტირანია“ და მის წინააღმდეგ მთავრებს შეუძლიათ ბრძოლა, რათა დაიცვან „ქალები და ბავშვები, მსახურები და ქვეშევრდომები. ეს მათი მოვალეობაა“ [59]. ამგვარად, ლუთერი, რომელსაც ადრე დაუშვებლად მიაჩნდა ყოველი ზემდგომი ხელისუფალის წინააღმდეგ გამოსვლა, XVI ს-ის 30-იან წლებში იძულებულია აღიაროს „ტირანი იმპერატორისადმი“ მთავრების წინააღმდეგობის გაწევის უფლება, თუმცა აქაც ბოლომდე თანმიმდევრული როდია. გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, 1545 წელს, ლუთერი კვლავ ესარჩლება იმპერატორის ხელისუფლებას. ურჩევს კარლ V-ს, რომ მან, ეპისკოპოსების გარეშე, რომაულ ბატონობას ჩამოაცილოს ძველი მეფეების სამემკვიდრეო [60]. მეტიც, „რომში პაპობის შესახებ“ თავის თხზულებაში, შმალკალდენის კავშირისადმი ადრინდელი დარიგებების საწინააღმდეგოდ, ლუთერი კვლავ მიუთითებს იმპერატორის უზენაესობაზე. „როცა იმპერატორი აძლევს ლენს წყალობის გამო,—წერს ლუთერი,— შეუძლია იგი წაართვას კიდეც მფლობელს დანაშაულისათვის. ასე, მაგალითად იმპერატორები: ფრიდრიხი, ლოტარი და ოტოები [61] ხშირად ართმევდნენ მთავრებს მათთვის ადრე ნაბოძებ მიწებს და ხელახლა უბრუნებდნენ, თუ მათში გულწრფელ მონანიებას დაინახავდნენ [62].

